

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

გვანცა საბაშვილი

მე-19 საუკუნის სამუსლიმანო საქართველო ქართულ
დოკუმენტურ-მხატვრულ პროზასა და პუბლიცისტიკაში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ასოცირებული პროფესორი: გურამ ბახტაძე

ასოცირებული პროფესორი: ინგა შამილიშვილი

ბათუმი 2017 წელი

შინაარსი

1. შესავალი-----	გვ.3
2. თავი I - სამუსლიმანო საქართველო მეცხრამეტე საუკუნის დოკუმენტურ - მხატვრულ პროზაში-----	გვ.7
§ 1 - გიორგი ყაზბეგი-----	გვ.7
§ 2 - ზაქარიაჭიჭინაძე-----	გვ.19
§ 3 - თედო სახოკია-----	გვ.37
§ 4 - დიმიტრი ბაქრაძე-----	გვ.52
§ 5 - საინგილოს თემა-----	გვ.56
3. თავი II - მუჰაჯირობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პრესაში-----	გვ.69
4. თავი III - სამუსლიმანო საქართველო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პუბლიცისტიკაში-----	გვ.78
§ 1 - გაზეთი „დროება“ (1866-1885)-----	გვ.81
§ 2 - გაზეთი „ივერია“ (1877-1906)-----	გვ.89
§ 3 - დავით წერეთლის პუბლიცისტიკა -----	გვ.101
§ 4 - საინგილო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პუბლიცისტიკაში -----	გვ.106
§ 5- საინგილო გაზეთ „დროებაში“-----	გვ.107
§ 6 - საინგილო გაზეთ „ივერიაში“-----	გვ.115
5. ზოგადი დასკვნები -----	გვ.123
6. გამოყენებული ლიტერატურა-----	გვ.128

შესავალი

მიმდინარე ისტორიული თუ პოლიტიკური პროცესები ყოველთვის მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა საქართველოს კულტურულ ვითარებაზე, უფრო მეტიც, იგი გახლდათ განმსაზღვრელი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა. მეცხრამეტე საუკუნის პოლიტიკურმა მოვლენებმა კი მთლიანად შეცვალა ქვეყნის არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ სულიერი განვითარების გზა, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მანამდე არსებულ ღირებულებათა გადაფასება. ამან კი მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ქართველი ხალხის სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკურ, რელიგიურ და კულტურულ ცნობიერებაზე.

სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ და რუსიფიკაციულმა პოლიტიკამ ამ პერიოდის მთავარ საკითხად ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება აქცია, რომელიც მთელი სიმძაფრით აისახა როგორც ქართველი ხალხის პოლიტიკურ ქმედებაში, ასევე მის კულტურულ და ლიტერატურულ შეხედულებებშიც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პერიოდის დოკუმენტურ - მხატვრული პროზა და პუბლიცისტიკა, რადგანაც ის ყველაზე მკაფიოდ ასახავდა საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარ პრობლემებსა და მისწრაფებებს. თავის მხრივ კი ისტორიულ მოვლენათა სწრაფი მდინარეობა განაპირობებდა ამ ჟანრის ნაშრომთა სიმრავლეს.

განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოჩინდა ქართულ პუბლიცისტიკაში აჭარის პრობლემა, რომლის მიზეზიც მე-19 საუკუნის შუა წლებიდან ოსმალეთის მხრიდან აჭარის მოსახლეობის მიმართ განსაკუთრებით მწვავე რეპრესიები გახლდათ, რასაც ადგილობრივები აჯანყებით პასუხობდნენ. 1877-1878 წლების ომმა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო მოსახლეობა.

დაიწყო აჭარაში ქართველთა ეთნოწმენდა, რაც გულისხმობდა აჭარის ოსმალეთის იმპერიისგან გათავისუფლების შემდეგ რუსეთის მიერ რეგიონის მოსახლეობის განწმენდის სურვილს. სხვადასხვა პროვოკაციების, დაშინებისა და აგენტურული მუშაობის შედეგად მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო. ამ პროცესით განსაკუთრებით მაჭახლის ხეობა დაზარალდა. ათი ათასობით აქ მცხოვრები ქართველი ოსმალეთის იმპერიაში გადასახლდა.

ომის შეწყვეტის შემდეგაც მშვიდობას ბათუმსა და მთლიანად აჭარაში მაინც არ დაუსადგურებია. ამ რთულ ვითარებაში მნიშვნელოვანი გახლდათ მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე ჩვენი საზოგადო მოღვაწეების, მამულიშვილების აჭარაში, დედასამშობლოსთან ახლად დაბრუნებულ მხარეში, ქართული ცნობიერების კვლავ გასაძლიერებლად, მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ეკონომიკურ-კულტურული წინსვლისათვის მოღვაწეობა. ეს გახლდათ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ნაწილი, რომლის ცენტრიც ბათუმი გახლდათ. ამ მნიშვნელოვან საქმეში გასათვალისწინებელი იყო აქაურ მკვიდრთა, თანამომხმეებთან სამსაუკუნოვანი განშორება-გაუცხოება, სარწმუნოებრივი განსხვავება და თურქთა ბატონობით გამოწვეული შეჭირვებული ცხოვრება.

ქართულ ეროვნულ ცნობიერებას ძლიერი დარტყმა მიაყენა მე-19 საუკუნის დამდეგს დიდმა ტრაგედიამ – რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ. რუსეთის კოლონიის პოლიტიკური მიზანი იყო ქართველი კაცის შეგნებიდან ცნებების „ქართულისა“ და „საქართველოს“ აღმოფხვრა, ქართული ენის განდევნა და საქართველოს გადაქცევა რუსეთის სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად. დაპირისპირება, რომელიც იმ დროს ორ სახელმწიფოს შორის მიმდინარეობდა რთულად და მტკინვეულად აისახა აჭარაზე. ამ ისტორიულ მხარეში დაუნდობელი „ბრძოლის“ შედეგად დაიწყო გადასახლების პროცესი, რომელსაც მუჰაჯირობა ეწოდა.

ზემოთ დასახელებულ რთულ პროცესებს, ქართველ მამულიშვილებთან ერთად, კალმითა და გამჭრიახი გონებით ებრძოდნენ ქართველი პუბლიცისტები, საზოგადო მოღვაწეები და მწერლები.

მე-19 საუკუნის ქართულმა მწერლობამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპოქა შექმნა ჩვენს ლიტერატურულ ისტორიაში. მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა ეროვნული პრესა, მწერლობა ნამდვილად ჩადგა ხალხის სამსახურში. 60 - იანელები აქტიური ძალისხმევითა და თაოსნობით, ახლოს მივიდნენ საზოგადოებასთან და უშუალო კავშირი დაამყარეს მასთან. ილიას და აკაკის სამწერლო კონცეფცია „დაქუცმაცებული და გათითოკაცებული“ „ქვეყნის გაციებული გულის გათბობას“ ისახავდა მიზნად. ჩვენი მწერლები განსაკუთრებით ზრუნავდნენ, რომ მათი სიტყვა მკითხველისთვის გასაგები ყოფილიყო. ამგვარი ნაწერები ცნობისმოყვარეობასაც

უკმაყოფილებდა და მრავალფეროვნების ხილვითაც ახარებდა მკითხველს. ამასთანავე ასეთი ნაწარმოებები ეროვნული ცნობიერების ამაღლებასაც ემსახურებოდა. მითუმეტეს ქართული მწერლობა ამ კუთხით საკმაოდ მდიდარ ტრადიციებს ატარებდა სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობიდან“ დაწყებული ილიას „მგზავრის წერილებით“ დასრულებული. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჟანრი მეტად არამდგრადია თავისი ტიპოლოგიური ნიშნების განსაზღვრის თვალსაზრისით, მაგრამ რაონედობრივი და თემატური მრავალფეროვნების გამო უაღრესად საინტერესო საკვლევ მასალად გვესახება. ამან განაპირობა სწორედ ჩვენი ამ თემით დაინტერესება და სწორედ ეს განსაზღვრავს მის აქტუალობასაც.

საინტერესოა, რომ ერის ამა თუ იმ ეპოქაში ცხოვრების სურათის სრულყოფილად აღსადგენად, აუცილებელია არა მარტო მაღალმხატვრულ-ესთეტიკური დონის თხზულებების შესწავლა, არამედ ნაკლებად ესთეტიკურ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ პროდუქციასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რამდენადაც სწორედ მასში უტყუარად აირეკლება საკითხთა აქტუალობა. ილიას სიტყვებით „ერი სულის საგანძეა“ სწორედ ამ თვალსაზრისით არის საინტერესო თუ რა ადგილს იჭერდა მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში ასეულობით წლების წინათ ისტორიული ჩარხის ტრიალის გამო ეროვნული სარწმუნოების ჩამოშორებული საქართველოს შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ აღმოჩენილი მაჰმადიანი ქართველების ბედი მრავალმხრივ და მრავალფეროვან ქართულ დოკუმენტურ-მხატვრულ მწერლობაში; რამდენად იყო ერის მეხსიერებაში დალექილი თავისი ეროვნული ნაწილის ხვედრი და უშლიდა თუ არა მონათესავე ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციას განსხვავებული სარწმუნოება? რას წერდნენ ქართველი მოღვაწეები ფერეიდნის, საინგილოს, ქართველ-აჭარის, ლაზისტანის, სამცხე-საათაბაგოს, ტაო-კლარჯეთის წარსულისა და აწმყოს შესახებ და მათთან ურთიერთობის რა პერსპექტივებს ხედავდნენ ისინი.

კვლევის მეთოდოლოგიად განვსაზღვრეთ მასალათა თავდაპირველი შეგროვებისა და მათი ანალიზის მეთოდი. ისტორიული მეთოდი, რომელმაც საშუალება მოგვცა შეგვესწავლა წარსული მოვლენები და გაგვეკეთებინა მათი ობიექტური შეფასება. შედარებითი მეთოდი, რომელიც ისტორიულ მეთოდთან

დავაკავშირეთ, რამაც მოგვცა საშუალება სხვადასხვა მასალათა ურთიერთშე-
დარებისა. ზოგიერთ შემთხვევებში მივმართეთ მასალებზე დაკვირვების მეთოდს,
რამაც მასალათა მოპოვების საშუალება მოგვცა და ამ მიმართებაში გამოვიყენეთ ე.წ.
აღწერილობითი კვლევა. ამ ყველაფერს დავაფუძნეთ შეფასებითი კვლევა სისტემური
ანალიზით. რასაც ცალკეული ნაწილების კვლევის საფუძველზე საბოლოო ერთიან
შედეგებამდე მივყავართ.

მოსალოდნელი შედეგები, რომლებსაც საკითხის კვლევის მოკრძალებული
მცდელობიდან მოველით, არის იმედი, რომ იგი მცირეოდენ წვლილს მაინც შეიტანს
ქართველი ერის ფსიქო-ეთნიკური და გენეტიკური ხასიათის საკითხის შესწავლაში:
ასევე იქნება ჩვენი წინაპარების ღვაწლის გარკვეულად შეფასება-დაფასება და
მადლიერი თაობის მიერ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გამოხატვის ერთ-
ერთი მცდელობაც. აღნიშნული გარემოებები განსაზღვრავს შერჩეული პრობლემის
აქტუალურობას.

თავი I
სამუსლიმანო საქართველო მეცხრამეტე საუკუნის
დოკუმენტურ - მხატვრულ პროზაში

თავდაპირველად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყურადღება გავამახვილოთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა სამუსლიმანო საქართველოს, რომელიც აჭარის გარდა სამცხე - ჯავახეთს, საინგილოსა და საქართველოს სხვა კუთხეებსაც მოიცავს, პრობლემატიკის ასახვა მეცხრამეტე საუკუნის პროზაში. ამ მიმართებით ცალკეულ პარაგრაფებად გამოვყოფთ იმ ავტორების პუბლიკაციებს, რომლებმაც მთელი სრულყოფილებით წამოსწიეს არსებული პრობლემა.

§ 1 - გიორგი ყაზბეგი

იმ ქართველ მამულიშვილებზე საუბრისას, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს გაერთიანებისა და ერთიანი ეროვნული სულისკვეთების ჩამოყალიბებაში, გვერდს ვერ ავუვლით ისეთ გამორჩეულ პიროვნებას, როგორც გიორგი ყაზბეგი გახლდათ. იგი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც შეძლო და მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შემოიარა სამხრეთ საქართველოს ისტორიული პროვინციები და დოკუმენტური პროზის სახით შემოგვინახა რეალური სოციალური და პოლიტიკური სურათი, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევიქმნათ ერთიანი სურათი სამხრეთ -დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პროცესებისა. „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ - ასე უწოდა მან თავის წიგნს, რომლის დასაწყისში იგი წერს: „1874 წლის გაზაფხულზე ვისარგებლე ხელსაყრელი შემთხვევით და ვიმოგზაურე თურქეთის საქართველოში.“ - წერს იგი. (ყაზბეგი1995:13);

განსაკუთრებით საინტერესოდ აღწერს ავტორი აჭარაში მოგზაურობას. მას არ გამორჩენია თითქმის არც ერთი დეტალი დაწყებული მკვიდრთა გარეგნობიდან, დამთავრებული ადათ-წესებით. განსაკუთრებულად აღწერს ხულოს მედრესეებს და აჭარაში შემორჩენილ ერთადერთ ქრისტიანულ ტაძარს - სხლათის ეკლესიას.

გიორგი ყაზბეგის ისტორიული მოგზაურობა აჭარაში, რომელსაც სიმბოლურად „მოგზაურობა თურქეთის საქართველოში“ უწოდა, 1874 წლის გაზაფხულიდან იწყება

პუბლიცისტმა მოგზაურობა ახასთუმნიდან, სასაზღვრო სოფელ დერცელიდან დაიწყო. მიუხედავად ზამთრის სუსხისა, მოგზაური აღფრთოვანებით აღწერდა აჭარის ბუნებას, სოფლების განსაკუთრებულ სილამაზეს. პირველი მასპინძელი სოფელი ღორჯომი ყოფილა. „ღორჯომში ორი დღე დავყავით, მთელი ჩვენი ყურადღება ახალმა ქვეყანამ და ახალმა ხალხმა შთანთქა. აქ საქმეს გამონახავს სწავლული მოგზაურიც და უბრალო ტურისტიც.“ (ყაზბეგი 1995:33); გ. ყაზბეგის აღწერით სოფელი ღორჯომი გაშენებული ყოფილა თემებად, რომელთაც ერთმანეთთან აკავშირებდათ საერთო ადმინისტრაცია და ჯამეები. ღორჯომელთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი დღე, პარასკევი გახლადთ, რადგან სწორედ ამ დღეს ხვდებოდნენ ჯამეებში სალოცავად მისული სხვადასხვა თემის მცხოვრებლები ერთმანეთს. აი როგორ აღწერს ამ პროცესს ავტორი: „კვირაში ერთხელ (პარასკეობით) მართლმორწმუნენი მეჩეთში იკრიბებიან, სადაც ლოცვის შემდეგ მეჯლისი არჩევს მცხოვრებთა საჩივარს. სოფლის მეჯლისი (კრება) აქაური ადგილობრივი ადმინისტრაციის უმდაბლესი ინსტანციაა; შემდეგაა სასამართლო და მუდირის (გამგებელი) მმართველობა (ხულოში), მას მისდევს - სასამართლო და კაიმაკამის (ხელისუფლების წარმომადგენელი ამა თუ იმ ადმინისტრაციაში) მმართველობა (ქედაში), დაბოლოს, მუთესარიფი (მხარის გამგებელი) (ბათუმში).“ (ყაზბეგი 1995:34); ამ მცირე ამონარიდით ავტორმა შეძლო ჩვენთვის ეჩვენებინა აჭარაში ოსმალეთის მმართველობის სტრუქტურა.

გარდა პოლიტიკური მოწყობისა, გიორგი ყაზბეგი სოფელ ღორჯომის ძველი ეკლესიის ნანგრევებსაც აღწერდა, რომელსაც ადგილობრივები ნასაყდრალს ეძახდნენ: „აქ არ შემონახულა არავითარი წარწერა, არც რაიმე თქმულება ამ ეკლესიის წარსულის შესახებ.“ (ყაზბეგი 1995:35); ეკლესიის ადგილას მხოლოდ ქვების გროვადა ყოფილა შემორჩენილი, მაგრამ მიუხედავად ამისა მოსახლეობა მაინც მოწიწებით ექცეოდა ამ ნაშთებს.

გიორგი ყაზბეგი მოგზაურობას ღორჯომიდან ხულოსკენ განაგრძობდა - „რაც უფრო შორს მივდიოდით, მით უფრო ვიჭრებოდით ღრმა ხევში, რომელსაც მეტად მჭიდროდ ეკვრიან გარშემო მდებარე მთები“ (ყაზბეგი 1995:36); ხულოსკენ მიმავალ მოგზაურს გზად სოფელი დიდაჭარა გაუვლია, სადაც ღორჯომში ნანახი ლამაზი

ბუნება შენარჩუნებულა. მაგრამ გზა ძალზედ რთული გადასალახი და დამღლევი გახლდათ: „სოფელი დიდაჭარა ბაღებშია ჩაფლული, ძლივს თუ დაინახავთ აქა-იქ ამოშვერილ სახლებს; სამაგიეროდ გზა უფრო და უფრო უხეირო და ქვიანი ხდება... ეს გზა გაიყვანა მცხოვრებთა გამოუცდელმა ხელმა“ (ყაზბეგი 1995:36); მიუხედავად გზის და ზოგადად მოგზაურობის სირთულისა, ავტორის სურვილი სრულიად აჭარის მონახულებისა იმდენად დიდი ყოფილა, რომ ეს რთული, დამაბრკოლებელი გზაც გადალახა და მიაღწა კიდეც ზემო აჭარის დედაქალაქს - ხულოს, რომელსაც, ავტორის თქმით, სახელწოდება ქრისტიანობის დროს იქ მცხოვრები დიაკვნისაგან მიუღია: „ხიდიდან, რომელმაც სახელწოდება სოფელთან ერთად მიიღო ქრისტიანობის დროს ამ მცხოვრებ ვინმე დიაკვნისაგან, იწყება აღმართი; ეს უკვე ხულოს, ზემო აჭარის დედაქალაქის, ტერიტორიაა“ (ყაზბეგი 1995:37);

ხულოში მოგზაურს უმასპინძლა ადგილობრივმა ბეგმა. მასპინძლის სახლის სხვა მცხოვრებთა სახლების მსგავსი ყოფილა, განსხვავება მხოლოდ ამ სახლის ოთახების სიმრავლე ყოფილა. სწორედ, ბეგის სახლის მთავარ ფლიგელში, საყონადოში მოათავსეს სტუმრები. ბეგის სახლთან ახლოს, ეკლესიის საძირკველზე აუშენებიათ მეჩეთი, რომლის ახლოსაც არის მედრესე. აი როგორ აღწერს ამ ყველაფერს გიორგი ყაზბეგი: „ეს თავისებური სასახლე გარემოცულია მუსლიმანური სამყაროს ბატონთათვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტით; აქვე ახლოა მეჩეთი - დიდი კვადრატული ნაგებობა, აშენებული ძველი ქრისტიანული ეკლესიის საძირკველზე. მეჩეთის მახლობლად არის მედრესე და დიდი გადახურული აუზი, სადაც მართლმორწმუნე ქართველები იკრიბებიან და დარაბაისლურ მასლაათში ატარებენ დროს“ (ყაზბეგი 1995: 37-38); იქვე მედრესესთან არსებულა ძველი ხის სკოლა, რომელთა ოთახების უმრავლესობა დაკეტილი ყოფილა. ეს ოთახები კი მოლა- მასწავლებლებს ეკავათ: „ზაფხულში მოსწავლეთა რიცხვი 20-ს არ აღემატება, ზამთარში კი 50-60 ბიჭი დადის“ (ყაზბეგი 1995:38);

მედრესეს გვერდით ყოფილა ვარდის ხშირი ბუჩქებით დაფარული საფლავეები, რომელიც ბეგის ოჯახის გარდაცვლილ წევრებს ეკუთვნოდათ. ბეგის სამოსახლოს ირგვლივ გაშენებულიყოფილა რამდენიმე ათეული სახლი, რომელიც ხულოს თემს შადგენდა. იქვე, ბეგის სახლში მოთავსებული იყო „მეჯლისი“ (ყაზბეგი 1995:39);

სადაც იმართებოდა სასამართლოები. უამრავი ხალხი იკრიბებოდა სამართლის საძებნელად. სწორედ, რომ მათზე დაკვირვებით შეისწავლა გიორგი ყაზბეგმა აჭარლების ხასიათი, მათი დამოკიდებულება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე. თუმცა ამაზე ცოტა მოგვიანებით.

გიორგი ყაზბეგმა რამოდენიმე დღე დაჰყო ხულოში და სოფელ ჩაოს გავლით ესტუმრა სხალთას, სადაც მას სხალთის ბეგმა უმასპინძლა. ბეგის სახლი მეტად საუცხოოდ მოეჩვენა პუბლიცისტს. სახლს, რომელსაც ევროპული იერი დაჰკრავდა, ამშვენებდა საუცხოო ჯიშის ხეები: ზეთისხილი, კვიპაროსი და ა.შ.

მოგზაურობისას გიორგი ყაზბეგმა ყურადღება გაამახვილა სხალთის ისტორიულ მნიშვნელობაზე - „ძველი სოფლის ადგილას მხოლოდ ტაძრის ნანგრევებია, რომლის მახლობლად დგას შერიფ-ბეგის - ზემო აჭარის ახლანდელი უფროსის სახლი... ერთნი ამბობენ, რომ აჭაური მცხოვრებლები უკანასკნელ ქრისტიან ეპისკოპოსთან ერთად იმერეთში გადასახლდნენ და ეკლესიიდან თან წაიღეს წმინდანთა ხატები; მეორენი კი ამტკიცებენ, მოსახლეობა ადგილობრივ ციებიან ჰავას გაექცაო“ (ყაზბეგი 1995:41); ავტორს უკანასკნელი მოსაზრებისა უფრო სჯეროდა, რადგან სხლათა ერთ-ერთი ყველაზე ცივი ადგილი ყოფილა, სადაც საბოლოოდ დარჩენას ვერავინ ბედავდა.

მართალია გიორგი ყაზბეგმა მთელი სისრულით აღწერა ზემო აჭარის სილამაზე, მაგრამ მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა მის მიერ დანახული ზემო აჭარის მოსახლეობის ადათ-წესები და რელიგიური წეს-ჩვეულებები. ავტორის თქმით აჭარის მოსახლეობის უმრავლესობა ქართველები ყოფილან, მცირედი ნაწილი იყო სომხები და ბერძნები... „აქ გურული ტანსაცმელი აცვიათ. რელიგიის მხრივ აჭარლები საკმაოდ მკაცრი მუსლიმანები არიან.“ (ყაზბეგი 1995:60);

აჭარის რეგიონის მოსახლეობა ქართულად ლაპარაკობდა, თუმცა მოზრდილებმა თურქული ენაც იცოდნენ. გადმოცემის თანახმად, თხუთმეტი წლის წინ იქ მცხოვრებთა მოსახლეობამ არ იცოდა თურქული ენა, მაგრამ პოლიტიკურმა დამოკიდებულებამ და თურქთა ბატონობამ აჭარაზე, ხელი შეუწყო თურქული ენის პოპულარიზაციას. იმ დროს აჭარაში ქართული და თურქული წერა-კითხვის არმცოდნენი იყვნენ ბევრნი, რა თქმა უნდა ბეგების ოჯახის წევრების გამოკლებით.

არსებობდა მხოლოდ მედრესეები, რომელშიც ყურანსა და მაჰმადიანურ საეკლესიო წესდებებს ასწავლიდნენ. – „აჭარლების ზნეობრივი თვისებები ამოიწურა მაჰმადიანური რწმენის დოგმატების და ჩვევების პასიური ცოდნით, მამაცობით და ბეგის ძველი გავრისადმი ერთგულებით...“ (ყაზბეგი 1995:61);

გიორგი ყაზბეგის გადმოცემით, გაუსაძლისი იყოს ზემო აჭარის მოსახლეობისათვის ის პირობები და ვალდებულებები, რაც თურქეთის მხარემ დააკისრა მე-19 საუკუნეში „თურქეთის საქართველოდ“ წოდებულ ისტორიულ აჭარას, მაგრამ ძალზედ მტკინვეული აღმოჩნდა სამხრეთ საქართველოს მოსახლეობისათვის რელიგიური მრწამსისა და შეხედულებების უგულებელყოფა, რაც საუკუნოდ დააჩნდა ამ ისტორიულ რეგიონს.

მოგზაური შეეცადა ნათლად აელწერა ზემო აჭარის, როგორც გეოგრაფიული, ბუნებრივი სილამაზე, აგრეთვე ის წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, რაც აჭარის მოსახლეობამ, თურქეთის მხრიდან დიდი ზეწოლის მოიუხედავად შეინარჩუნა.

მკვლევარი აჭარლების ადათ-წესებს ადარებდა კავკასიის სხვა მთიელი ხალხის ტრადიციებს და ისეთ საერთო მახასიათებლებს პოულობდა, როგორც იყო პატრიარქალურობა, მოხუცისადმი პატივისცემა, სტუმარ-მასპინძლობა და რაოდენაც გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, მოგზაურის გადმოცემით - „რაც ამიერკავკასიაში იშვიათად გვხვდება - შრომისმოყვარეობა.“ (ყაზბეგი 1995:61); აჭარულ ოჯახებში დიასახლისი უძღვებოდა სახლის საქმეებს, ხოლო მამაკაცი ძირითადად გარეთ გადიოდა საშრომელად. მაღალმთიან აჭარაში ავადმყოფობა თითქმის არავის აწუხებდა, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა. მოგზაურის ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს მისი კეთილგანწყობა და აღფრთოვანება, აჭარაში მცხოვრები ხალხის შრომისუნარიანობისა და გამძლეობაზე.

რაც შეეხება გადასახადებს, „თურქეთის საქართველოში“ კონსტანტინეპოლიდან მიდიოდნენ იმპერიის წარმომადგენლები, რათა სულთნისთვის დროულად აეკრიბათ გადასახადები. მოსახლეობაც შეგუებული იყო ამ აზრთან. მათი ერთადერთი სურვილი გახლდათ, რომ სულთანს გადასახადები არ გაეზარდა, თუმცა ამოდ. დროთა განმავლობაში გადასახადი იზრდებოდა და მოსახლეობაც იძულებული იყო მიეღო სულთნის განკარგულება.

გიორგი ყაზბეგი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის იმის შესახებ, რომ იმ დროისათვის აჭარა თურქეთის კუთვნილებას, სანჯაყს, წარმოადგენდა, რომელსაც ხიმშიაშვილის გვარი მართავდა. ხიმშიაშვილები იყვნენ, პირდაპირი გამტარებლები იმ კანონებისა და რეფორმებისა, რასაც სულთანი აწესებდა. ავტორის თქმით, სწორედ, ამ გვარის წყალობითა და თაოსნობით მისულან აჭარაში თურქი მოხელეები, სანაცვლოდ, კი თავად ხიმშიაშვილთა საგვარეულო სახელმწიფო ვალდებულებებისაგან გათავისუფლებულა. იქვე ავტორი წარმოგვიდგენს იმ გადასახადებს, რომლებიც მოსახლეობას ეკისრებოდა. მაგალითად გადასახადი ცხვარზე, თხაზე, თამბაქოზე და ა.შ. „მაშასადამე, ზემო აჭარის თითოეულ კომლზე წლიურად მოდის 9 მან. 50 კაპ. გადასახადი“. (ყაზბეგი 1995:64);

აჭარაში არსებულ საგადასახადო სისტემაზე საუბრისას გიორგი ყაზბეგი გარკვეულ შედარებებს აკეთებდა თურქეთის მმართველობის ქვეშ მყოფ საქართველოს სხვა რეგიონებთან და მიდის დასკვნამდე, რომ განსხვავებით სხვა რეგიონებისგან, აჭარა გადასახადების თვალსაზრისით, ისეთ გაუსაძლის და მძიმე პირობებში არ იყო, როგორც შავშეთი, არტანუჯი და სხვა. იმდროისათვის თურქეთის მთავრობას ვერ გაეხედა აჭარის რეგიონის მოსახლეობისათვის მოეთხოვა ის არაპირდაპირი გადასახადები, რასაც მათ მიერ კონტროლირებად სხვა რეგიონებს აკისრებდა.

პუბლიცისტი აჭარის ისტორიულ მეხსიერებასა და ტკივილიან წარსულზე საუბრობს, როცა წერს, რომ „აჭარელთა თქმულებანი წარსულ საუკუნეს არ სცილდება, ისე კი ყველგან და ყველასგან გაიგონებთ თამარ მეფის სახელს, ან მოისმენთ იმ ამბავს, რომ ოდესღაც მთელი აჭარა ქრისტიანული ქვეყანა იყო, რომ მთებს იქით ცხოვრობენ მათი ძმები და ნათესავები - ქართველების.“ (ყაზბეგი 1995:65);

ამ მცირე ამონარიდიდან ვასკვნით, რომ გიორგი ყაზბეგის თვალს, მიუხედავად არსებული მდგომარეობისა, არ გამოპარვია ამ კუთხის მოსახლეობის განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა თამარ მეფისადმი, რომელიც მათ ისტორიულ მეხსიერებად შემოინახეს საუკუნეებისა და ბედუკუდმართობის მიუხედავად. აქვე დასძენდა ავტორი, რომ მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობა

გულისტკივილით და მომავლის იმედით იხსენებს, იმ ძლიერებას, რაც ამ კუთხეს ოდითგან ახასიათებდაო.

გიორგი ყაზბეგი არც ხიმშიაშვილების გვარის წარსულსა და აჭარის გათურქებაში მათ „დამსახურებას“ ივიწყებდა. იგი გვიამბობს, რომ თავდაპირველად ხიმშიაშვილების წინაპარი რიგითი მოსახლე ყოფილა, მაგრამ სიმდიდრისა და გამჭრიახობის წყალობით მისთვის ბეგობა უწოდებიათ. ამას შემდეგ ისინი თავიანთი ძალაუფლებით სარგებლობდნენ და აჭარაში თურქთა გაბატონებასაც ხელი შეუწყვეს, სამაგიეროდ კი დამატებითი გადასახადებიდან გათავისუფლდნენ. ისინი ცდილობდნენ ყველანაირად შეეშალათ ხელი რუსების აჭარაში შემოსვლისათვის. ახმედ-ფაშა, რომელიც ხიმშიაშვილების შთამომავალი იყო, გაიგო რა, რომ რუსის ჯარი ბათუმისკენ მიემართებოდნენ - „შემოიკრიბა სამასი-ოთხასი აჭარელი და გადაწყვიტა რუსები ბათუმში არ გაეშვა. რუსები ხულოში ორ ღამეს დარჩნენ, მერე კი უკან გაბრუნდნენ ღორჯომის გზით.“(ყაზბეგი 1995:67); ახმედ-ფაშას დავალებით აჭარლები რუსებს დაედევნენ და დიდ ლოდებს მთებიდან აგორებდნენ, რათა რუსის ჯარს გაძნელებოდა სვლა.

ახმედ-ფაშას ეს ამაგი არ დაუკარგა ოსმალეთის მთავრობამ. მას და მისს ძმებს დაინაწილებიათ დაპყრობილი ტერიტორიები. ზოგს შავშეთი ერგო, ზოგს აჭარა, არტანუჯი და ა.შ. – „ახმედ-ფაშას სამსახურებრივი კარიერის წყალობით ხიმშიაშვილების გვარი დაეპატრონა მთელს თურქეთის საქართველოს.“ (ყაზბეგი 1995:68);

მოგვიანებით ოსმალეთის მთავრობას ხიმშიაშვილებისათვის საგვარეულოს ყველა საბუთისა და წესდების გადაცემა უთხოვია, რის შემდეგაც ოსმალეთის მთავრობამ განაცხადა: „იმპერიის ყველა ქვეშევრდომი, განურჩევლად კლასისა და რელიგიისა, ერთნარ საფუძველზე იხდის გადასახადსო.“ ავტორი ასკვნის, რომ ამ აქტით დასრულდა თავისუფალი აჭარის ისტორია.“ (ყაზბეგი 1995:69);

აჭარაში მოგზაურობის შემდეგ გიორგი ყაზბეგი შავშეთს ესტუმრა. როგორც მ.ჩოხარაძე აღნიშნავს „ამ პერიოდისათვის ყველაზე სრულყოფილი ცნობები შავშეთის ქართული სოფლების შესახებ სწორედ გიორგი ყაზბეგს ეკუთვნის. იგი ჩართული იყო ამაღლაში გენერალ გრიგოლ გურიელისა, რომელიც ფორმალურად

თითქოს თურქეთის საქართველოში მცხოვრები ნათესავების, აწარელი და შავშელი ხიმშიაშვილების მოსანახულებლად მოგზაურობდა, სინამდვილეში ეს იყო დაზვერვითი ექსპედიცია რუსეთ-თურქეთის მოსალოდნელი ომის შემდეგ... ყაზბეგმა შავშეთში ათიოდე დღე დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში თითქმის მთელი ეს მხარე მოიარა.“(ჩოხარაძე 2011:24-25);

განსაკუთრებით საინტერესოა გიროგი ყაზბეგის მიერ დახასიათებული შავშეთი, რომელიც დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა მოქცეული. „ამ მხარეზე ჩვენი წინასწარი ცნობები ძალზე ძუნწი იყო, ევროპის გეოგრაფიულ თხუზულებებში შავშეთზე არაფერია ნათქვამი, თითქოსდა ეს მხარე დედამიწაზე არც კი არსებობდა.“ (ყაზბეგი 1995:70);

იმ დროს შავშეთში მოიაზრებოდა - არსიანის, კარჩხალისა და იალამუსცანის ქედებს შორის მოქცეული სივრცე. ეს სივრცე იყოფოდა ორ ნაწილად. პირველი ნაწილი შედგებოდა იმერხევის ხეობისაგან და მეორე ნაწილი, ანუ დაბლობი შავშეთისაგან.

ავტორი აღფრთოვანებით გვიხატავს იმერხევისა და შავშეთის შესანიშნავ ბუნებას და აღწერს - მდინარეებს, მთებს, მცენარეებს, რომლებიც მკვეთრი კონტურებით გამოირჩეოდა: „იმერხევის მდინარეები მკვეთრ დაღმართებზე მიედინება და დასახლებული ადგილები დაჯგუფებულია იმ ხეობებში, სადაც გზები გადის. შავშეთის ბარის, ანუ სამხრეთის ნაწილი, რომელიც ზოგჯერ შავშეთად იწოდება, სხვა ხასიათისაა. აქ მთის განშტოებები დიდ ფარდობებად იშლება და დასახლებებიც მეტნაკლებად ხეობებიდან გამოდის.“(ყაზბეგი 1995:74);

გ. ყაზბეგის მონაცემებით შავშეთი და იმერხევი ორმოცდათვრამეტი სოფლისაგან შედგებოდა. შავშეთში ორი ეროვნების ხალხი ცხოვრობდა ქართველები და სომხები. თუმცა სომხები შედარებით მცირერიცხოვანნი იყვნენ. 2000 ათასი კომლიდან, 145 კომლს სომხები წარმოადგენდნენ. შავშეთში მცხოვრები ქართველები „კაკასიის მთიულების აქცენტით ლაპარაკობენ.“ (ყაზბეგი 1995:90);

ავტორის გადმოცემით, მიუხედავად შავშეთში ქართველთა მრავალრიცხოვნებისა, იშვიათად თუ შეხვდებოდით ქართლად მოსაუბრეს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტი გახლდათ, რომ ქართულის ნაცვლად თურქულს იყენებდნენ სასაუბროდ,

მიუხედავად იმისა რომ აღიარებდნენ თავიანთ გურჯობას. „საჭიროა აღინიშნოს, რომ დიდი გზის გასწვრივ განლაგებული სოფლების მცხოვრებლებმა მთლიანად დაივიწყეს ქართული ენა, თუმცა ყველა მათგანი დაუფარავად ამბობს, რომ მათი მამები გურჯები იყვნენ.“(ყაზბეგი 1995:90);

შავშეთში არსებული სოფლებიდან მხოლოდ თორმეტში შეიძლებოდა სასაუბრო ქართულის გაგონება, რის გამოც მათ გურჯისტანს უწოდებდნენ.

შავშეთში ოსმალების გავლენა მეტად ძლიერი ყოფილა. ავტორი ამას ახალციხის, ერზრუმისა და ოლთის სიახლოვით ხსნის - „ამ გარემოებით აიხსნება აგრეთვე ისიც, რომ შავშელები აჭარლებზე ადრე მოიქცნენ მაჰმადიანობისაკენ.“ (ყაზბეგი 1995:91); მათ ხშირი შეტაკებები უწევდათ თურქებთან, რამაც გარკვეულწილად იმოქმედა შავშელების ზნეობაზეც.

გიორგი ყაზბეგი იხსენებდა ბაგრატ III და ბაგრატ IV, რომლებმაც არაერთხელ იხსნეს ეს მხარე მტრებისაგან. ავტორის თქმით „ახლა კი იმდენად მშიშარები გამხდარან, რომ აჭარლებს სალაპარაკოდ ექცათ.“ (ყაზბეგი 1995:91);

გიორგი ყაზბეგს შავშეთში მოგზაურობისას, ადგილობრივი მოსახლეობისაგან მოუსმენია მრავალი ამბავი, შთაბეჭდილებები კი შემდეგ წერილობით გადმოუცია.

ავტორისაგან ვიგებთ, რომ იმხანად მეტად დაჩაჩანაკებული და გაჭირვებული ყოფილა სოფელი ყვირალა „ჩვენ შეგვზარა აქაურთა განსაკუთრებულმა გამომეტყველებამ. მათ საცოდავი სახე აქვთ და გონებრივად განუვითარებელნი არიან. აქ ერთ ყოჩალსაც ვერ ნახავ - ყველა ძონძებში, მჭმუნვარე და დაბალი ტანისანი არიან.“ (ყაზბეგი 1995:91); თუმცა გაურკვეველია რის საფუძველზე გამოაქვს ავტორს მსგავსი დასკვნები.

საბედნიეროდ ავტორი გვამცნობს, რომ შავშეთის მთლიანი მოსახლეობა არ ჰგავდა ყვირალას მცხოვრებლებს. გიორგი ყაზბეგს მაგალითად მოჰყავს სოფელი სათლელი, რომელიც ბევრად განსხვავდებოდა სოფელი ყვირალისაგან, მხოლოდ ეკონომიკური მდგომარეობით, თორემ ამ სოფლის მოსახლეობაც ზნეობრივად განადგურებულნი გახლდნენ. ავტორი აქვე დასძენს, რომ განსაკუთრებული საცოდაობით სომხები გამოირჩეოდნენ - „მათ წინააღდეგაა ღმერთიც და ხალხიც.“ (ყაზბეგი 1995:91);

განსაკუთრებით საინტერესოა იმერხევის მოსახლეობის ყაზბეგისეული დანასიათება: „ისინი პირქუში, მაგრამ შავშელებზე უფრო მამაცი და ლამაზები არიან. იმერხევი ქართული ტიპი სუფთაა. აქ ძალზე ლამაზ სახეებსაც შეხდები, შავშელების ტანსაცმელი ისეთივეა, როგორც აჭარლებისა.“ (ყაზბეგი 1995:91);

გიორგი ყაზბეგი შავშელებს მშიშრებს უწოდებდა. მიზეზი კი სულთნის ბრძანება გახლდათ განიარაღებაზე, რასაც შავშელები განსხვავებით აჭარლებისა და მაჭახლელებისაგან, უყოყმანოდ დასთანხმებულან. ამ ფაქტის შემდეგ, მრავალი დამცირება გადაუტანია შავშეთის მოსახლეობას მეზობელი აჭარლებისა და მაჭახლელებისაგან.

თუმცა, კიდევ უფრო უარეს დღეში ყოფილან სომხები, რომლებსაც თავად შავშელები ძარცვადნენ. მათ სომხები გამოუყრიათ სახლიდან, რათა მეპატრონეს დიდ ოთახში ცეკვა-თამაში გაემართათ.

მოსახლეობას შორის არსებულ დაძაბულობას ემატებოდა საკმაოდ მაღალი გადასახადები. ერთ-ერთ სოფელში ადგილობრივი მკვიდრი ე.წ. ყირ-სარდრად დაუნიშნავთ, რომელსაც შემოკრებილი ჰყოლია აჭარელი და ქობულეთელი ყაჩაღები. მათ მხოლოდ შავშეთში მცხოვრები, გავლენიანი პირის სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილის ემინოდათ.

ნაშროში მოყვანილ ფაქტებზე დაყრდნობით ვიგებთ, რომ შავშეთი ძალზე ღარიბი მხარე ყოფილა. ამ მხარეში იმ დროისათვის ბეგების გარდა სხვა პრივილეგირებული ფენა არ არსებობდა. ავტორის მონათხრობიდან ვიგებთ, რომ შავშეთში არსებობდა ბეგების სამი გვარი: „ძველი სამცხის ათაბაგები, იმერხევის ათაბაგები და ბეგები ხიმშიაშვილის გვარიდან.“ (ყაზბეგი 1995:94);

შავშეთში ასევე 90-მდე აზნაურის გვარი სახლობდა, რომლებსაც გლეხები ჰყავდათ მორჩილებაში. თუმცა, როდესაც ამ მხარეში თურქებმა შემოიღეს თანზიმათი, ამით გლეხოზა და აზნაუროზა გაუთანაბრდა ერთმანეთს.

თანზიმათის შემოღებას შავშეთში, ისევე როგორც აჭარაში, დიდი არეულობა და აჯანყება მოჰყა, რომელსაც სათავეში სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილი ედგა.

რაც შეეხება არტანუჯს და ლივანას, გიორგი ყაზბეგს საშუალება არ მიეცა ისევე გაცნობოდა ამ მხარეებს, როგორც შავშეთს. ამიტომ პუბლიცისტი მხოლოდ ყოველდღიური შთაბეჭდილებებით და ემოციებით შემოიფარგლა.

„პროვინცია არტანუჯი იწყება იალაუნს-ჩამის ქედის გადსასვლელიდან, გობიხვეწის მთასთან.“ (ყაზბეგი 1995:98); არტანუჯამდე გზა შავშეთიდან, ლივანისა და ართვინიდან გადის. ამ გზას თურქეთის საქართველოში, ბათმ-ყარსის გზას უწოდებდნენ.

ქალაქი არტანუჯის მოსახლეობის უმეტესობას სომხები წარმოადგენდნენ, რომლებიც 500 კომლს ითვლიდნენ.

არტანუჯის ქვემოთ მიედინებოდა იმერხევის მდინარე, რომლის მარჯვენა მხარესაც იდგა ოპიზის მონასტერი. ეს მონასტერი ლივანის ტერიტორიას ეკუთვნოდა.

ავტორი განსაკუთრებით გამოყოფს ოპიზის მონასტერს, რომელიც სოფელ ოპიზის (ეს სოფელი შედგებოდა 12 კომლისაგან) შუა მოედნაზე იდგა - „გემონებით დაგეგმარებული მოედნის შუაგულში დიდი ეკლესია იდგა. ეს ქალაქი, რომელსაც ქვის გალავანი აქვს შემოვლებული და შეუძლია რამდენიმე ასეული ადამიანი დაიტოს, არის იოანე ნათლისმცემლის ძველი ქართული მონასტერი.“ (ყაზბეგი 1995:100);

გიორგი ყაზბეგის გადმოცემით თუ ვიმსჯელებთ ოპიზის კომპლექსი საკმაოდ დიდი ყოფილა, რომელიც რამოდენიმე შენობისაგან შედგებოდა. გადმოცემით აქ ძველად იკრიბებოდნენ ღვთისმსახურები სხვადასხვა სოფლებიდან, მაგრამ აღარც სოფლები დარჩენილა და აღარც მრავალრიცხოვანი მოსახლეობა.

იქვე ავტორს ვრცლად აქვს აღწერილი ბათუმის გზის მშენებლობა და გზა არტანუჯამდე, რომელსაც გიორგი ყაზბეგი ეპოქალურ მოვლენას უწოდებდა - „ბათუმის გზატკეცილზე საუბრის დროს არ შიძლება არ აღვნიშნოთ, რომ, ჩვენი აზრით, თურქეთის საქართველოს ისტორიაში ეს გზა ეპოქას შექმნის.“ (ყაზბეგი 1995:107); ის მიიჩნევდა, რომ ამ გზას მოსალოდნელი სარგებელი უნდა მოეტანა მაცხოვრებლებისათვის - „როგორც ცნობილია, ბორბლებს მიჰყვება ცივილიზაცია და ვაჭრობა, ხოლო მის გარეშე არც ერთი იქნება დ არც მეორე.“ (ყაზბეგი 1995:108);

ამ გზას პუბლიცისტიკისათვის შავშეთის სიმდიდრისა და კეთილდღეობის მნიშვნელობა შეუძენია. იმ დროის მდგომარეობით არტანუჯი და ართვინი გზის გარეშე რჩებოდნენ. ავტორის მონაცემებით ართვინში 2000 სახლი იყო, აქედან კი 100 სომეხ-გრიგორიანელებს ეკუთვნოდათ და 600 კათოლიკე სომხებს, დანარჩენი კი მაჰმადიანებს. ქალაქს გააჩნდა ხუთი მეჩეთი, ოთხი კათოლიკური და ერთი გრიგორიანული ეკლესია. რვა ყავახანა და ორას ორმაცდაათი დუქანი.

გიორგი ყაზბეგმა შემოიარა ართვინის ეკლესიები, გაიცნო ვააჭრები, უამრავჯერ დააგემოვნა ყავა. შთაბეჭდილებებით აღსავსე კი წერდა, რომ - „ჭოროხის სანაპიროს მცხოვრებლები სუფთა ქართულს ლაპარაკობენ. ისინი ლამაზი ტიპით და კარგი გონებრივი თვისებებით გამოირჩევიან. ეს ქვეყანა ოდითგანვე სუფთა ქართული რასის აკვანს წარმოადგენდა და ახლა, ბედის უკუღმართობის მიუხედავად, შინარჩუნა თავისი ძველი ღირსებები.“ (ყაზბეგი 1995:116);

§ 2 - ზაქარია ჭიჭინაძე

XIX – XX საუკუნეების მიჯნა რთული და ამავე დროს მნიშვნელოვანი პერიოდია ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა და დედა-სამშობლოს ასწლეულების მანძილზე ჩამოშორებული ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი შემოუერთდა, აჭარა დაუბრუნდა თავის ისტორიულ სამშობლოს. ამ ისტორიულ მოვლენას თან მოჰყვა მტკინვეული პროცესი, რასაც მუჰაჯირობა ეწოდა. (მშობლიური ქვეყნიდან გადახვეწა). ადგილობრივების გადასახლებამ მრავალი ქართული ოჯახი გაანადგურა, მოწყვიტა თანამემამულეებსა და მშობლიურ მიწას.

მუჰაჯირობის პროცესი, გულისხმობდა მკვიდრი მოსახლეობის იძულებით თუნებაცოფლობით გადასახლებას ოსმალეთის იმპერიაში, რომელსაც სარწმუნოებრივი სარჩული ამყარებდა. მართალია გადასახლების პროცესი გაცილებით ადრე, კავკასიაში ოსმალეთის ბატონობის დამყარებიდან დაიწყო, რისი საფუძველიც არაერთი სოციალური თუ პოლიტიკური ფაქტორი გახლდათ, მაგრამ ყველაზე მწვავედ იგი რუსეთ-თურქეთის 1877-1878 ომის შემდეგ წარიმართა. ოსმალეთი ცდილობდა სამოთხისა და ბედნიერი ცხოვრების მაძიებელი მუჰაჯირები იმპერიის დაუსახლებელ ადგილებში, განსაკუთრებით კი რუსეთ-ოსმალეთის საზღვარზე დაესახლებინა. რუსეთს თავის მხრივ სურდა გადასახლების შედეგად გამოთავისუფლებული ტერიტორიები კოლონიზაციური მიზნების განსახორციელებლად და მთიანი რაიონები სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით გამოეყენება.

განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში გახლდნენ ქართველი მაჰმადიანები, რომლებსაც ვერ გადაეწყვიტათ დარჩენილიყვნენ სამშობლოში, რომელიც რუსეთის იმპერიაში მოექცა, თუ ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ და მისი იანიჩრები გამხდარიყვნენ. ამ რთულ ვითარებაში მეთაური სიტყვა ქართველ საზოგადო მოღვაწეთ ეთქმოდათ, რომლებიც ქვეყანაში არსებულ რთულ პროცესებს გამუდმებით თვალყურს ადევნებდნენ. ისინი გულგრილობას არ იჩენდნენ ქვეყნის მიმართ, კერძოდ კი აჭარაში არსებული პრობლემები მათთვის ძალზედ მტკინვეული გახლდათ. სხვათა გვერდით გამორჩეული ადგილი უჭირავს ზაქარია ჭიჭინაძეს,

როგორც „თავისი ერისა და ქვეყნის მოყვარე კაცს“, რომელიც ყველზე დიდი გულშემატკივარი გახლდათ აჭარისა.

ფასდაუდებელია ზაქარია ჭიჭინაძის ღვაწლი, რომელმაც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ფეხით დაიარა აჭარის სოფლები და მრავალი უნიკალური ჩანაწერი დაგვიტოვა. სამართლიანად წერდა აპოლონ წულაძე: „საქართველოს სხვა დიდებული თუ ნასწავლი პირები თუ მხოლოდ წერდნენ გრძნობიერ წერილებს და სხვებს მოუხმობდნენ, დაეხმარეთ, გაანათლეთ და დაიახლოვეთ ქართველი მუსლიმანებო, ეს პატარა კაცი მარტო წერას და სიტყვას არ ჯერდებოდა. ის პირდაპირ საქმესაც აკეთებდა, მან რამდენჯერმე თავის ფეხით მოიარა აჭარა-ქობულეთი, პირადად გაეცნო ხოჯებსა და სხვა გავლენიან პირებს, პირისპირ ძმურად ელაპარაკა ყველას... ბლომად დაარიგა ქართული წიიიგნები და ანბანი, აღწერა ყველა სოფლები, გაეცნო ძველ ისტორიას. თავისი წერილები დააბეჭდვინა გაზეთში და მერე რამდენიმე სქელტანიანი წიგნი, მის მიერ დაწერილი დააბეჭდვინა. ერთი სიტყვით ზაქარიას შრომა და ღვაწლი დაუფასებელია“ (წულაძე 1915:42);

მართალია აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნება უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლდათ, მაგრამ გადამწყვეტი ამ კუთხეში მიმქრალი ეროვნული იდენტობის გაღვივება გახლდათ, რაც სულიერ გაერთიანებას განაპირობებდა. ზაქარია ჭიჭინაძეს გათავისებული ჰქონდა ეს რთული პრობლემა და სწორედ მას მიუძღვის უდიდესი წვლილი მუსლიმ ქართველთა დედა-სამშობლოსთან ინტეგრაციის საქმეში. მან ფეხით შემოიარა აჭარა, სრულიად საქართველო და მოსახლეობას გააცნო ის პრობლემები, რომლებიც ეროვნული თვითშეგნებას, სახელმწიფოებრივ განწყობასა და რელიგიურ შემწყნარებლობას შეეხებოდა.

ზაქარია ჭიჭინაძე განსაკუთრებულ აქცენტს რელიგიური ტოლერანტობაზე აკეთებდა. მისთვის მთავარი ეროვნული თვითშეგნება იყო, რომელიც არ ეფუძნებოდა რელიგიურ აღმსარებლობას. სახელმწიფოებრივი შეგრძნება მისთვის რელიგიურ კუთვნილებაზე მაღლა იდგა და სწორედ ამასვე ქადაგებდა. განსაკუთრებულ ყურადღებას კი აჭარაში მცხოვრები ქართველი მუსლიმებისადმი იჩენდა და ამიტომაც პატივს მიაგებდა მათ სალოცავებსა თუ ტრადიციებს, ცდილობდა მუსლიმ ქართველთა შორის ეროვნული იდეების გაძლიერებას.

„მან ფეხით შემოიარა მთელი საქართველო ტრაპიზონიდან საინგილოს ჩათვლით, მოინახულა ყველა კუთხე და კუნჭული, ყველგან საკუთარი ზურგით მიიტანა მის მიერ დაწერილი და დაბეჭდილი წიგნები, ყველა ქართველი ეროვნულ კულტურას აზიარა.“ მარტო 1890 წელს, აჭარაში მცირე დროით ჩამოსვლისას, 280-მდე სოფელი მოინახულა და „აჭარელთა დიდმა გულშემატკივარმა,“ ყველაზე მეტი სითბო და სიყვარული უსამართლოდ დაჩაგრულ ქართველ მაჰმადიანებს დაუტოვა, გააცნო თავიანთი ისტორია და ის ავბედითი ყოფა, რომელმაც „დროისა და უპატრონობის მეოხებით ისინი საბედისწერო მდგომარეობამდე მიიყვანა.“ (ფუტკარაძე 1988);

მას ახარებდა, რომ ისევ ქართველობდნენ ოსმალს ქართველები, თურქულ ენას ვერ დაეთრგუნა მადლიანი ქართული... უხაროდა და ცდილობდა, კიდევ უფრო გაეღვივებინა ეროვნული თვითშეგნება მშობლიური უბეში ახლად დაბრუნებული მოძმეებისათვის. მათი ნდობა რომ მოეპოვებინა, მუსლიმანური ლოცვა-კითხვა ისწავლა და ქობულეთსა თუ აჭარა-შავშეთში მაჰმადიან მოძმეებთან ერთად სალოცავად ჯამე-მეჩეთებში შედიოდა. ისე კარგად ლოცულობდა, რომ ქართული ასოებით არაბული ლოცვანი დაბეჭდა და აჭარაში დაარიგა. ამით ცდილობდა, მუსლიმანი მოძმეები ქართული წერა-კითხვის შესწავლით დაეინტერესებინა. (ფუტკარაძე 1988);

ზაქარია ჭიჭინაძეს გააზრებული ჰქონდა ქართული ენის როლი ეროვნული იდენტობის საქმეში, ამიტომაც ავრცელებდა დედაენასა და სხვა სახელმძღვანელოებს აჭარაში, რომელმაც სწორედ ენით შემოინახა ქართული სული, მოსახლეობას ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას. ის იყო აჭარელთა ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, რის გამოც მას მოსახლეობამ სიყვარულით „ზექარია ეფენდი“ უწოდა.

ზაქარია ჭიჭინაძეს უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი აჭარის ისტორიის კვლევის საქმეში. ის ერთ-ერთი პირველი ქართველი ეთნოგრაფიცაა. მან ჩაიწერა და შთამომავლობას შემოუნახა აჭარის გამუსლიმანების მრავალი ზეპირი ისტორია, აჭარელთა შორის შემონახული თამარ მეფის ხატება, სხვადასხვა საისტორიო სიუჟეტი.

მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ისტორიული მაჭახელის ხეობის ტრადიციული კულტურის აღწერისა და მასალის ქართულ სამეცნიერო სივრცეში შემოტანის საქმეში. იგი რამდენჯერმე სტუმრობდა ამ ხეობას და იქ თვეობით რჩებოდა. აქ იგი ავრცელებდა დედაენას, მსურველებს ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას. აღსანიშნავია რომ იმ მაჭახლელ მუსლიმ სასულიერო პირებსაც, ვინც მეოცე საუკუნის 20-იან წლებში, რამდენიმე წლის განმავლობაში, მუსლიმურ ღვთისმსახურებას ქართულ ენაზე ადავლენდნენ, ქართული სამწიგნობრო კულტურა სწორედ ზაქარიამ გააცნო და შეაყვარა. ფასდაუდებელია ზაქარია ჭიჭინაძის წვლილი მაჭახლის ისტორიის, ყოფის, სულიერი თუ მატერიალური კულტურის აღწერის საქმეში.

პრაქტიკული საქმიანობის გარდა ზაქარია ჭიჭინაძე ინტელექტუალურადაც ცდილობდა ეროვნული საქმის კეთებას და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. ამ მხრივ აღსანიშნავია „ივერიაში“ გამოქვეყნებული ციკლი წერილებისა - „დაბა და სოფელი“. „1892 წელს ზაქარია ჭიჭინაძე ეწვია ქობულეთს და მან პარასკევი დღე შეარჩია, რადგან ამ დღეს ბევრი ხალხი იყრიდა თავს ჯამეში. „შარშან რომ ვიყავი აქ და წიგნები მოვიტანე, ამ საქმეს ბევრმა ეჭვის თვალით შეხედა, მაგრამ მალე დარწმუნდნენ საქმის უვნებლობას და წიგნების შეძენა დაიწყეს. შარშან მათში იშვიათად ნახავდით ქართულად კითხვის მცოდნეს, მაგრამ წელს ასე არ არის - შარშანდელი ორი ათასი წიგნი ისეა მოფენილი ქობულეთის ხეობაზედ, რომ დღეს ყოველ ნაბიჯზედ შეხვდებით ქართული ანბანის მცოდნეს, ნამეტნავად ბავშვებს“. - ატყობინებს გაზეთ „ივერიას“ გახარებული ზაქარია.“ (ფუტკარაძე 1988);

საინტერესოა ზაქარია ჭიჭინაძის თვალთ დანახული მუჰაჯირობის პროცესი აჭარაში, რომელსაც სრულფასოვნად წარმოგვიგდენს ნაშრომში - „მუჰაჯირი ანუ ქართველთ გადასახლება - ემიგრაცია სპარსეთს-ოსმალეთს“, რომელიც 1912 წელს გამოიცა მანსვეტაშვილის მეცენატობით. მასში ავტორი გვამცნობს და თანმიმდევრულად აღწერს მუჰაჯირობის პროცესს, მის მიზეზებს, დასაწყისსა და ლოგიკურ შედეგებს.

თავდაპირველად ზაქარია ჭიჭინაძე გვთავაზობს სიტყვა მუჰაჯირის ინტერპრეტაციას და განმარტავს: „მუჰაჯირი ოსმალური სიტყვა არის - ქართულად

ნიშნავს სამშობლოდამ წასვლას-გადასახლებას, დამატებით ჩვენ ვუწოდებთ ემიგრაციას, რადგანაც ეს საგანი რასაც ჩვენ ვეხებით გახლავსთ ქართველ მაჰმადიანთ დიდი გადასახლება ოსმალეთის ყოფილ საქართველოდამ შორეულს აღმოსავლეთის სხვა და სხვა კუთხეებში“. (ჭიჭინაძე 1912:7);

ზ.ჭიჭინაძემ საველე კვლევისას დაადგინა, რომ ოსმალეებს, ისევე როგორც სპარსელებს, ქართველთა ძეგლის მიმართ ყოველთვის დიდი ინტერესი ამოდრავებდათ და ეს სავაჭრო საქმედაც კი გაუხდიათ- „ ქართველ ძეთა წაყვანის ტრფიალება ოსმალეთში ისე წასულა წინ, რაც თითქმის მთელ საოსმალოში, ძველადვე აშკარა სავაჭრო საქმე გამხდარა.“ (ჭიჭინაძე 1912:8);

აგრეთვე საინტერესოა ზაქარიას თვალით დანახული სპარსელების დამოკიდებულება ქართველების მიმართ: „სპარსელებს ქართველთ შვილებთა შეძენის მადა ძველადგანვე აქვნდათ.“ (ჭიჭინაძე 1912:8); სპარსელებმა ისარგებლეს დაუძღურებული საქართველოთი და ყველანაირი ხერხით შეეცადნენ მათ გადასახლებას სპარსეთში. ამაში ხელს უწყობდნენ ქართველები, რომლებიც, ზაქარია ჭიჭინაძის აზრით, იმ დროისათვის გათახსირდნენ და დანაწილდნენ. არსებობდნენ ისეთი ქართველი მებატონეები, რომლებიც თავიანთი ყმის შვილებს ყიდდნენ სპარსელებზე და ეს სარფიან საქმედ აქციეს - „ჯერედ საქართველო დაუძღურებული არცკი იყო, რომ ქართველ ზოგ თავად-აზნაურნი ამის ჩურჩვნას ეწეოდნენ, მათ იცოდნენ, რომ სპარსნი ყმათა შვილებში კაი ფასს მისცემდნენ.“ (ჭიჭინაძე 1912:9);

უამრავი ისტორიული ფაქტი აქვს მოყვანილი ავტორს წლების წინ დაწყებული მუჰაჯირობის პროცესის შესახებ, მაგრამ ძალზე საინტერესოდ ასახავს ზ.ჭიჭინაძე აჭარაშიდან გადასახლების პროცესს, რომლის გამომწვევი მიზეზები ნათლად აქვს კიდევ აღწერილი.

ქართველ მებატონეებს ყმათა შვილების გაყიდვა მე-19 საუკუნეშიც სჩვევიათ, რასაც „გოთავლობას“ უწოდებდნენ. ზ. ჭიჭინაძე მოგვითხრობს სოფელ საღორეთში მცხოვრები ქართველი მაჰმადიანის ნაამბობს, რომელიც აგრეთვე „გოთავლობით“ ყოფილა დაკავებული. – „ძველად ჩვენში იყვნენ ისეთი საქმის კაცები, რომელთაც სახელად „გოთაულს“ ეტყოდნენ. მეც ამის საქმის კაცი ვიყავ... ეს „გოთავლობა“ აი რა ყოფილა, საქართველოს ერის ბატონ-ყმობის დროს, როცა მებატონენი თავიანთ ყმის

შვილებს სტაცავდნენ, ამათ ოსმალში მიერეკებოდნენ და იქ ჰყიდდნენ სხვა და სხვა ბაზრებზედ.“ (ჭიჭინაძე 1912:29);

ყმათა გაყიდვაში ქართველ მეზატონეებს სწორედ, რომ ეს „გოთაულები“ ეხმარებოდნენ, რომლებიც ამ ნაყიდ ყმებს ორმაგად ყიდდნენ.

„გოთაულების“ ნაამბობია: „იგინი, ანუ ქართველი მაჰმადიანები არიან გურჯები, მათი ქვეყანა არის გურჯისტანი და მათი დედა ენაც ქართული.“ (ჭიჭინაძე 1912:32);

„გოთაულის“ ნაამბობიდანვე ვიგებთ, რომ 1870 წლის მერე ქართველი მაჰმადიანები, რომლებიც აჭარაში ცხოვრობდნენ, ისე დაბრმავდნენ და გათახსირდნენ, რომ ქართველობას ჭირივით გადაეკიდნენ. ამ სიმულვილს ხელს უწყობდნენ ქართველი მოლები და ხოჯები, რომლებმაც ქართველი მაჰმადიანები და საქართველო ერთმანეთთან გააიგივეს. ქართველ მაჰმადიანებს ისე შეაძულეს საქართველო, რომ მათთვის ვინმეს ქართველი რომ ეწოდებინა, გულში დაჭრის ტოლფასი იქნებოდა. „ ქართველ მოლებმა და ხოჯებმა საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ ქართველ მაჰმადიანებს შეაჯავრეს საქართველო, შეაძულეს ქართული ენა ისე, რომ ბევრ ალაგას ამის ხმარებაც კი აკრძალეს.“ (ჭიჭინაძე 1912:32); ზ. ჭიჭინაძე გულისტკივილს გამოხატავდა ქართველების გადაგვარების გამო და წუხდა, რომ ისინი დანანების გარეშე ტოვებდნენ მშობლიურს მხარეს და ოსმალეთში იხვეწებოდნენ. ამას მკვლევარი შემდეგ მოსაზრებას უპირისპირებდა:

„წინათ კი ქართველი მაჰმადიანები ყოველნაირ ღონეს ხმარობდნენ, რომ მამა-პაპისეული მამულებიდან არ აეყარათ, ამისათვის კი სისხლსაც კი ღვრიდნენ, თუ ესე არაფერი გამოუვიდოდათ ფულს უხდიდნენ, რომ საკუთარ სამშობლოში დარჩენილიყვნენ. მაგრამ ასეთი შემთხვევა იშვიათი იყო. „მაშინ კი წასვლის წინ მათ გოდებას საზღვარი არ აქვდა... სოფლებს ცრემლით ეთხოვებოდნენ.“ (ჭიჭინაძე 1912:33);

ადრე ქართველ მაჰმადიანებს აუტანელი და წარმოუდგენელი ეგონათ მშობლიური მიწიდან აყრა, მოგვიანებით კი რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, 1878 წლიდან, მათ რელიგიური და სოციალური სარჩულით სიხარულით დაიწყეს ოსმალეთში გადახვეწა.

„ჩვენ კარგად ვიცით, რომ ქართველი მაჰმადიანები ფანატიკები არიან და ამით მეტად წრესაც გადასულნი. ეს თვითონაც კარგად იციან და ამიტომ იგინი თავიანთ თავს ნამდვილ თათარს უწოდებენ.“ (ჭიჭინაძე 1912:34); ქართველი მაჰმადიანები პირველ თათრებად თვლიდნენ თავს, სწორედ ესეთი ფანატიკოსები არწმუნებდნენ ხალხს და თვლიდნენ, რომ: „რუსნი უსჯულონი არიან, მოვლენ აქ, სჯულს წაგვიპილწავენ...მერე ჩვენს გაგვაქრისტიანებენ, ამიტომ ვისაც შეგიძლიამთ მოშორდით ამ ქვეყანას.“ (ჭიჭინაძე 1912:34);

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზაქარია ჭიჭინაძე ამ პროცესის მთავარ მიზეზებზეც საუბრობდა და დასძენდა, რომ ხალხი ისე იყო დანიშებული, ოსმალეთის მთავარ სარდალს ეხვეწებოდნენ არზრუმში გადასახლებასო.

ქართველი მოლა და ხოჯები ქართველ მაჰმადიანებში ქადაგებდნენ და არწმუნებდნენ, რომ მათი სული მხოლოდ ოსმალეთის სამფლობელოში ცხონდებოდა. მათ აიყოლიეს ქართველ მაჰმადიანთა უმრავლესობა, ბეგებიც კი და უამრავ ბოროტებას ქადაგებდნენ. ყველა სოფლის მოლა, ხოჯა, მოწინავე თუ უბრალო კაცი გადასახლებას ლამობდა. მათ საწადელს მიაღწიეს და მრავალი ქართველი მაჰმადიანი გადასახლეს ოსმალეთის იმპერიაში. „კაცმა თავის მოსისხლე მტრების გულისთვის რომ სამშობლო დაკარგოს, მეტის მეტი უბედურება არის. ქართველ მაჰმადიანები ბუნებით ნიჭიერი ხალხია მიმხვედრნი, მაგრამ ამ ძვირფას სამშობლო ქვეყნის მიხვედრაში კი ვერაფერი შნო და ნიჭი გამოიჩინეს.“ (ჭიჭინაძე 1912:37);

გადასახლების საშუალება ყველას როდი ჰქონდა, მათ საწყლებად ნათლავდნენ, მაგრამ იქვე აფიქსირებდა ზაქარია ჭიჭინაძე, რომ ასეთი ოჯახები შეუმცდარები და ამავდროულად მოგებულნიც ყოფილან, რადგან ოსმალეთში გადახვეწილთა მიწა-წყალი, საქონელი და სახლ-კარი მათ რჩებოდათ.

ქვეყნის მოამაგე იმედს იტოვებდა, რომ იმ მაჰმადიანების შვილები, რომლებმაც სამშობლო დატოვეს და მამა-პაპისეული მიწები მიატოვეს, ადრე თუ გვიან გონზე მოეგებოდნენ და სამშობლოში დაბრუნდებოდნენ, მამებისამებრ „არ დაჰკარგვენ თავიანთ ძველებისაგან სისხლით მორწულ ქვეყანას.“ (ჭიჭინაძე 1912:37);

ზაქარია ჭიჭინაძე საკმაოდ კრიტიკულია იმ ქართველი მაჰმადიანების მიმართ, რომლებმაც იმ დროს უღალატეს სამშობლოს, როცა მათთან ქვეყანა ერთგულებას ითხოვდა- „კაცს რომ საკუთარი მამულის სიყვარული არ აქვდეს, - ერთი მითხარი ის რას უნდა ჰგავდეს, არაფერს? - პირუტყვს და უმეცარ არსებას.“ (ჭიჭინაძე 1912:37);

ზ. ჭიჭინაძე ქართველი მაჰმადიანების გადასახლებაში ქართველ ხოჯებს ადანაშაულებდა, რომლებსაც არც სამშობლოს სიყვარული გააჩნდათ და არც საქართველო იცოდნენ რა იყო. მათი მთავარი საზრუნავი გახლდათ, ქართველების გათათრება. „ამის მეტი მათ სხვა არა უნდოდათ რა. ეს იყო მათი ფარი და ხმალი, მათი განძი და სიმდიდრე.“ (ჭიჭინაძე 1912:38);

ასეთი გულგრილი დამოკიდებულება სამშობლოსადმი მე-19 საუკუნის დასაწყისში მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობამ გამოიჩინა, თუმცა ის დრო ძლიერ განსხვავდებოდა მე-19 მეორე ნახევრისგან. მკლევარი მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობას არ ადანაშაულებდა, რადგან ის დრო ბნელ ხანად მიაჩნდა და მისი აზრით მოსახლეობასაც შეეძინა მწირი ჰქონდა. ამის საპირისპიროდ აჭარელ ხალხს სამშობლოსადმი გულგრილი დამოკიდებულებას ზ.ჭიჭინაძე ვერ პატიობს. ავტორი ასეთ ხალხს ფანატიკ მაჰმადიანებს უწოდებდა, რომელთა რიგებშიც ირიცხებოდნენ: „ქობულეთლნი, ბათუმ-კახაბრელნი, ჩაქველნი, მაჭახლელნი, ლივალელნი, აჭარელნი და ზოგნიც სხვა და სხვა ხეობისა და კუთხის ქართველნი.“ (ჭიჭინაძე 1912:38);

განსაკუთრებით მძიმე ვითარება იყო ქობულეთში, რადგან ყველაზე ახლო იყო გურიასთან. ავტორი თვლიდა, რომ სწორედ ამიტომ ქობულეთის მოსახლეობას უფრო მეტი ყურადღება და პატივისცემა უნდა გამოეჩინა სამშობლოსადმი და არ უნდა დაეტოვებინათ თავიანთი მიწა-წყალი. მაგრამ სწორედ, რომ ყველაზე დიდი გულგრილობა ქობულეთის მოსახლეობამ გამოიჩინა და მრავლად გადასახლდნენ ოსმალეთში. ყველაზე გულსატკენი მათი გადასახლება აღმოჩნდა, როგორც ქრისტიანი, ასევე ქართველი მაჰმადიანებისათვის - „რადგანაც, ისინი საუკუნეების განმავლობაში ტანჯვით და მამა-პაპის სისხლით მორწყულ ქვეყანას მხოლოდ ერთის შემთხვევით ესალმებოდნენ.“ (ჭიჭინაძე 1912:39); მტრობით საქმე იქამდე მივიდა, რომ სამშობლოსთან ერთად თავიც დაკარგეს ქობულეთელებმა, რაც მერე სანანებელი

გაუხდათ, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ისინი შორიდან ეტრფოდნენ აჭარის შავი ზღვის ნაპირებს. „ქობულეთელი წყევლით მოიგონებენ იმ პირთა სახელებს, ვინც იგინი წააქეზა სამშობლოდამ გადასახლებაში და შორს წასვლამდე.“ (ჭიჭინაძე 1912:39); მათი ნათესავებიც კი, ვინც სამშობლოში დარჩა წყევლა-კრულვით მოიხსენიებდნენ მათ წამქეზებლებს.

ზ.ჭიჭინაძე აანალიზებდა რა ამ რთულ პროცესს, გარკვეულ დასკვნებსაც აკეთებდა. კერძოდ თვლის, რომ ქობულეთელებზე უარესად სძულდათ საქართველო და ყველაფერი ქართული მაჭახლის ხეობის მოსახლეობას. მათ ფანატისკოსობითაც კი გადააჭარბეს ქობულეთელებს და ქვეყნის მიმართ, მხოლოდ ზიზდი და ღვარძლი ამოდრავებდათ. ისინი მეღიებივით მიძვრებოდნენ ოსმალეთში.

„მაჭახლელები ქობულეთელებს შემდეგ ისეთ გადაჭარბებული ფანატიზმით აღმოსჩნდნენ, რომ მათი გული დღესაც არ დაწმენდილა, დღესაც ჭირვით სძულთ ქართველები და საქართველოს შესახებ წარმოდგენაც არა აქვსთ.“ (ჭიჭინაძე 1912:40); ჭორებისა და ბოროტი ენების წყალობით მთელი მაჭახლის ხეობა დაიცალა და გადაიხვეწა ოსმალეთში. იმდენი უბედურება და ოხრობა არ ჩაუდენიათ ქობულეთელებს, რამდენიც მაჭახლის მცხოვრებლეთ. მთელი ხეობა გასახლდა და ვინც კი დარჩა თითო ოროლა კაცი, ისინიც კი წასვლაზე ოცნებობდნენ.

„ერთ მშვენიერ დღეს მთელი მაჭახლის ხალხი დაგროვდა ქალი, კაცი, დიდი და პატარა, ესენი ჩავიდნენ ბათუმში და ოსმალეთში გადასახლდნენ. მაჭახელში დარჩა მცირე რიცხვი მცხოვრებთა.“ (ჭიჭინაძე 1912:40); მრავალმა მათგანმა სულიერი ტანჯვა განიცადა, არ უნდოდათ სამშობლოს დატოვება, თუმცა ერთმანეთის გაქეზებით და რუსეთის შიშით მაინც წასვლა ამჯობინეს. მათ არწმუნებდნენ, რომ ოსმალეთში მათ მდიდრული ცხოვრება ელოდათ და კარგ მიწა-წყალს დაურიგებდნენ. მათ გადასახლებას ხელს უწყობდა შიმშილი, რომელიც ომის დაწყებამ გამოიწვია. ისინი აღარ ამუშავებდნენ მიწებს, მოსავალი აღარ ჰქონდათ და ამიტომ 1880 წელს დაიწყო დიდი შიმშილი.

როგორც ქობულეთელებს და მაჭახლელებს, აჭარის მაღალთიანი სოფლების მოსახლეობასაც იგივე ბედი ერგოთ. მათაც არწმუნებდნენ, რომ ოსმალეთში უდარდელი ცხოვრება ელოდათ და მათი სულის ქვეყანაც ოსმალეთია.

ქართველი მაჰმადიანების გადასახლება არც თუ ადვილი პროცესი იყო. უმეტესობას უძნელდებოდა საკუთარი სამშობლოს დატოვება. ისინი იკრიბებოდნენ ჯამეებში და ჰქონდათ სჯა-ბაასი გადასახლების თაობაზე. ვინც ოსმალეთში მიდიოდა მათი უკან დაბრუნება წარმოუდგენელი იყო „რაკი კაცი დაიძრება და წავა იქით, მერე იმან აქეთ დაბრუნების აღარა იფიქროსო, ვინც კი სინანულში შევა, ის ისევ აქ დაშთეს, იმისთანა მჩატე ბლაცყები ჩვენს მიწას არა სჭირია.“ (ჭიჭინაძე 1912:46);

თუმცა არსებობდნენ ისეთი ხოჯები, რომლებიც ქართველ მაჰმადიანებს მოუწოდებდნენ, რომ გადასახლებულიყვნენ ისე ადგილებში სადაც თავიანთი მოძმეები ცხოვრობდნენ და იტანჯებოდნენ. აგრეთვე ქართველებს სამშობლოში დარჩენას მოუწოდებდა აჭარის მუფთი ახმედ ეფენდი. თუმცა საპირისპიროს ქადაგებდნენ ხოჯები: „მართლ მორწმუნე მუსულმანებო! თქვენ ცეცხლად უნდა შაგერგოთ იმ ლუკმის ჭამა, რომელსაც თქვენ დღესა სვამთ, რადგანაც იმავე დროს, თქვენი ძმები და ნათესავები, ოსმალეთში მუჰაჯირად წასულნი ულუკმაპუროდ იხოცებიან და იტანჯებიან. ადექით მოშორდით, მურტალ გიაურების ქვეყანას.“ (ჭიჭინაძე 1912:46); როგორც ნამდვილი თათრებს, მოუწოდებდნენ გადასულიყვნენ ოსმალეთში და თავიანთ ნათესავებთან ერთად გაეზიარებინათ ჭირი და ლხინი, თორე წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იქ ცხონდებოდნენ და ესენი აქ, რაც ნამდვილ მუსულმანებს არ შეეფერებოდათ.

ქართველ მუჰაჯირებს კი გადასახლების შემდეგ ოქროსა და მდიდრული ცხოვრების ნაცვლად, ოსმალეთში დახვდათ დიდი გაჭირვება და შიმშილი. ევროპული პრესაც კი წერდა მათ შესახებ და იუწყებოდა, რომ- „ოსმალეთში გურჯისტანიდამ გადმოსახლებულთ მუჰაჯირები დიდს სიღატაკეს სცდიან და თითქმის მშვივრები იხოცებიანო.“ (ჭიჭინაძე 1912:47-48);

ქართველი მაჰმადიანები მოტყუებულები დარჩნენ, ისინი უაღრესად გაჭირვებაში ცხოვრობენ, ლუკმა-პური ენატრებოდათ. უამრავი ქართული ოჯახი განადგურდა. იყო შიმშილი, ხოცვა-ჟლეტვა. ისინი მთელ თავიანთ ცხოვრებას, თითქმის უსიხარულოდ ატარებდნენ. „ბევრ ახალ გაზდა ქართველთ მაჰმადიანთ ქალს აეხადა პირბადე და ნამუსი, ბევრი მოხუცი კაცი და ქალი, რომელნიც ჯერ

კიდევ სასიცოცხლონი იყვენ და სიკვიდლის არა აქვნადთ რა, ესენიც მოისპენ უღვთოდ სიმშვილის, სიტიტვლისა და სიღარიბის წყალობით.“ (ჭიჭინაძე 1912:49);

ზაქარია ჭიჭინაძის ნაშრომში „ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში-მუჰაჯირი ემიგრაცია“ აღწერილია ქართველთა ყოფა უცხოეთში. რომ ქართველებისთვის სიტიტვლე და სიშიშვლე ყოვლად წარმოუდგენელი იყო, რაგდაც გურჯისტანები სულ ლამაზად შემოსილები დადიოდნენ, ხოლო ოსმალეთში კი ხშირი სანახავი იყო ლამაზი ყმაწვილი, რომელსაც ტანისამოსიც და ჩუსტებიც კი დაგლეჯილი ჰქონდა. ქართველები იმდენად გადატაკებულები და გაჭირვებულები ყოფილან, რომ აღარც სუფთა ტანსაცმელი, აღარც მაჭახლის იარაღი და აღარც ქართული გული და მედიდიურობა შემორჩენოდათ. რასაც ქართველი საკუთარ სამშობლოში ვერ მოითმენდა, იმას ითმენდა სხვის სამშობლოში. ისინი მუდამ სხვის კედელთან ყოფილან ატუზულები იმ იმედით, რომ იქნებ დახმარების ხელი გამოეწოდა მათთვის ვინმეს. ხანდახან გადიოდა დღეები, რომ მათ ცივი ჭადიც კი არ ჰქონდათ. ეს თავმომწონე ქართველები მოკუნტულები და მოზუზულები სხვის იმედად იყვნენ დარჩენილები. „საუკეთესო ოჯახის ქალები და ცოლები უბრალო შავს ჭუჭყიანს ჩადრებში და იყვნენ გახვეულნი, მათ ერთი ლურჯი ჩადრიდა ჰფარავდა, სხვა არაფერი... ყოველივე მას ქალები ტანიდამ იხდიდნენ და ჰყიდდნენ და მით აღებული ფულით სიმიდნს ყიდულობდენ და სჭამდენ.“ (ჭიჭინაძე 1912:50); ასეთ ქალებს თავი სასიკვდილოდაც ემეტებოდათ. ისინი საყვედურობდნენ სხვა მაჰმადიან ქართველებს, რომლებიც კიდევ ტოვებდნენ სამშობლოს. ქართველი მაჰმადიანების სილატაკის და გაჭირვების შესახებ არა მარტო სტამბოლში იყო ცნობილი, არამედ აჭარაში შეუტყვიათ. ხოჯებმა და მოლებმაც უკლეს ქადაგებას და ვედარ არწმუნებდნენ ქართველ მაჰმადიანებს ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ. რა თქმა უნდა იკლო მუჰაჯირობის პროცესმაც.

მოტყუებულები დარჩნები ქართველი მაჰმადიანები მოლებისაგან, ხოლო ოსმალეთში კი მთავრობისაგან, რომლებიც აცდევინებდნენ და ჰპირდებოდნენ საცხოვრებელ ადგილებს, პირუტყვებს, მაგრამ ამაოდ. ოსმალეთში სამუშაო არ მოიძებნებოდა, პირიქით ოსმალოები გადმოდიოდნენ აჭარაში და აქ ემებდნენ სამსახურს. ოსმალოები ქართველებს საყვედურობდნენ და უკვირდათ, რომ

საქართველოში სამუშაო მრავლად იყო და ისინი მაინც ოსმალეთში გადადიოდნენ. „ჩვენები თქვენში მოდიან საქმის და ფულის საშოვნელად და თქვენ კი აქ მორბიხართო. აბა ეს რასა ჰგავს თუ არა თქვენს სიბრიყვესო.“ (ჭიჭინაძე 1912:51);

ვერც იმ ქართველმა მაჰმადიანებმა გაიხარეს, რომლებსაც მიწები დაურიგეს, რადგან ეს მიწები ჭაობიან ადგილებში მდებარეობდა და ყოვლად უხეირო იყო. ასევე ჰავის წყალობით მათ ციებ-ცხელება ემართებოდათ და იღუპებოდნენ.

ოსმალთა გლეხები განრისხებულები იყვნენ ქართველებით, რადგან მათ თავიანთი მიწა არ ჰყოფნიდათ და გურჯები ეცილებოდნენ. უკვირდათ როგორ ტოვებდნენ ისეთ ნოყიერ მიწას, როგორც საქართველოშია. ოსმალთა გლეხები შენატროდნენ ქართულ მოსავლიან მიწებს.

გაჭირვებამ იქამდე მიაღწია, რომ ქართველი ფაშები მოუწოდებდნენ ოსმალეთში გადახვეწილ ქართველებს, რომ შინ დაბრუნებულიყვნენ. „თქვენ ჩვენ ნუ გვიყურებთ. ჩვენ ფაშები და ბეგები ვართ. ჩვენ სამსახური მოგვცეს და მიტომ გადმოვედით აქეტკენო. თქვენ კი ბიჭო გურჯები ხართ, მასთან მუშა სოფლის ხალხი და იმიტომ გაჩერდით გურჯისტანშიო.“ (ჭიჭინაძე 1912:53);

თავად ზაქარია ჭიჭინაძე გახლდათ მომსწრე, სამშობლოში დაბრუნებული მაჰმადიანი ქართველებისა, რომლებიც პირქვედამხობინლი ჰკოცნიდნენ საქართველოს მიწას.

ქართველი მაჰმადიანების გარკვეული ნაწილი იმდენად თავმოყვარენი იყვნენ, რომ არავის ატყობინებდნენ თავიანთ გასაჭირს და ჩუმად მიდიოდნენ აჭარაში, ოჯახებში მუშაობდნენ და სიმინდის ფულს აგროვებდნენ. ხალხში კი ასე ყვებოდნენ: „ჩვენ იქ კარგათ ვცხოვრებთ, მეტად შესანიშნავად, ჩინებულად და საქმეებიც კარგად მიგვდისო.“ (ჭიჭინაძე 1912:54);

ასეთი ხალხის მნახველი თავად ზაქარია ჭიჭინაძეც გახლდათ, რომელიც იუწყებოდა, რომ არსებობდნენ ისეთი ქართველი მაჰმადიანები აჭარაში, რომლებიც ზიზღის თვალთ უყურებდნენ ოსმალეთიდან აჭარაში ფულისა და სიმინდისათვის გადმოპარულ თანამემამულეებს.

ცალკე განსახილველია და საინტერესო მაჭახლელი ქალების დამოკიდებულება მუჰაჯირობასთან დაკავშირებით. ისინი კატეგორიული

წინააღმდეგნი ყოფილან ოსმალეთში გადასახლებაზე და ცდილობდნენ ქმრები დაერწმუნებინათ უარი ეთქვათ გადასახლებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ან მთავრობას მიმართავდნენ ან ჭოროხში დაიხრჩობდნენ თავს. მაგრამ მოლებისა და ხოჯების გამუდმებულმა ქადაგებამ მათ სიმტკიცე შეუღახა და მთელი მაჭახელა გადასახლდა ოსმალეთში.

ქართველ მაჰმადიანებს ის გარემოებაც აშინებდათ, რომ იცოდნენ რუსეთთან შეერთების შემდეგ მათ უამრავი რამის დათმობა მოუწევდათ, მათ შორის სარწმუნოებისაც. ამას მოლებისა და ხოჯების გაზვიადებული ჭორებიც ემატებოდა.

აჭარლების გადასახლების შესახებ გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა ოფიციალური შენიშვნა, სადაც საუბარი იყო აჭარის რეგიონის მკვიდრთა გადასახლებაზე ოსმალეთში. იმ დროისათვის- „ზემო და ქვემო აჭარაში და მაჭახელაში ითვლება სულ 5458 კომლი.“ (ჭიჭინაძე 1912:84);

თითო ოჯახიდან ოსმალეთში გადასასვლელ ბილეთს ცალ-ცალკე იღებდნენ იმ იმედით, რომ ოსმალეთში იმდენ მიწას მიიღებდნენ, რამდენიც ბილეთიც ექნებოდათ. ხალხი თანდათან მიხვდა, რომ მოლები მათ ატყუებდნენ და სამშობლოში ძალდატანებით არც არავინ აქრისტიანებდა და არც მათ ოჯახებს უწიოკებდნენ რუსები.

ამასთან დაკავშირებით ზ. ჭიჭინაძემ გაგვაცნო ერთ-ერთი რუსი ოფიცრის შეხედულება ქართველებზე - „ძალიან სამწუხაროა, რომ ეს ხალხი მიდის აქედამ, ამათთანა ხალხი ძნელად მოიპოვება; თუკი მთავრობა წესიერად და კაცურად მოეპყრობა მათ, რაც უნდათ იმას გააკეთებინე.“ (ჭიჭინაძე 1912:86);

რთულად მიმდინარეობდა მუჰაჯირობის პროცესი ყარსის მაზრაშიც. ისევე, როგორც აჭარაში გადასახლების მთავარი მიზეზი გახლდათ ქართველ მაჰმადიანთა გულებში ჩანერგილი ცნება, რომ თითქოს „გიაურები“ მათი მტრები ყოფილან და რუსები დღეს თუ არა ხვალ დაუწყებდნენ მათ ოჯახებს შევიწროებას.

პროცესის თვითმხილველნი იმასაც აფიქსირებდნენ, რომ ქართველთა გადასახლებით რა თქმა უნდა ისარგებლებდნენ სომხები, რომლებიც დაეპატრონებოდნენ ამ ნოყიერ მიწა-წყალს.

ყარსიდან ქართველთა გადასახლება მეტად რთული საყურებელი ყოფილა - „ამ გადასახლებას მეტად მწარე ისტორია აქვს. ხალხი თურმე თავის სახლის კედლებსა და ქვებს ჰკოცნიდა, ისევე ბაღის ხეებსა და ისე ცრემლმდენ მტირალი ეთხოვებოდა.“ (ჭიჭინაძე 1912:87); ყარსის მაზრა მთლიანად ქართველებით ყოფილა დასახლებული, მაგრამ ოსმალოებმა მთელი მაზრა ისლამს დაუკავშირეს. გაურკვეველი ხნის შემდეგ. ამ კუთხეში ისე მძლავრად მოიკიდი ფეხი ისლამმა, რომ იქ მცხოვრებთ სულ დაავიწყდათ თავიანთი გვარი, ქართული ენა, ისტორია, მხოლოდ ისღა ახსოვდათ, რომ მათი მხარე გურჯისტანია და იქ ოდესღაც ქართველები ცხოვრობდნენ. ზაქარია ჭიჭინაძე გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ყარსში მოისპო ყველაფერი ქართული და ყველაზე სამწუხარო კი ის გახლდათ, რომ ქართველი მაჰმადიანები არ დარჩენილან და ყველა გადახვეწილა შორეულ ადგილებში.

ქართველმა მაჰმადიანებმა ერთი ხელის მოსმით მოსპეს და გაანადგურეს თავიანთი მამა-პაპისეული მიწა-წყალი. იმ დროს მცხოვრები თითოეული ქართველი მაჰმადიანი ასე მოუწოდებდა: „წავიდეთ, წავიდეთ ჩვენი აქ დგომა აღარ იქნება, ანუ მუჰაჯირა გეთთი, მუჰაჯირა; გეთთი.“ (ჭიჭინაძე 1912:96); ადგილობრივი მოხელენი აშინებდნენ ქართველ მაჰმადიანებს, რომ რუსების მოსვლის შემთხვევაში მათ ძალით გააქრისტიანებდნენ და სანამ დრო ჰქონდათ უნდა გადახვეწილიყვნენ. ამით კი მოხელეები სარგებლობდნენ და დარჩენილ კარ-მიდამოს ეპატრონებოდნენ. „ბოროტ წამქეზებელთ საქმე მხოლოდ ამის გარშემო ტრიალებდა და მათ კარგადაც იღვაწეს და იშრომეს თავიანთი ჯიბის ასავსებათ და ქართველ მაჰმადიანთ ოჯახებთა დასალუპათ.“ (ჭიჭინაძე 1912:97);

ამ გაუგებრობისა და გადასახლების დროს გამოჩნდა თავადი გრიგოლ გურიელი, რომელიც ერთ-ერთი დიდი გულშემატკივარი გახლდათ მაჰმადიანი ქართველებისა. ის წინ აღუდგა იმ მოხელეებს, რომლებიც გადასახლებაში ხელს უწყობდნენ აჭარლებს. სწორედ, რომ ეს მოხელეები ამშვიდებდნენ გრიგოლ გურიელს და არწმუნებდნენ, რომ მათი აყრა სასიკეთოც კია, რადგან მათ მიწებზე ქრისტიანები დასახლდებიანო.

ამ პასუხმა კიდევ უფრო განარისხვა თავადი: „ესენი აქ მოსული ხალხი ხომ არ არის, არამედ აქაური ხალხია, მამა-პაპით, მოდგმით სულ აქ უცხოვრიათ, ამათ თქვენ

რას ემართლებით, რომ მოღებისა და ხოჯების სასიხარულოდ ასე მოქმედებთ.“ (ჭიჭინაძე 1912:98); კიდევ უფრო გაკვირვებულან მოხელეები და საპასუხოდ შეუთვლიათ: „ესენი სულაც არ არიან აქაურნი მკვიდრნი, ეს კუთხე არის საქართველოს ნაწილი და ეს ხალხი კი თათარია.“ (ჭიჭინაძე 1912:98); გრიგოლ გურიელი განარისხა ქართველების თათრებად მოხსენიებამ და უფროს ისტორიული ფაქტების მოყვანით არწმუნებდა, რომ ასეთი ერთგული და მეომარი ხალხის გადასახლება ოსმალეთში და დაკარგვა ყოვლად გაუმართლებელიაო. მიუხედავად ასეთი დამოკიდებულებისა გრიგოლ გურიელი მაინც ვერაფერს გახდა. ერთი მხრივ ქართველი მოხელეები და მეორე მხრივ ფანატიკურად განწყობილი მოლა-ხოჯები გადასახლებისაკენ მოუწოდებდნენ ქართველ მაჰმადიანებს.

ზაქარია ჭიჭინაძე საკუთარ კვლევაში გვაწვდის ქადაგებას, რომელიც 1877 წელს შეადგინეს ოსმალთა სასულიერო პირებმა ქართველი მოლა-ხოჯებისათვის - „მართლ-მორწმუნე მუსულმანები, ჩვენისთანა ბედნიერი ხალხი არც ერთის სჯულის ხალხი არ არის.“ (ჭიჭინაძე 1912:177); ოსმალთა მოღები ქადაგებდნენ და მიაჩნდათ, რომ რაც არ უნდა ავი საქმე ჩაიდინათ ღმერთი მათ მაინც აპატიებდა. ქართველი მაჰმადიანები არ უნდა დაიმარხულიყვნენ საქართველოს მიწაზე, რადგან მარტო სულზე კი არა ხორცზეც უნდა იეფიქრათ. სული კი ცხონდება, მაგრამ ხორცი გურჯისტანის მიწაზე დაიმარხოს და უწმინდურებმა ფეხით გათელონ ეს ყოვლად მიუღებლად მიაჩნდათ. „ეს არ შეგვფერის ჩვენ, ჩვენი წმინდა სჯულის სხეულიც ისეთ მიწაში უნდა დაიმარხოს, სადაც ის შვებას მიიღებს, სიამოვნებას და ისიც ცხონდება, თორემ მარტოდ სული ცხონდეს და ხორცი კი უწმინდურთ ფეხ-ქვეშ გაილახოს, ეს არ იქნება ჩვენთვის კარგი, მარტო სული ცხონდეს და ხორცი კი დაიტანჯოს ეს ღვთის მოსაწონი საქმე არ არის.“ (ჭიჭინაძე 1912:178);

ოსმალთა მოღები ხატოვნად აღწერდნენ ყველა იმ ცოდვას, რომელსაც ვერ გაექცეოდნენ საქართველოში დარჩენის შემთხვევაში ქართველი მაჰმადიანები: „რუსნი მოვლენ და ჩვენ სულ გაგვაქართველებენ. გიაური გავხდებით, გვეტყვიან გურულებ რათა ლაპარაკობთო?“ (ჭიჭინაძე 1912:182); ისინი თვლიდნენ, რომ სჯობდა მუჰაჯირად წასულიყვნენ, ვიდრე გურჯისტანში დარჩენილიყვნენ და რუსებს მათი ოჯახები აეოხრებინათ. ამ ყველაფერში კი მათ მოღები არწმუნებდნენ.

მუფთი ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი ასე აღწერს მუჰაჯირობის პროცესს: „მუჰაჯირად წასვლა არ არის ადვილი საქმე, იგი ძნელი რამ არის, ჩვენ წიგნებში ამაზედ აი რა სწერია: მუჰაჯირად წასულმა კაცმა გზაში თავის ცოლი და ქალები ისე უნდა წაიყვანოს, რომ მათ პირბადე არ მოეხადოთ და სახე არავინ დაუნახოსო, თორემ იგი ცოდვა არის სჯულიაო. მუჰაჯირად წასულმა კაცმა ყმაწვილები ანუ პატარა შვილები გზაში ისე უნდა ამყოფოს, რომ მათ პური არ მოემშეთ და ტანთსაცმელი და წულები არ მოაკლდესო, თორემ იგი დიდი ცოდვა იქნება. მუჰაჯირად წასულმა კაცმა უსათუოდ ხუთი ვახტის ლოცვა უნდა შეასრულოს, თორემ უამისოდ დიდი ცოდვა იქნება. ამით სჯულის საქმე წახდება მუსულმანი კაცისთვის“ (ჭიჭინაძე 1912:183-184);

ეს სამი პირობა გახლდათ ქართველი მაჰმადიანებისათვის, რაც მათ მუჰაჯირობის პროცესში უნდა გაეთვალისწინებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ცოდვად ჩაეთვლებოდათ. ოსმალთა მოღვაწისაგან განსხვავებით მუფთი ახმედი ქართველ მაჰმადიანებს არწმუნებდა, რომ მიწა, სადაც ისინი დაიმარხებოდნენ, მნიშვნელობა არ ექნებოდა ოსმალეთში იქნებოდა, გურჯისტანში თუ სხვა ქვეყანაში. მას მიაჩნდა, რომ ყველა მიწა იყო ღმერთის და არა ოსმალისი, ან ქართველის. ადამიანი მხოლოდ კარგი საქმისათვის ცხონდებაო.

ასეთი ქადაგებით ახმედ ეფენდიმ ცოტა ხნით დააშოშმინა ქართველი მაჰმადიანები, მაგრამ ისიც მცირე ხნით სანამ რუსებმა არზრუმის გაცვლა არ მოინდომეს, ბათუმისა და სხვა კუთხეების სანაცვლოდ.

არსებობდნენ ისეთი ქართველი მაჰმადიანები, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ გადასახლებისაც, მეტიც მათ სძულდათ ოსმალთა ჯარისკაცები, ასეთი ქართველების რიცხვში შედიოდნენ: ქორ ჰუსეინ ბეგი ხიმშიაშვილი, შერიფ ბეგი ხიმშიაშვილი, ტუპამ ბეგ შარუაშიძე, ახმედ ეფენდი ხალვაში და სხვანი. ბეგები რუსეთთან შეერთების შემდეგ არწმუნებდნენ თანამემამულეებს, რომ არ გადახვეწილიყვნენ ოსმალთაში, არ დაეღუპათ თავიანთი ცოლ-შვილი, ვერც იქ მოკიდებდნენ ფეხს და აქაც ყველაფერს დაკარგავდნენ. მრავალი მაგალითი მოუყვანეს იმის დასტურად, რომ რუსებს სხვა თათრებზე ყავდათ, მაგრამ ძალით არავის აქრისტიანებდნენ.

მაჰმადიანი ხოჯები, რომლებიც მრავლად იყვნენ, დაბნეულ ქართველ მაჰმადიანებს გადასახლების აუცილებლობაში არწმუნებდნენ, რომ მათი სული მხოლოდ წმინდა მიწაზე, ოსმალეთში ცხონდებოდა.

ასეთ გაურკვეველობაში მყოფი ქართველი მაჰმადიანებს ერჩიათ, გადასახლებულიყვნენ ოსმალეთში და მათი რჯულის ხალხთან ეცხოვრათ, ვიდრე ძალით გაექრისტიანებინათ.

თუმცა ოსმალეთში გადასახლებული ქართველი მაჰმადიანების უმრავლესობამ, მალევე ინანა სამშობლოს დატოვება, რასაც ზაქარია ჭიჭინაძის მიერ მოპოვებული ეს წერილიც მოწმობს – „შვილო მევლუდი! ...აქ მუჰაჯირთან არ დამტოვო, ცოტა ფარა მომაშველე და მე მაშინათვე წამოვალ... მუჰაჯირი წახდა, აქ ნულარავინ წამოვლენ, ყველა გააფრთხილე, მანდ სიკვდილი სჯობია, ჩვენ ყველა მუჰაჯირს თვალი მანდით გვიჭირამს სელამი ყველას, მანდ შიმშილით მოვკვდე ის მირჩევნია, აქ არ დავრჩე. უბედურება ვნახეთ. დეილუპა ჩვენი საქმე.“ (ჭიჭინაძე 1912:113);

კიდევ სხვა უამრავი წერილი არსებობს იმის დასტურად, რომ ქართველ მაჰმადიანთა უმრავლესობამ ინანა საკუთარი სამშობლოს მიტოვება და ოსმალეთს გადასახლება. ყურადსაღებია ყველა ის წერილი, პუბლიკაცია თუ დოკუმენტი, რომელიც ზაქარია ჭიჭინაძემ შემოგვინახა, მე-19 საუკუნის უკეთ შესასწავლად.

ზაქარია ჭიჭინაძის მიერ შეკრებილი და გამოქვეყნებული ქართველ მაჰმადიანთა ყოფა-ცხოვრების ამსახველი მასალა შთამბეჭდავია. იგი, სიტყვითა თუ საქმით, უშურველად იღვწოდა მაჰმადიანი ქართველების ეროვნული გათვითცნობიერებისათვის. საუკუნეების განმავლობაში ერთიან საქართველოს ჩამოშორებული მხარეების (ქობულეთი, აჭარა, ლივანა, მაჭახელი, იმერხევი, შავშეთი...) მშობლიურ ეროვნულ-ენობრივ წიაღში დასაბრუნებლად ზ. ჭიჭინაძემ საკმაოდ რთულ გზა განვლო.

მესხეთ-აჭარის შემოერთების შემდეგ ამ მხარეში არა ერთხელ იმოგზაურა ზ. ჭიჭინაძემ. მან დაწვრილებით მოგვითხრო დაბრუნებული ტერიტორიების, როგორც პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ, კულტურული ვითარებისა და სხვა საკითხების შესახებ. განსაკუთრებით დიდია ზაქარია ჭიჭინაძის ღვაწლი ამ მხარეებში, ქართული სკოლების გახსნის და ქართული განათლების კვლავ აღორძინების მცდელობის

მხრივ, რომლის შესახებაც არა ერთი სტატიაა დაბეჭდილი იმდროინდელი ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე.

ის არც მაჰმადიანობას ებრძოდა და არც ქრისტიანობას ქადაგებდა. ერთადერთი მიზანი ჰქონდა: ქართველებს თავიანთი ენა და ეროვნება არ დაეიწყებოდათ. იმ დროს, როდესაც ცარიზმი მახვილს სცემდა ქართველთა ერთიანობას და ერთმანეთისაგან თიშავდა, როგორც სხვადასხვა აღმსარებლობის, ისე სხვადასხვა კუთხის ქართველებს, ზაქარია ჭიჭინაძის მოღვაწეობას დიდი ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვინაიდან ის გახლდათ ადამიანი, რომელმაც უარი თქვა ყოველგვარ პირადულზე, თვითონაც ნაკლებად შეძლებული ოჯახის შვილმა საკუთარი მოგებისათვის კი არ იღვაწა, პირიქით შეეცადა ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებას, როგორც ზოგადად საქართველოში, უფრო კონკრეტულად აჭარაში, ლაზეთსა და დედასამშობლოსთან დაბრუნებულ რეგიონებში. მას განსაკუთრებით აჭარა ტკიოდა, ამიტომაც დაუტოვა ანდერძად იოსებ იმედაშვილს, რომ მისი საცხოვრებელი სახლი აჭარიდან და ქობულეთიდან ჩამოსული სტუდენტებისათვის საცხოვრებლად გადაეცათ. ეს მისი მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და დიდი ეროვნული სულის კიდევ ერთი დადასტურებაა.

§ 3 - თედო სახოკია

ქართველი მწერალს, ეთნოგრაფსა და მთარგმნელს, თედო სახოკიას, იმ პერიოდში მოუწია მოღვაწეობა, როდესაც ასწლეულების მანძილზე მტრების მიერ მიტაცებული მიწა-წყალი დედა-სამშობლოს უბრუნდებოდა არა მარტო ფიზიკურად, არამედ მსოფლმხედველობითაც. ამიტომაც მის მიერ გამოქვეყნებული თითოეული პუბლიკაცია განსაკუთრებული ინტერესისა და მნიშვნელობის შემცველია.

განსაკუთრებით საყურადღებოა თედო სახოკიას ეთნოგრაფიული ნაშრომი - „მოგზაურობანი“, რომელიც 1985 წელს გამოქვეყნდა. მკვლევარმა თავი მოუყარა ოსმალთა უღლისაგან ახლად გათავისუფლებული რეგიონებში გურიაში, აჭარაში, აფხაზეთსა და სამურზაყანოში მოგზაურობისას მოკვლულ მასალებს.

მართალია მკვლევარს სრულყოფილად აქვს დახასიათებული მოგზაურობისას მოვლილი თითოეული რეგიონი, მათი ყოფა-ცხოვრება, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა აჭარა, სადაც ყველაზე მძაფრად და მტკივნეულად მიმდინარეობდა ბრძოლა ოსმალთა უღლისაგან გასათავისუფლებლად.

სწორედ ამან განაპირობა, რომ ნაშრომში „აჭარა“ ცალკე თავად აქვს ავტორს გამოყოფილი. თედო სახოკია სრულყოფილად მიმოიხილავდა იქ მიმდინარე პროცესებს და ცდილობდა ჩაწვდომოდა მთავარს, ამის საფუძველზე ჩვენ გვაქვს საშუალება ვიმსჯელოთ აჭარაში იმ დროს არსებულ ვითარებაზე. ავტორი ამ რეგიონის გაცნობას მოკლე გეოგრაფიული და ისტორიული ექსკურსით იწყებს: „აწინდელი ახალციხის მაზრის დასავლეთით და გურიის, ანუ ოზურგეთის მაზრის, სამხრეთით, აჭარის წყლის ხეობაში მდებარეობს ღრანტოვანი და ხევიან-კლდიანი კუთხე საქართველოსი- აჭარა. მუნ სახლობს ბუნების ყოველგვარ სისასტიკესთან მებრძოლი, მრავალჭირნახულ, სიამეს დანატრებული ხალხი ქართველთა ტომისა.“ (სახოკია1985:138);

თედო სახოკია აჭარის ისტორიის თხრობისას გულისტკივილით იხსენებდა ამ რეგიონის ბედს, რომელიც მუდამ მტრის თავდასხმას იგერიებდა. ეს რეგიონი დიდი შრომით, ბრძოლით უბრუნდებოდა დედა-სამშობლოს. დროდადრო მტრის ხელახალი შემოსევა იწყებოდა, რასაც ამ ისტორიული მხარის ხელახალი განადგურება მოყვებოდა. ავტორი გაკვირვებასაც კი ვერ მალავდა იმის გამო, რომ

მიუხედავად ასეთი ტრაგიკული დღეებისა ამ კუთხემ შეძლო გადარჩენა: „აჭარა ვერ მოასწრებდა სულის მოთქმას, რომ ისევ განახლდებოდა, -ახლა კი გაორკეცებული სიმძაფრით, - რბევა და დაწიოკება სოფლებისა, მკვიდრთა ავლა-დიდებისა, მუსრვა შვილთა და ქალთა, შეგინება და შელახვა რწმენისა. ჭეშმარიტად გასაოცარია, როგორ აღიგავნენ დედამიწისა პირისაგან აჭარა და მისნის მკვიდრნი, როგორ-ღა დარჩა ხსენება მათი!...“ (სახოკია1985:138);

მკვლევრის მონათხრობიდან ჩანს, რომ იმ დროს აჭარის რეგიონს არ გააჩნდა ის ძალა და რესურსი, რომ სამსაუკუნოვანი ტყვეობიდან თავი დაეხსნა. აჭარის ეს მდგომარეობა გაგრძელდა რუსეთ-თურქეთის ომამდე (1877-1878წ). ამ დაუნდობელ ბრძოლაში თურქეთი დამარცხდა, რის შედეგადაც აჭარა დედა-საქართველოს დაუბრუნდა.

თედო სახოკიას აჭარაში მოგზაურობა, რომელიც იმ დროს ბათუმის ოლქად იწოდებოდა, საინტერესოდ წარიმართა, მან მოინახულა აჭარის სხვადასხვა სოფელი, მაგრამ ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მოგზაურის თვალით დანახულმა ხულომ. „ხულო ისტორიული სოფელია და ბევრ რისამე მოწმეა აჭარელთა ცხოვრებაში“. (სახოკია1985:182); მკვლევარი თვლიდა რომ ხულო ის ადგილია, სადაც ღირდა შეჩერება, რათა შეესწავლა და გაეცნო - „ხულოსა და ხულოსთან ერთად აჭარის წარსულიც“. (სახოკია1985:139);

იმ დროისათვის ხულო ყველაზე დიდი სოფელი ყოფილა აჭარაში, სადაც ორმოც კომლამდე ცხოვრობდა. აქ ძირითადად ორსართულიანი ხისა და ქვითკირის სახლები იდგა. ზედა სართულზე თვითონ სახლის მეპატრონეები ცხოვრობდნენ და ქვედა სართულზე კი საქონელს აბინავებდნენ.

მონათხრობიდან საინტერესოა ის ფაქტი, რომ სოფლის შუაგულში ყოფილა ხის ჯამე, რომელსაც სამირკვლად ოსმალთა მიერ დანგრეული ეკლესიის ქვის მასალა ჰქონია - „ეს ეკლესია ამ სამოცი წლის წინათ მდგარა და მაჰმადიანთ პირველად პირდაპირ ჯამედ უქცევიათ. ლოცვად რომ მდგარან, ხოჯასი და მლოცველი ხალხის ხმა, გუმბათის რეზონანსის მიზეზით, ერთმანეთში არეულა. ამ უხერხულობის ასაცილებლად ქვის გუმბათი ჩამოუშლიათ და ხისა გაუკეთებიათ. მერე სულაც დაუქცევიათ ქვითკირის ეკლესია და იმის ალაგას აუგიათ ხის ჯამე, რომელიც

დღესაც დგას.“ (სახოკია1985:183); გადმოცემით ჯამეს მახლობლად იდგა წყლის აუზი, სადაც გამაჰმადიანებული ქართველების ნამაზს მიირთმევდნენ. იქვე ახლოს კი ყოფილა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის სამოსახლო და საგვარეულო სასაფლაო.

თედო სახოკიამ ზოგადი სურათი წარმოგვიდგინა სოფელ ხულოსი, რაც შეეხება ამ სოფლისა და ზოგადად აჭარის ისტორიას, მკვლევარი ქრონოლოგიურად გვიამბობს მე-19 საუკუნეში აჭარაში მიმდინარე მოვლენებს.

მონათხრობიდან ჩანს, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრამდე აჭარა ხან გურულების და ხან კი ოსმალეთის სამფლობელოში შედიოდა. ხოლო, მე-19 საუკუნიდან კი ოსმალეთი საბოლოოდ დაეპატრონა აჭარას, რაშიც ხელს უწყობდნენ ადგილობრივი ბეგები, განსაკუთრებით კი ამ რეგიონის ბატონ-პატრონად ქცეული - ხიმშიაშვილის საგვარეულო.

რუსეთ-თურქეთის (1877-1878წწ.) ომის დროს, ოსმალეთი იძულებული იყო ბათუმის ოლქი რუსეთისთვის დაეთმო. ამის პარალელურად რუსეთის მთავრობამ აჭარის მცხოვრებლებს, სურვილის შემთხვევაში, სამი წელი მისცა ოსმალეთში გადასახვეწად. ამ სამი წლის განმავლობაში ოსმალეთიდან აგენტები აჭარაში გადმოდიოდნენ და ადგილობრივებს აშინებდნენ რუსების, ანუ „ურჯულო“ ხალხთან ცხოვრებით. მოლები არწმუნებდნენ, რომ ოსმალეთში სულთანი მათ მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას გამოიჩენდა. ხალხი დარწმუნებული იყო, რომ ომს შიმშილი მოჰყვებოდა და ამის შიშით სამი წლის მანძილზე ოსმალეთში 38 000 ადამიანი გადასახლდა. უკეთესის იმედით გადახვეწილი აჭარის მკვიდრთა მიმართ მიუხედავად დაპირებებისა თურქეთის მთავრობას სათანადო ყურადღება არ გამოუჩენია და უმეტესი მათგანი ცხოვრობდა მშვიერ-მწყურვალი გაჭირებაში.

ერთი მხრივ რუსები, მეორე მხრივ კი ოსმალე მოლები არ ასვენებდნენ ადგილობრივებს და ქადაგებდნენ, რომ - „რუსები, სჯულს გამოგიცვლიან, ცოლებს გაგიუპატიურებენ, მიწა-წყალს წაგართმევენო“. (სახოკია1985:191); ამის საპასუხოდ, ბათუმის ოლქის გენერალ-მაიორს საჯარო განცხადება გაუკეთებია, რომ „ბათუმის ზოგიერთ სანჯაყის ფუხარა და აღიები ტყუილ ხმებს აყოლიან და ლაპარაკობენ, რუსის მთავრობა ჩვენს საკუთარ მიწა-წყალს და სამართალს წაგვართმევსო, რომელიც ოსმალის დროს გვქონიაო. ამასთან ტყუილი ამბით შემინებული ხალხი

ამდგარა, დაუგდია ოხრად თავისი სახლ-კარი და ემზადება მუჰაჯირად წასვლას თურქეთში... საწყლებმა ის კი არ იციან, რომ იქ იმათ მოელის დიდი მწუხარება, შიმშილი, წყურვილი და შვილთა სიკვდილი.“ (სახოკია 1985:192);

მკვლევარი დადებითად ახასიათებდა რუსეთის მფარველობის ქვეშ მოქცეულ აჭარას. იგი თვლიდა, რომ ქართველ ხალხს ორსაუკუნოვანი ნატვრა აუსრულდა და ქართველი მაჰმადიანები თავის თანამემამულეებს კვლავ დაახლოვეს: „ცოტ-ცოტად და თანდათან მკვიდრნი, რომელნიც მარტოოდენ „რუსის“ ხსენებაზე სათოფეზედ გარბოდნენ, შეეჩვივნენ რუსის ადმინისტრაციას, რუსეთის იმპერიის კანონმდებლობას. ამასთან ერთად დაგვიახლოვდნენ ორას წლობით დაშორებული და გულიდან მოწყვეტილი ძმები, ბედმა ისევ შეგვაერთა.“ (სახოკია 1985:194);

თედო სახოკია განსაკუთრებულად გამოყოფდა გრიგოლ გურიელის ღვაწლს, რომელიც დაახლოვებული ყოფილა ქართველ მაჰმადიანებთან. მან შეძლო და ჩააგონა მაჰმადიან ქართველებს, რომ მათი თანამემამულე ქრისტიანები, „როგორც მაჰმადის სარწმუნოება ასწავლიდათ,“ ძმებად მიეღოთ და არა მტრად.

საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ავტორი, რომ ბათუმის შემოერთებასთან დაკავშირებით 1878 წელს თბილისს სტუმრობდა ქართველ მაჰმადიანთა დეპუტაცია, მათ შორის გენერალ-მაიორი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი. ხოლო, მასპინძელთა შორის კი იყვნენ: გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ჯორჯაძე, დიმიტრი ფურცელაძე და სხვა საზოგადო მოღვაწენი. საზეიმო წვეულებაზე თავიანთი გულისტკივილი და სიხარული გამოუხატავთ მონაწილეებს, მაგრამ განსაკუთრებული ინტერესი გრ. ორბელიანის სიტყვას დაუმსახურებია: „და აი, დღეს ჩვენს შორის ვხედავთ დაშორებულთა ძმათა და მოხარულნი ვმადლობთ ღმერთსა და ვევედრებით, რომ შეერთება ესე ჩვენი იყოს უკუნითი უკუნისამდე შეუტყვევლად ... და დღეს იქით ლხინშიაც, ჭირშიაც, უნდა ვიყვნეთ ჩვენ ერთად, ვითარცა ერთნი დედა-საქართველოს შვილნი...“ (სახოკია 1985:196);

ნადიმის დასასრულს კი ვრცელი სიტყვა წარმოუთქვამს აკაკი წერეთელს, რომლის განცდებიც, მისი მოღვაწეობის კრედოს გათვალისწინებით, ჩვენთვის ნათელი და მისაღები ხდება: „დიაღ, ბატონოებო. დღეს ჩვენ შეგვიძლია მივიდეთ

ჩვენი წინაპრების საფლავებთან და ჩავსდახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიფუჭებია!“ (სახოკია 1985:198);

მიუხედავად იმისა, რომ „მოგზაურობანი“ ეთნოგრაფიული ნაშრომია, მასში თედო სახოკიამ ვრცელი და საინტერესო თავი მიუძღვნა აჭარაში სწავლა-განათლების საკითხს. ავტორის მონათხრობით აჭარა უწინ სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში შედიოდა. ეს მხარე კი სწავლა-განათლებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა. იქ არსებული ეკლესია-ტაძრები, რომელთაგანაც მხოლოდ ნანგრევებიღა შემორჩენილა, მოწმენი არიან მრავალი გამარჯვებისა, მაგრამ თურქთა ბატონობამ სრულიად შეცვალა მდგომარეობა და რეალობა სრულიად სხვა გახლდათ: „დარჩენილი ნანგრევები დიდებულთა ტაძარ-ეკლესიათა უტყვენი მოწმენი არიან ძველი, ბრწყინვალე დიდებისა, მაგრამ - მხოლოდ მოწმენი... რაკი ოსმალეთმა ხელში ჩაიგდო, ხმლითა და ცეცხლით ბრძოლა გაუმართა აჭარლებს, დევნა დაუწყო მათ ენასა და მწერლობას.“ (სახოკია 1985:232); ორსაუკუნოვანმა ტყვეობამ იქამდე მიიყვანა ეს მხარე, რომ ეკლესია-მონასტრების ადგილას ჯამეები აღმართეს. ქართული საგანმანათლებლო საგანძური დავიწყებას მიეცა. ადგილობრივების სწავლა-განათლება კი მოლებმა განაგრძეს, რომლებიც ცდილობდნენ ქართული არაბულით ჩაენაცვლებინათ, ამისათვის კი ძალადობასაც მიმართავდნენ. ავტორი მწუხარებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ „ამ შემთხვევაში სრული ჰარმონიაა მასწავლებლისა და ბავშვის მშობელთა შეხედულებას შორის.“ (სახოკია 1985:233); მშობელთა უსაზღვრო ნდობით აღჭურვილი მოლები, ახალგაზრდებს სიძულვილსა და ზიზღს უნერგავდნენ ყველა სხვა რელიგიის მიმდევართა მიმართ და აფრთხილებდნენ, რომ „მათთან კავშირის დაჭერა - ცოდვა და მაჰმადის საწყენი საქმე იქნებაო.“ (სახოკია 1985:233);

მიუხედავად დიდი ბრძოლისა, რომელიც მაჰმადიანურმა სახელმწიფომ გამართა არა მარტო სარწმუნოების, არამედ ქართული ენის წინააღმდეგ, აჭარის მოსახლეობამ, მაინც შეძლო და შეინარჩუნა ენა, ეროვნული იდენტობის საფუძველი, რაც მათი ქვეყნის ერთიან სხეულთან დაბრუნების საფუძველი გახდა. მიუხედავად ენის შენარჩუნებისა, ამ კუთხეში სწავლების პროცესს ოსმალთა მოლა-მასწავლებლები აკონტროლებდნენ და განათლების მიღების ერთადერთ საშუალებად მუსულმანური

სკოლები რჩებოდა, მანამ, სანამ 1886 წელს, ქუთაისის გუბერნიის სკოლების დირექციამ გონიოში, სოფ. მარადიდში არ გახსნა პირველი ქართული სკოლა.

1890 წელს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა, გრიგოლმა დაავალა იონა მეუნარგიას, რომ შემოეველო აჭარის რეგიონი და შეესწავლა თუ, როგორ უნდა შეეტანა სწავლა-განათლება „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას“ აქეთკენ სწავლა-განათლების გავრცელება და საზოგადოდ აღდგენა ამ დავიწყებული ქრისტიანობისაო.“ (სახოკია 1985:235);

აღსანიშნავია თუ რა მდგომარეობაში დახვდა ავტორს მე-19 საუკუნის აჭარაში ქართული ენა - „ქართული ენა, მიუხედავად საშინელი ბრძოლისა, რომელიც სარწმუნოების გავლენით მაჰმადიანობამ გამართა მასთან, თითქმის ხელშეუხებელი და პირვანდელი სიწმიდნით დაცულა შიდა აჭარაში და განსაკუთრებით იმ ადგილებში, რომელიც ზედ აკრავს გურიას.“ (სახოკია 1985:235);

ქართული ენის შენარჩუნებას თ. სახოკია, ქართველი ქალის დამსახურებად მიიჩნევს, რომლებიც წერის გარდა სასაუბროდ ქართულ სიტყვებს იყენებდნენ. თუმცა, განსხვავებული ქართულითა და დამწერლობით გამოირჩეოდნენ, ვიდრე მათი თანამედროვენი - „იმ დროს, როცა ჩვენ ვცდილობთ მრგვალადა ვწეროთ, თითქმის ყოველ ანბანს, ამათ მიერ დაწერილს, სამკუთხედის ხასიათ აქვს.“ (სახოკია 1985:235); აქ რა თქმა უნდა თედო სახოკიას მხედველობაში აქვს ე. წ. დედაბრული დამწერლობა, რომელიც განსაკუთრებულ ფენომენს წარმოადგენს ამ კუთხის ისტორიაში. მ.ხახუტაიშვილი დასძენს, რომ „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი“ ფენომენია, რომელიც საკმაოდ ორიგინალური მხედრული მძლავრი ფაქტორი გახდა ეთნიკური და ეროვნული ერთიანობის შეგნებისა, რასაც არაერთხელ გადაურჩენია ქართველობა თავისი ისტორიული არსებობის მანძილზე სრული ეროვნული გადაგვარებისაგანო.

1914 წელს „სახალხო გაზეთში“ გრიგოლ ბურჭულაძე წერს: „განსაკუთრებით ქალებშია ქართული ენისადმი სიყვარული გავრცელებული; ამათ მიწერ-მოწერა ქართულად აქვთ. მიწერ-მოწერისათვის განსაკუთრებული ასოებიც კი შეუქმნიათ მაჰმადიან ქართველებს“ (ბურჭულაძე 1914: №1169); აპოლონ წულაძე კი საუბრობს, რა ამ ფენომენზე დასძენს: „ერის საუკეთესო საუნჯე, ერის დიდება და მშვენება,

ქართული ენა დაიცვეს ქალებმა. ამავე ხანუმების წყალობით არ მოისპო ქართული წერა. ქობულეთსა და აჭარაში თუ კიდევ მოიპოვებიან ხანუმები ქართულ ენაზე, ქართული ასოებით (ანბანით) მიწერ-მოწერის მცოდნენი, ეგ დიდი საკვირველი არ არის, რადგან ახლოს არიან ქრისტიან ქართველებთან“ (წულაძე 1915:42);

როგორც ვხედავთ, თედო სახოკიას დაკვირვებულ თვალს მოგზაურობისას არ გამოჰკარვია ეს დეტალი და მისთვის განსაკუთრებული ეროვნული მნიშვნელობა მიუნიჭებია.

მკვლევრისა და მოგზაურის, თედო სახოკიას გადმოცემით, იმ დროისათვის, განსაკუთრებით ზემო აჭარაში იშვიათად მოიძებნებოდა, ქართული წერა-კითხვის მცოდნენი. აჭარაში, ქართველი ბეგების ოჯახებში, ინახებოდა ქართველი მეფეების ძველი ხელნაწერები, რომლებიც ოსმალეთში გააგზავნეს ახლის მიღების სანაცვლოდ, თუმცა არც ახალი მიუღიათ - „ოსმალეთის მთავრობა დაჰპირდა, გამოგიცვლით ახლებზედაო და ის კი არა, რაკი ერთი ხელში ჩაიგდო, სულ ერთიანად ცეცხლის მსხვერპლი გახდა, რა არის, ძველთაგან მოპოვებული ყოველივე უფლება წავართვათ მათს პატრონებსაო.“ (სახოკია 1985:236);

განსაკუთრებით, აღსანიშნავია სახალხო სიტყვიერების ნიმუშები. ადგილობრივი მოსახლეობა ლექსსაც კი ვერ ამბობდნენ თუ სიმღერას არ მიაშველებდნენ. ეროვნული საკრავებიც კი გამქრალა, გარდა ჭიპონისა.

ავტორი იქვე დასძენს, რომ აჭარაში განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონიათ ქართული ენის სიწმიდნისადმი - „აქ ადამიანის ყური იშვიათად გაიგონებს უწმაწურ სიტყვებს. ქართლელი მდაბიოთაგან ასეთი სიადვილით ხმარებული ლანძღვის ცნებები აქაურს რომ მოუსმენინო, არა გვგონია, თავი შეიმაგროს და უსისხლოდ გაათავოს საქმე.“ (სახოკია 1985:237);

თ. სახოკიას ერთ-ერთ მთავარი საზრუნავი აჭარის რეგიონში, სწავლა-განათლების განვითარება გახლდათ. ის, თავად მიიჩნევდა, რომ განათლების გავრცელებას აჭარაში ხელს უწყობდა, იმ დროს ქართულ რეალობაში არსებული პერიოდული გამოცემები, განსაკუთრებით კი „ივერია“ და „დროება“ – „ვისაც თვალ-ყური უდევნებია მაშინდელ გაზეთ „დროებასა“ და ჟურნალ „ივერიისათვის“, ეხსომება, რომ ნომერი ისე არ გამოვიდოდა, განსაკუთრებით „დროებისა“, რომ შიგ

არაფერი ყოფილიყო ამ მხარის შესახებ“ (სახოკია 1985:238); ამას ადასტურებს ჩვენ მიერ მოძიებული საგაზეთო პუბლიკაციებიც, რომელთა შესახებაც ნაშრომის სხვა ნაწილში მოგახსენეთ.

განსაკუთრებული როლი აჭარაში, სწავლა-განათლების გავრცელებაში მიუძღვის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. სწორედ მისი დახმარებით, ბათუმში დაარსდა ქართული სკოლა, სადაც ქართველი ქრისტიანები და მაჰმადიანები ერთად სწავლობდნენ - „საქმე პირველადვე კარგად წავიდა, მაჰმადიანებმა თითქმის პირველადვე ნდობის თვალთ შეხედეს ამ სკოლას და არა-ერთმა და ორმა მაჰმადიანმა ქართველმა მიიღო პირველ-დაწყებითი სწავლა ამ სკოლაში.“ (სახოკია 1985:238);

აღნიშნულ სკოლაში ძირითადად სწავლობდნენ ბათუმის მაცხოვრებლები, აჭარის ზემო სოფლების მოსახლეობას კი ამ სკოლასთან წვდომაც კი არ ჰქონდათ, გარდა რამოდენიმე ბეგის შვილისა.

მკვლევარი განსაკუთრებულად მოიხსენიებდა ზაქარია ჭიჭინაძეს და მის დამსახურებას აჭარის რეგიონისადმი. გადმოცემით, ზაქარია ჭიჭინაძეს შეუკრებია იაფფასიანი სახალხო წიგნები, თითოეულ წიგნში შიგ ჩაურთავს ქართული ანბანი და დაუწყია სოფლების შემოვლა. ზაქარია ჭიჭინაძემ მოიძია რამდენიმე ამბავი და ჟურნალ „ივერიის“ დახმარებით გააცნო ადგილობრივ მოსახლეობას. ამით მან დაიმსახურა ის ნდობა და პატივისცემა, რასაც მის მიმართ განიცდიდნენ აჭარის რეგიონის მკვიდრნი.ამ განსაკუთრებული სიყვარულისა და დამოკიდებულების შესახებ ზაქარია-ეფენდის მიმართ, როგორც მას აჭარაში უწოდებდნენ, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ და არც არის გასაკვირი, რომ ეს ადამიანი ასეთი სითბოთი ყავს დახატული თედო სახოკიასაც.

„ბ-ნი ზაქარია ჭიჭინაძე თურმე შედიოდა მათს ჯამეებში, შესვლის წინათ ფეხთ იხდიდა მათსავით. მაგრამ სასმელებისა და ლოთობის სიძულვილს უწუნებდა და ბევრ სხვასა. ხალხის გული მაშინვე მოიყვავილა და ყველასათვის ძვირფასი სტუმარი შიქმნა. თანაც ქართულ წიგნებს უკითხავდა.“ (სახოკია 1985: 239);

საინტერესოდ გვაწვდის ავტორი ზაქარია ჭიჭინაძის პორტრეტს, რომელიც უანგაროდ ცდილობდა გამაჰმადიანებულ ქართველებში კვლავ გაედვივებინა

ეროვნული გრძნობა. ამ დიდებული ადამიანის ჩამოტანილ წიგნებს, ლექსებს და ლოცვებს, თავად თედო სახოკიაც წაწყდომია ქართველ მაჰმადიანთა ოჯახებში. ასეთ ოჯახებში ზაქარია ჭიჭნაძეს მოიხსენიებდნენ - „როგორც ესე ეძახიან, ზაქარია-ევენდი“-სა, ესე იგი სწავლულ ზაქარიას და ასე ახასიათებდნენ - „კაი კაცია, გურჯული (ქართული) ქითაბები (წიგნები) დაგვირიგა და ჩვენთან ერთად ჩვენს ჯამეში ლოცულობდაო“. (სახოკია 1985:239);

სხვა საინტერესო წეს-ჩვეულებებთან ერთად თედო სახოკია თავის წიგნში ასევე საუბრობს ოჯახსა და ცოლ-ქმრულ ურთიერთობებზე. მისი დაკვირვებით აჭარაში ოჯახის მთავარი მამაკაცი იყო, რომელსაც ემორჩილებოდა ოჯახის დანარჩენი წევრები. აჭარაში, ოჯახში ქალს სიტყვა არ ეთქმოდა, თუმცა ოჯახის საქმეებს, მათ შორის: ხვნა, თესვა და ა.შ მის პირდაპირ მოვალეობაში შედიოდა: „ოჯახი აჭარელისა პატრიარქალურია; უფროსი და მბრძანებელი ოჯახის წევრებისა - სახლის უფროსია. მას ემორჩილებიან ყურმოჭრილად, სიტყვაშეუბრუნებლად ყველანი მის პატარა სამეფოში. ქალს ხმა არაფერში აქვს.“ (სახოკია 1985:239);

ქალს ბევრად მეტი სამუშაო უწევდა ვიდრე მამაკაცს. მამაკაცს მხოლოდ ევალებოდა გაეკონტროლებინა ოჯახის სხვა წევრების საქმიანობა.

ქალს ოჯახში კარგი საქმიანობის გარდა, ქმრის ერთგულებაც მოეთხოვებოდა. მას ყველაფერი ეპატიებოდა ღალატის გარდა. მაგრამ, თუ მაინც უღალატებდა ქმარს, ამ შემთხვევაში ქალი მკაცრად ისჯებოდა ქმრისგან, ამასთანავე მთელი სოფლის სალაპარაკოც გახდებოდა.

რაც შეეხება, ნიშნობას, თ. სახოკია დასძენს, რომ როგორც იმ დროს მთელ საქართველოში, აქაც შუამავლის მეშვეობით წყდებოდა ეს საქმე. თუ ნიშნობა შედგებოდა, ამის შემდეგ ოჯახის სიძეს თავისუფლად შეეძლო პატარძლის ოჯახში მისვლა. იყო შემთხვევები, როცა ქალი ნიშნობის პერიოდში დაფეხმძიმებულა, თუმცა ეს კარგ საქციელად არ ითვლებოდა, მაგრამ დასჯადიც არ იყო.

ცოლ-ქმრის გაყრის შემთხვევაში კი ხელმძღვანელობდნენ სამი მუხლის პრინციპით ანუ, როგორც თავად უწოდებდნენ „სამი ტალახით“. სამი ტალახი გულისხმობდა შემდეგს: თუ ქმარი ცოლს გაუშვებდა ერთი ტალახით, ეს ნიშნავდა რომ ცოლს დროებით გამოშვების უფლებას აძლევდა. გამოშვებიდან სამი თვის

ვადაში ქმარს შეეძლო ცოლი მოებრუნებინა სახლში. ქალს ამასობაში მეორეჯერ გათხოვება არ შეეძლო, სანამ ყოფილი ქმრისგან ნებართვას არ აიღებდა.

ორი ტალახის შემთხვევაში, მხოლოდ ქალის გადასაწყვეტი იყო დაბრუნდებოდა თუ არა ქმართან სამი თვის ვადაში. ხოლო, სამი ტალახის შემთხვევაში, რაც არ უნდა მოენდომებინათ ცოლ-ქმარს სამ თვეზე ადრე ვედარ შერიგდებოდნენ. სამ თვეს ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან ამ ხნის განმავლობაში თუ გამოჩნდებოდა, რომ ქალი ორსულად იყო, მოლოგინების შემდეგ უნდა გაჰყოლოდა სხვა კაცს, შემდეგ გაშორებოდა და ამის შემდეგ დაბრუნებულიყო პირველ ქმართან, ანუ ბავშვის მამასთან.

ზემო თქმულის საფუძველზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ რაოდენ რთული და განსხვავებული ოჯახური ტრადიციები გააჩნდათ, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ზემო აჭარაში ქართველ მაჰმადიანებს.

აგრეთვე მაჰმადიანური სარწმუნოება საშუალებას აძლევდა მორწმუნეებს, რომ საკუთარი დაქვრივებული რძალი (ძმის ცოლი) შეერთოთ ცოლად, თუ რძლისგანაც თანხმობა მიიღებდა.

– „ძველთაგან ახლაც არის აქ დარჩენილი ჩვეულება აკვანში მყოფ ბავშვების დანიშვნისა. ორ აკვანს, რომლებშიაც დედათა სქესის და მამათა სქესის ბავშვებია, მშობლები ერთმანეთს მიუდგამენ და ამ დღიდან ქალ-ვაჟი ერთმანეთის ცოლ-ქმრად ითვლებიან.“ (სახოკია 1985:243); თუ ქალი ოცდაათ წლამდე ვერ გათხოვდებოდა, მას „დრომოჭმულს“ უწოდებდნენ.

გათხოვილი ქალი ვალდებული ყოფილა ქმრისთვის სახელი არ დაემხა, ასევე კაციც, რადგან ეს დიდ სირცხვილად ითვლებოდა. გარდა ამისა ქალსავე ვალად ედებოდა თმა და თითების ზემოთ ხელის სიშიშველე მამაკაცის ცნობისმოყვარე მზერისათვის დაემალა.

„რამდენდაც თავისებურია ბუნება აჭარისა, იმდენადვე თავისებურია სამოსელი მისი მკვიდრისა.“ (სახოკია 1985:244); ასე იწყებს თედო სახოკია ამ კუთხის მკვიდრთა სამოსის თავისებურებებზე საუბარს და ხაზს უსვამს მის შესაბამისობას გარემო პირობებთან. მოკლე და მჭიდრო ტანისამოსი აჭარელი კაცისთვის მოსახერხებელი იყო, ხოლო აუცილებელი ატრიბუტი კი წელზე შემორტყმული იარადის არსენალი

გახლდათ, რომელშიც შედიოდა თოფი ვაზნებით, ჯაყვა, მოვერცხლილი დამბაჩა და ა.შ. მისი თვალთ დანახული აჭარელი ჭაბუკი კი ასეთია: „ამნაირი გამოწყობილი აჭარელი, მხარბეჭიანი, ჩამკვრიულის ტანისა, წვერ-გაპარსული, შავი და პირდაპირობის გამომთქმელი თვალეზიანი, შავგვრემანი, სურათ-ცვხირიანი, თამამად მოსიარულე, თან ზრდილობიანი სიტყვაპასუხის პატრონი - მეტად ჰშვენის. მეტად საამო საყურებელია.“(სახოკია 1985:245);

რაც შეეხება აჭარაში ქალის ჩაცმულობას, არც ეს გამოჰპარვია მკვლევარს „ხირხას ქვემოთ ატარებენ კაზას, კაზას ქვემოთ - პერანგსა და მის ამხანაგს, ალისფერი ჩითისაგან შეკერილს.“ (სახოკია 1985:245); მისივე თქმით ქალებს თავზე შემოკრული ჰქონდათ იაზმა, რომლის ზემოდანაც ეკეთათ ლეჩაქი და ბოლოს კი მანდილი ანუ ფეჩა. ამ ყველაფრის ზემოთ გადაფარებული ჰქონიათ ჩადრი. ჩადრს ყველგან იფარებდნენ, სადაც კი მამაკაცი ეგულეობდათ. „რამდენადაც აჭარელი მამაკაცის ტანისამოსი პრაქტიკული და ადგილმდებარეობის პირობებთან შეფარდებულია, იმდენად დედაკაცის ტანისამოსი უხერხულია.“ (სახოკია 1985:245); ასე სრულყოფილად აღწერს მოსახლეობის ჩაცმულობას, რომელშიც კუთხის ისტორია იკითხება.

მნიშვნელოვანი ადგილი თავის ნარკვევებში ავტორმა ამ კუთხეში არსებულ ჯანმრთელობის პრობლემებსაც დაუთმო. მისი თქმით აჭარის ჰავა სიჯანსაღით გამოირჩეოდა, თუმცა ყურადღებას ამახვილებდა შუახვესა და ხიჭაურზე, რადგან მდინარის პირას და კლდეებს შორის გაშენებული ეს ადგილები ზამთარ-ზაფხულ სიცივით გამორჩეული ყოფილა, რის გამოც ამ მხარეში მცხოვრებ მოსახლეობაში ციება ყოფილა გავრცელებული. ამის გარდა ზოგიერთ სოფელში ჩიყვიც მძლავრობდა - „ზოგიერთს ცხვრის დუმასავით დაჰკიდებია კისერზე ჩიყვი და თავის თავისუფლად მოძრაობას უშლის.“ (სახოკია 1985:246);

ამ მხარეში ჯანმრთელობას ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას. იყო შემთხვევები, როცა ფილტვების ანთებით ადამიანები იღუპებოდნენ. გამონაკლის შემთხვევაში, თუ ავადმყოფს ძლიერი ორგანიზმი ჰქონდა, ებრძოდა დაავადებას და შესაძლებელი იყო ეს უკანასკნელი სიკვდილსაც გადარჩენოდა.

აქ გაბატონებული მკურნალობის ძირითადი მეთოდი მოლეზის შელოცვები და თილისმები იყო. თუ ადამიანი ვერ განიკურნებოდა და მაინც გარდაიცვლებოდა, მოლას არ დაადანაშაულებდნენ. ამას ბედისწერას მიაწერდნენ.

ერთადერთი სამედიცინო დაწესებულება ქედაში ყოფილა, რომელსაც ძირითადად კაცები სტუმრობდნენ, რადგან ქალებს ერიდებოდათ ექიმთან მისვლისა. მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იყო შესაძლებელი ექიმ ქალთან მისვლა. ყველაზე დიდი პრობლემა კი ის გახლდათ, რომ არც ბებია ქალმა და არც ფერშალმა ქართული არ იცოდა, შესაბამისად მათთან საუბარს აზრიც კი ეკარგებოდა.

ამ მხრივ კიდევ უფრო რთული ვითარება ყოფილა ხულოში და აჭარის სხვა მაღალმთიან სოფლებში - „ამ მხრივ შველას გარედან მოელის აჭარელი, თვითნ კი სრულიად უმწეოა. უმწეოა ქონებრივად, თავის წარმატებისათვის ზრუნვის თავი არა აქვს; უმწეოა იმ ტრადიციების უნდობლობის გავლენით, რომლებიც ამდენი ხნის განმავლობაში თურქეთის უკუღმართმა ცხოვრბამ ჩაუნერგა, დედის ძუძუსთან ერთად შეაწოვა...“ (სახოკია 1985:247);

როგორც ვხედავთ, ავტორი გულისტკივილს გამოთქვამს ამ კუთხეში არსებული ჯანმრთელობის პრობლემების გამო და განიცდის, რომ მოლეზის ამარა დარჩენილი მოსახლეობა სერიოზული საფრთხის წინაშე იდგა.

აჭარას განსაკუთრებული სიფაქიზით შემოუნახავს თამარ მეფის ხსოვნა. უამრავი ინფორმაცია შემონახულა და დაცულა ხალხში თამარის შესახებ. „თამარი აქაური ქართველების მეხსიერებაში აღბეჭდილია, როგორც ღვთის მოშიში, გულმოდგინე მზრუნავი ეკლესიათა გამრავლებისათვის, განაპირა ადგილების მფარველი და გამმაგრებელი, მტრისთვის რისხვის დამცემი, ქვრივ-ობოლთა გამკითხავი, მიუკერძოებელი მოსამართლე და, ყოველივე ამის დასასრულ - წმინდანი და უბიწო, როგორც დავინახავთ იმ ლეგენდიდან, რომელიც ერთ-ერთ წერილში გვექნება ჩართული.“ (სახოკია 1985:251);

ავტორი განსაკუთრებულ აქცენტს სოფელ ფურტიოზე აკეთებს, რომელიც პირდაპირ კავშირში ყოფილა თამარ მეფესთან. სოფლის ადგილობრივ მცხოვრებლებს დეტალურად სცოდნიათ თუ რომელი გზა გამოიარა თამარ მეფემ,

სად უთენებია ღამე, სად მოუკლავს წყურვილი და ა. შ. თითოეულ უმნიშვნელო დეტალსაც კი მათ მეხისერებაში წარუშლელი კვალი დაუტოვებია.

მკვლევარი ერთ-ერთ აჭარელი კაცის მონათხრობსაც გვთავაზობს: „ამ „უსჯულოთა“ მეფეს დიდი ქება გაეგონა თამარისა: მისი სილამაზის წინაშე მზის ბრწყინვალე სხივნი კრთებიანო, არცერთ დედის მუცელს მაგის მსგავსი ასული არ უშვია ქვეყნის გაჩენიდანო.“ (სახოკია 1985:285); ამის გამო მისი ცოლად შერთვის სურვილიც გასჩენია ურჯულო მეფეს, ამის გამო თამარ მეფეს თავშესაფარი აჭარაში უპოვია, რათა მეფეს არ მიეგნო. ურჯულო მეფეს ეს არ უკადრებია და საქართველოს შემოსევია. თამარი თავს ხირხამის მთაზე, მის მიერ აშენებულ ციხეს აფარებდა. გადიოდა თვეები, მაგრამ თამარის დამორჩილება ვერ მოუხერხებია მეფეს.

აჭარაში შემორჩენილი ლეგენდის თანახმად თამარის ბრძანებით გათხრილ გვირაბში, რომელიც ხირხამის ციხიდან ზარზმის მონასტრამდე მიდიოდა, მონასტრის მსახურის, მოღალატე დედაკაცის წყალობით, რომელმაც თამარ მეფე ენდობოდა ჩასაფრებიან თამარს და დაუტყვევებიათ. ამის გამო ვარაუდობენ, რომ თამარმა თავი მოიკლაო. მაგრამ აჭარაში სხვა ვერსიებიც შემორჩენილა თამარ მეფის გარდაცვალების შესახებ. როგორც მონათხრობიდან ჩანს აჭარის მკვიდრთა ისტორიულ მეხისერებაში მთელი თავისი დიდებულებით შემორჩენილა თამარის სახე და საინტერესოა, რომ თედო სახოკიამ შესძლო იმ სიყვარულის გადმოცემა, რომელსაც ამ კუთხის მცხოვრებლები, მიუხედავად ისტორიული ბედუკუდმართობისა, სათუთად ინახავდნენ.

თედო სახოკია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სხალთას და მის ირგვლივ არსებულ სოფლებს. სწორედ სხალთის ერთ-ერთ სოფელში, ქოჩახში, მისი გადმოცემით სახლობდნენ ბეგები- ხიმშიაშვილები.

ყურადღებას იპყრობს მკვლევრის თვალით დანახული ტამარი, რომ „თვით სხლათის განთქმული ტამარი ფერდზედაა აშენებული. უგუმბათოა და ორპირად ჩამომავალი სახურავი აქვს.“ (სახოკია 1985:299); იგი განსაკუთრებული სილამაზით გამორჩეული ყოფილა, რომელიც თლილი ქვისაგან ყოფილა ნაშენი. მაგრამ ავტორი გულისტკივილით დასძენს, რომ მტარვალურ ხელს არც ამ ეკლესიის ჩუქურთმები

დაუნდია და არც სახურავი. მტერს ცეცხლიც კი დაუნთია და სულ გაუმურავთ ეკლესიაო.

ადგილობრივი ლეგენდის თანახმად, ამ ეკლესიის განადგურებაში ვისაც ხელი მიუწვდებოდა ღმერთმა ყველას განსაცდელი მოუვლინაო - „თვით ხოჯებსაც მოუნდომებიათ ეს ტაძარი მეჩეთად გადაეკეთებინათ, მაგრამ მუშაობას შესდგომიან თუ არა, ყველანი ჭკუაზე შემცდარან და ამ განზრახვაზე ხელი აუღიათ.“ (სახოკია 1985:301);

შერიფ-ბეგის მამასაც უცდია ამ ეკლესიის ადგილას სახლი აეგო, მაგრამ საშინელი სიზმრების წყალობით გადაუფიქრებია. აქედან გამომდინარე მოსახლეობას ამ ეკლესიის მიმართ შიში და რიდი გასჩენია.

სხალთის ტაძრის დასავლეთით მაჰმადიანური სასაფლაო ყოფილა. ამ სასაფლაოზე ძირითადად ხიმშიაშვილის გვარის წარმომადგენლებს ასაფლავებდნენ. სწორედ, ამ სასაფლაოს ადგილას უნდა ყოფილიყო ქრისტიანთა სამარხი.

მაჰმადიანური სასაფლაოს კეთილმოსაწყობად გამოუყენებიათ სხალთის ტაძრის მოჩუქრთმეული ქვები. იმავე ქვებით გაულამაზებიათ ხიმშიაშვილებს თავიანთი სასახლის ბუხარი.

იქვე მდინარე ჩამოედინებოდა, რომლის ნაპირასაც ხიმშიაშვილების სასახლე იდგა. ერთ დროს დიდებით აღსავსე, სიცოცხლით სავსე ადგილი უპატრონოდ დარჩენილა, რომელსაც მხოლოდ ერთი დარაჯილა იცავდაო.

მოგზაურობის დასასრულს, თედო სახოკია ხულოდან ბათუმისაკენ გაემართა, გზად ქედის ბაზართან გაუვლია, რომლის გვერდით ჯამე ყოფილა. პარასკევი, მაჰმადიანთა უქმე დღე იყო და ჯამე მლოცველებით გადავსებულიყო. ისიც დაინტერესებულა და ჯამეში შესულა - „მათებური წირვა უკვე გაეთავებინათ და ქედის მოლა, ვინმე ნაკაშიძე, ხალხს უქადაგებდა მაჰმადის სამოთხის ნეტარების შესახებ თურქულად.“ (სახოკია 1985:309); თუმცა, ჯამეში მყოფთა ნახევარზე მეტს ვერ გაეგოთ რას ქადაგებდა მოლა, რადგან არ ესმოდათ. ჯამეში სიარულს კი ღვთის შიშით ხსნიდნენ.

გადმოცემით, თედო სახოკიამ ბათუმამდე ულამაზესი გზა განვლო. მას ეს მხარე ბუნების უიშვიათესი სილამაზედ მიაჩნდა და განსაკუთრებულად აღნიშნავს,

რომ მთები და მდინარეები ისე იყვნენ ერთმანეთთან წერწყმულნი, რომ ერთმანეთს ავსებდნენო.

ბათუმში შესვლისას კი მკვლევარს ნიკო ნიკოლაძის მიერ აღწერილი ბათუმი გაახსენდა, სადაც „ბათუმის ქალაქი ასიოდე სახლს და ქოხს ჰქვია.“ (სახოკია 1985:317); ხოლო თავად კი ასე აღწერს ქალაქს: „ასეთი იყო ბათუმი ამ 25 წლის წინათ, როცა ისევ თურქების ხელში იმყოფებოდა. დღეს კი იმავე ქალაქში, რომელსაც მივარდნილი სოფლის სახელი უფრო შეჰფეროდა, და რომელშიაც 4,970 სულ მცხოვრები ირიცხებოდა, ითვლება 30,000 სული; „შეტკეცილ ფაცხების“ ალაგას წამოზიდულია ორ-სამ სართულიანი სახლები, გაყვანილია მშვენიერი მოკირწყლული ქუჩები, ვაჭრობა გაჩაღებულია, მთელ მსოფლიოსთან მიმოსვლაა გამართული, გახსნილია საქალებო და სავაჟო გიმნაზიები და სხვა დაბალი სასწავლებლები, საკრედიტო დაწესებულებანი, ქარხნები. თვალს გიტკობთ ტროპიკულ მცენარეებით შემკული ბაღები.“ (სახოკია 1985:317-318);

ეს ორი ამონარიდის შედარებით გვსურდა გვეჩვენებინა, თუ როგორი ტემპით ვითარდებოდა ქალაქი, რომ ნიკო ნიკოლაძის აღწერილი ბათუმი და ოცდახუთი წლის შემდეგ თედო სახოკიას მიერი დახატული ბათუმი ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებოდა. ეკონომიკურად და სოციალურად იგი ბევრად განვითარებულა და ფართო მასშტაბები შეუძენია მე-19 საუნიის მეორე ნახევარში.

§ 4 - დიმიტრი ბაქრაძე

ქართველმა ეთნოგრაფმა და ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ შემოგვიანახა და გაგვაცნო, მის მიერ საველე კვლევების შედეგად დაწერილი ნაშრომი - „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“

დიმიტრი ბაქრაძეს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებასა და სულისკვეთების შენარჩუნებაში.

მის მეცნიერულ ნაშრომში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ ავტორმა ნათლად ასახა საქართველოს წარსული და მისი თანამედროვე ეპოქა.

დიმიტრი ბაქრაძე ზემო დასახელებულ ნაშრომში, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს, რადგან ეს მხარე მე-19 საუკუნეში ყველაზე რთულ და გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდა. განსაკუთრებით გამოყო გურია-აჭარის რეგიონი და დეტალურად გაგვაცნო ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება.

არქეოლოგისა და ისტორიკოსის მიერ აღნიშნული ნაშრომის შექმნის მთავარ მიზანს წარმოადგენდა, მისი თანამედროვე ქართული ინტელიგენციისა და საზოგადო მოღვაწეების დაინტერესებას ოსმალთა საქართველოს მიმართ. ავტორი ცდილობდა ინტერესი გაეღვივებინა ამ რეგიონებისადმი. წასრულის დიდებითა და ისტორიის გაცნობით ის შეეცადა დაეინტერესებინა მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოება.

დიმიტრი ბაქრაძე ერთ-ერთი პირველი საზოგადო მოღვაწე გახლავთ, რომელმაც სამშობლოსთან იძულებით დაშორებულ აჭარლების შეგნებაში კვლავ გააღვიძა ეროვნული მოტივი, გაუმძაფრა სამშობლოსადმი სიყვარული. „მეც და თქვენც ერთი ხალხი ვართ, ქართველები.“(ბაქრაძე 1987:45);

მან მოგზაურობისას საკმაოდ ვრცლად განიხილა აჭარის რეგიონი. დაწყებული მისი გეოგრაფიული-კლიმატური პირობებითა და დამთავრებული ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებით თვალნათლივ წარმოადგინა ეს ისტორიული მხარე.

რა თქმა უნდა, მოგზაურმა აჭარის რეგიონის მონახულოება ქობულეთის გავლით დაიწყო. ავტორი აღშფოთებულია აჭარლების გონებრივ-კულტურულ ჩამორჩენილობაზე, რომელიც მთავარ მიზეზად ოსმალთა ბატონობასა მიიჩნევდა.

„ქალს თვალს ვერსად მოჰკრავ; ისინი ჩაკეტილი არიან და გამოჩენას ვერ ბედავენ...არც ეკონომიურად ,არც გონებრივად ადგილობრივ მცხოვრებთ ნაბიჯიც არ წაუდგამთ წინ. ისინი, შეიძლება, ითქვას, უარეს უმეცრებაში არიან, ვიდრე მათი წინაპრები იყვნენ, სანამ თურქები დაიპყრობდნენ...მათ არა აქვთ არც ერთი სასწავლებელი, გარდა მეჩეთებთან არსებული უბადრუკი სკოლებისა. ერთი სიტყვით, განვითარების გზა მოჭრილი აქვთ.“ (ბაქრაძე 1987:19);

დიმიტრი ბაქრაძე იქვე ახასიათებდა ჩურქსუელებს. ჩურქსუ, როგორც მკვლევარი უწოდებდა ქართულ ქობულეთს, უწინ გურიის შემადგენლობაში შედიოდა. ჩურქსუელებს მიუხედავად დარქმეული თურქული გვარ-სახელებისა კარგად ახსოვდათ მათი ქართული წარმომავლობა. ისინი ხშირად ხმარობდნენ თავიანთ ქართულ გვარებსაც - „თანაც ყველა მათგანს შეუძლია დაგვისახელოს თავისი სახლიკაცები გურიასა და იმერეთში, და ისლამმა მაინც უკვე დაასვა მათ თავისი დალი.“(ბაქრაძე 1978:19); იქვე ვიგებთ, რომ ეს მხარე სულ ერთიანად გამუსულმანებულა, თუმცა ქრისტიანულ ნიშნები კვლავ შემორჩენილა. მართალია ჩურქ-სუში არსებული ტაძრები ერთიანად იყო განადგურებული, მაგრამ ადგილობრივებს ამ ტაძრების მიმართ შიში და რიდი გაანჩდათ, რადგანაც მიიჩნევდნენ, რომ ყველანაირი უბედურება რაც მათ გარშემო ტრიალებდა - „ხშირად მიაწერენ მათ მიერ მიტოვებული ტაძრებისა და მათი ხატების რისხვას. ამიტომ, არის რომ დროდადრო მათ სწირავენ ცხვრებს, ქათმებს და სხვ.“ (ბაქრაძე 1987:20);

ქობულეთელების უმეცრებით შემფოთებული მკვლევარი ლაზისტანის მკვიდრთა ეროვნულმა სულისკვეთებამ გააკვირვა. ნაშრომში ავტორი აღნიშნავს, რომ ლაზისტანში მიუხედავად ოსმალების ბატონობისა ადგილობრივი მკვიდრნი გამოირჩეოდნენ შესაშური სულისკვეთებით. დიმიტრი ბაქრაძე მიიჩნევდა, რომ პატივისცემის ღირსნი იყვნენ ლაზისტანის მკვიდრნი. – „ჩინებული მსროლელი, პატივისცემის ღირსი და მებრძოლი სულისკვეთების ქართველ ხალხი.“(ბაქრაძე 1987:30);

დიმიტრი ბაქრაძის გადმოცემით „ლაზისტანში“ საკმაოდ ბევრი მიტოვებული და განადგურებული ძველი ეკლესიები ყოფილა, თუმცა „ლაზებმა, როგორც დიდი

ხნის გათურქებულებმა, არაფერი იციან იმისა, თუ რა რელიგია ჰქონდათ და რანი იყვნენ“. (ბაქრაძე 1987:31);

აგრეთვე ჩვენ ინტერესს იწვევს დიმიტრი ბაქრაძის სტუმრობა სოფელ სალორეში. ისტორიკოსი აღნიშნავდა ამ სოფლის მცხოვრებლების სტუმართმოყვარეობას. ყველაზე განმაცვიფრებელი კი მისთვის წმინდა ქართულით მოსაუბრე ადგილობრივები გახლდნენ. რომელთაც, ამდენი ჭირ-ვარამის შემდეგაც კი შეუნარჩუნებიათ მშობლიური ენა.

დიმიტრი ბაქრაძე ასე ახასიათებდა ზოგადად აჭარლებს: „აჭარლები შინ, ახლობლებთან უფრო გულახდილები არიან, ვიდრე ხალხში, სადაც საექვო პირები ეგულებათ. ეშინიათ მათი. გზაში ისინი მაინც და მაინც კეთილი თვალთ არ მიყურებდნენ, მაგრამ გული მოუღებოდათ, როცა გურჯულს ენაზედ დაველაპარაკებოდი.“(ბაქრაძე 1987:46);

ამონარიდრიდან ვიგებთ, რომ მათ მკვლევარიც კი საექვო პირად მიაჩნდათ, მაგრამ რა გაიგეს მისი ზრახვები დიმიტრი ბაქრაძემ მათი დიდი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა.

ავტორს განსაკუთრებული ყურადღება ქონდა გამახვილებული ოსმალთა ძალისმიერ პოლიტიკაზე, რომლებიც ცდილობდნენ საქართველოში ალექვეთათ ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, სარწმუნოება, ენა. – „ამ ბარბაროსთა მმართველობის სისტემას მათ მიერ დამორჩილებულ ქვეყნებში ერთი და იგივე მიზანი ჰქონდა, - შენიშნავს იგი, - ისლამის გავრცელებას და ეროვნული სულის ჩახშობა. ოსმალებმა ულმობელი ომი გაოუცხადეს ზემო ქართლის ფარგლებში ქრისტიანულ რელიგიას, ქართველთა ენას და ზნე-ჩვეულებებს.“(ბაქრაძე 1987:72);

დიმიტრი ბაქრაძე ნაშრომში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ აღწერდა იმ ღრმა პატივისცემას ეკლესია-მონასტრებისა, რომელსაც აჭარლები იჩენდნენ. თუმცა, იქვე ავტორი დასძენს, რომ მათი ეს პატივისცემა გადმონაშთია იმ წარსულისა, რომლის მატარებლებიც მათი წინაპრები გახლდნენ.

დიმიტრი ბაქრაძე მიიჩნევდა, რომ ხელისუფლებას და საზოგადო მოღვაწეებს უნდა გაეტარებინათ მთელი რიგი ღონისძიებები, რათა აჭარლებში კვლავ გაედვივებინათ ის ნაპერწკალი, რომელსაც ეროვნული სულისკვეთების ამაღლებას

გულისხმობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც სარწმუნოება, მიწა-წყალი დაიკარგა, ისევე დაიკარგებოდა ქართული ენაც.

ავტორი ზედმიწევნით კარგად გვიხასიათებს აჭარლების იერ-სახეს: „აჭარლებს რომ აკვირდებით, უნებლიეთ გაცვებთ მათი წმინდა ქართული ტიპი. ამ მხრივ მე ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავ გურულებსა და აჭარლების ფიზიონომიას, აგებულებასა და ხასიათში. ისინი ტანადნი არიან, მკვირცხლნი და საზრიანები. სხაპასხუპით ლაპარაკობენ, მხიარული და ოხუნჯები არიან, ყველა აჭარელი გურულად იცვამს.“ (ბაქრაძე 1987:61);

ძალზედ ვრცელი და საფუძვლიანი კვლევა აქვს დიმიტრი ბაქრაძეს ჩატარებული გურია-აჭარის შესახებ, რომელიც ერთ ნაშრომად წარმოგვიდგინა. ისტორიკოსმა განსაკუთრებული ყურადღება აჭარის რეგიონზე გაამახვილა მისი ისტორიული წარსულიდან გამომდინარე. მე-19 საუკუნის ქართველ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება გახლდათ, რომელსაც გული შესტკიოდა ისტორიულ აჭარისა და მის თანამემამულეებზე. უდიდესი შრომა და ჯაფა ჩადო, რათა ამ რეგიონის მკვიდრთ თავი კვლავ საქართველოს შვილად ეგრძნოთ და ეროვნული სულისკვეთება და თავდადება კვლავ აღედგინათ.

§ 5 - საინგილოს თემა

კახეთ-ჰერეთი ისტორიული მხარეა საქართველოსი, რომელიც ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო მის მიმართ ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესი არსებობდა.

ჩვენი ინტერესის ობიექტს წარმოადგენს ჰერეთი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა: ზაქათალა, სიღნაღი, ალტაშ-არეში და ნუხისა. ამათგან ეს ორი უკანასკნელი (ნუხისა და ალტაშ-არეშის მაზრები) საქართველომ ჯერ კიდევ XV-XVII საუკუნეებში დაკარგა.

ჰერეთი წარმოადგენდა საქართველოს კარიბჭეს აღმოსავლეთიდან. მტრის შემოსევების დროს თავდაპირველად ჰერეთი ნადგურდებოდა და ეს ტალღა კახეთსაც გადაეცემოდა.

მკვლევარი დიმიტრი ჯანაშვილი სხვადასხვა ისტორიულ წყაროზე და სტრატონის მონაცემებზე დაყრდნობით გვამცნობს, რომ ჰერეთში სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობდა. განსაკუთრებულად საინტერესოა საინგილოს, ძველად ჰერეთად წოდებული, ისტორიული მხარის შესწავლა. ამჯერად ჩვენი ინტერესის სფეროში მოექცა მე-19 საუკუნეში არსებული მასალები საინგილოს ყოფაცხოვრების შესახებ.

თავდაპირველად გვინდა ვისაუბროთ ლეკთა მიერ საინგილოს დაპყრობაზე. ყურადღება გავამახვილოთ ჰერეთის დასავლეთ მხარეზე, ჭარ-ბელაქანზე, სადაც დაპყრობის შემდეგაც გარვეული დროის მანძილზე კვლავ კახელი ფეოდალები ბატონობდნენ, თუმცა თანდათან მათი ბატონობა შესუსტდა და კახელი ფეოდალების ადგილი ლეკებმა დაიკავეს.

ურთიერთობას, რომელიც გაბატონებული ლეკებსა და დამორჩილებული ინგილოებს („ინგილო“ ასე უწოდებდნენ ლეკები დაპყრობის შემდეგ კახელებს) შორის ჩამოყალიბდა, რუსული წყაროები „ქემქელის“ (პაპუაშვილი 1972:63); სახელწოდებით მოიხსენიებდნენ, რაც სპარსულად ქერის მინდორს ნიშნავს. ხოლო, ზაქათალას საადგილამულო კომისია „ქემქელს“ განმარტავდა როგორც შემოსავალს, რომელსაც ლეკები კახელი გლეხებისაგან იღებდნენ. ამავე კომისიის დადგენილებით ლეკების უფლებები განისაზღვრებოდა, მხოლოდ ინგილოებით დასახლებული

ადგილებიდან გადასახადების აკრებით. „საქემლო მიწა ინგილო გლეხის სრულ განკარგულებაში იმყოფებოდა.“ (პაპუაშვილი 1972:65); საქემლო მიწის ნაკვეთში იგულისხმებოდა საკარმიდამო და სახნავ-სათესი მიწები. თუმცა, ინგილო გლეხის საქემლო მიწები დაბეგრული იყო სხვადასხვა საადგილამულო გადასახადებით.

აღსანიშნავია, რომ ამ მიწების დამუშავებას არა ერთი, არამედ ხუთი-ექვსი ინგილო ახერხებდა, იყვნენ შეძლებულებიც, რომლებიც დათესილი ხორბლის ხუთჯერ და ათჯერ მეტ ოდენობას იღებდნენ.

1830 წელს ჭარ-ბელაქანის ინგილო მოსახლეობა ლეკთა „თავისუფალი თემის“ შემადგენლობაში აღარ შედიოდა, რადგან რუსეთის ქვეშევრდომი გახდა. ამის შემდეგ შეიცვალა ინგილოების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა. ლეკებსა და ინგილო გლეხებს შორის შუამავალი უკვე რუსეთი გახდა, რაც მნიშვნელოვანი გახლდათ იმდენად, რამდენადაც რუსეთის მთავრობამ ინგილოებს მისცა საშუალება ელიარებინათ ქრისტიანული სარწმუნოება. ამ ფაქტმა ლეკები ძალზედ გააღიზიანა, რადგან ჯერ ერთი, რომ ისინი განაგებდნენ საინგილოს, ხოლო მეორე კი, არ სურდათ ქართველების ბედი გაეზიარებინათ. ამიტომაც ყოველნაირ ღონეს ხმარობდნენ, რათა რუსები საქართველოდან გაეძევებინათ, თუმცა უშედეგოდ.

საინტერესოა იმ პერიოდის ინგილოთა ყოფა-ცხოვრება, ხასიათი, ზნე-ჩვეულება და ტრადიცია. ამის გასაგებად ჩვენ ერთ საინტერესო გამოცემაზე შევაჩერებთ ყურადღებას, კერძოდ, ზაქარია ედილის ნაშრომზე „საინგილო“, რომელიც საინტერესო მონაცემებს გვაწვდის ამ ძირძველ ქართულ მხარეზე. ავტორის თქმით გარეგნობით ინგილო რა თქმა უნდა ქართველ, კახელ გლეხს ჰგავდა. მკვლევარი ზაქარია ედილი (ედილაშვილი) ასე გვიხასიათებდა მათ: „ინგილონი საზოგადოდ ფერმკრთალები არიან, იშვიათად შეხვდებით წითურსა და დაჟღაჟა-ლოყებიანებს. მზისგან სპილენძის ფერად ჩაშავებულ ტიპებს აქაც, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ხშირად შეხვდებით; სახის გამომეტყველებასა, მიხვრა-მოხვრაში სიმკვირცხლე სიჩქარე არ ეტყობათ, -იგივე აუჩქარებელი, დარბაისელი ქართლელი წარმოგიდგებათ თვალწინ.“ (ედილი 1997:100);

მკვლევარი დასძენდა, რომ ისინი მუდამ სევდიანად გამოიყურებოდნენ, ამის მიზეზად კი მათ წარსულ ცხოვრებას, მონობას და დამცირებას მიიჩნევდა.

წიგნზე „საინგილო“ დაყრდნობით ვიგებთ, რომ ინგილოები გასაოცარი სიმშვიდით გამოირჩეოდნენ, არც აყალ-მაყალი, არც ჩხუბი მათ ხასიათს არ შეეფერებოდა. თავად სასოფლო ყრილობასაც კი მშვიდად, აზრთა გაცვლა-გამოცვლით ახორციელებდნენ. ის ფაქტიცაა საინტერესო, რომ ქრისტიანი და მაჰმადიანი მეზობლები მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ კიდეც და ერთმანეთის რწმენას პატივს სცემდნენ.

საილუსტრაციოდ ზ. ედილს მოჰყავს წმ. გიროგის დღესასწაული, სადაც ქრისტიანი და მუსლიმი მოსახლეობა ერთად იყრიდა თავს. ამ დღესასწაულზე მხიარულობდნენ, დროს სასიამოვნოდ ატარებდნენ, მაგრამ, როგორც მშვიდად იკრიბებოდნენ, ისევე მშვიდად იშლებოდნენ.

„მუდამ ზრდილსა და თავაზიან ინგილოს გინება და ლანძვრა ადამიანისა საშინლად ეჯავრებოდა და ეზიზღებოდა. გინებას, ლანძვრას, უწმინდურ სიტყვა-პასუხს ინგილოსგან ვერ გაიგონებდით.“ (ედილი 1997:101);

მშობლების მიმართ მათ განსაკუთრებით წარმოდგენილად მიაჩნდათ უკმეხი სიტყვები. „სალანძვარ“ ლექსიკონში მხოლოდ - „ყურუმსაღსა“ და „ახმახს“ თუ გაიგონებდით. იშვიათად თუ კი წყობიდან გამოვიდოდნენ, იმ შემთხვევაში აუწყებდნენ საუბრის ტონს. ისინი მტრის მიმართაც კი არ გამოირჩეოდნენ აგრესიულობით და უტაქტობით.

ამ წიგნის თანახმად ინგილოებში დიდ სირცხვილად ითვლებოდა ლოთობა. სუფრაზე მათ ედგათ ღვინით სავსე თიხის ჭურჭელი, რომელსაც არაწს ეძახდნენ. სუფრის თამადა, რომელსაც ინგილოები ტოლუმბაშს ეძახდნენ, ძალდატანების გარეშე უძღვებოდა სუფრას.

მათივე შეხედულებით მთვრალი კაცის ყოფნა სუფრაზე მასპინძელისა და სუფრის შეურაცხყოფად მიიჩნეოდა. ამიტომ, მას თამადა შენიშვნას მისცემდა და სუფრას ატოვებინებდა. თამადის მოვალეობაში სწორედ, რომ ფხიზლად თვალყურის დევნება შედიოდა სუფრის სხვა წევრების მიმართ.

საინგილოში ღვინოს წყლის მაგვირადაც სვამდნენ. დიდი, პატარა, ქალი, კაცი ყველა შეეძგეოდა, თუმცა ზედმეტი არავის მოსდიოდა.

საინგილოში სუფრა და მხიარულება გამონაკლისს წარმოადგენდა სხვა ქართული, მამა-პაპური დროსტარებისაგან. ამ მხარეში უწინ ქორწილი და სხვა სადღესასწაულო სუფრა სიმღერისა და მხიარულების გარეშე მიმდინარეობდა. უსიცოცხლოს უწოდებდა ზაქარია ედელი ინგილოთა დროსტარებას და მიზეზად შემდეგი მოაქვს: „ლეკთა და თათართა დიდი ხნის მონობას თავისი დალი დაუსვამს მუდამ მხიარული ქართველისათვის. ან კი რა ემღერებოდა ინგილოს! იმდენი ჭირი და ვარამი გამოუვლია ულმობელ მტრის ხელში, რომ ისიც გასაკვირელია, -სული სულად როგორ შერჩა და ხორცი ხორცად.“ (ედელი 1997:102);

ინგილოები, რამდენადაც მშვიდები იყვნენ, იმდენადვე მიუტევებლები გახლდნენ. მათი წყენა რთული იყო, მაგრამ სამაგიეროს გადახდა ძალზე სასტიკი იცოდნენ. შურისძიება, როგორც თავად უწოდებდნენ - „ჩაუნთე“ სახლის გადაწვით გამოიხატებოდა. ისინი ღამით ჩუმად სახლის სახურავს ცეცხს წაუკიდებდნენ, რომელიც ლერწმით იყო გადახურული და უფრო ადვილად აალებოდა. „ჩაუნთეს, ჩაუნთესო“ (ედელი 1997:103); რომ დაიძახებდა ინგილო ეს ნიშნავდა, რომ რომელიღაც სახლს შურისძიების ნიადაგზე ცეცხლი გაუჩინეს.

ნადგურდებოდა არა მარტო კარ-მიდამო, არამედ პირუტყვიც. მეზობლები იმ შემთხვევაში ეხმარებოდნენ დაზარალებულს ცეცხლის ჩაქრობაში, თუ ეს პირად ანგარიშწროებას წარმოადგენდა, მაგრამ თუ მას მთელი სოფლის შეურაცხოფისთვის გადაუწვავდნენ კარ-მიდამოს, მაშინ მისი მშველელი ერთი ინგილოც კი არ იყო. ამის წაკითხვისას გვახსენდება თემიდან მოკვეთის ტრადიცია, რომელიც ქართველ მთიელთა ადათის შემადგენელი ნაწილი გახლდათ.

ავტორმა ინგილოები ორ ნაწილად დაჰყო. მათ კეკელი და ელისელი ინგილოების სახელით მოიხსენიებდა. მისივე დახასიათებით ისინი სრულიად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. სანამ მათ ავტორისეულ პორტრეტზე ვისაუბრებდეთ, შეგახსენებთ, რომ ინგილოები ძირითადად დასახლებულნი იყვნენ ორი დიდი სოფლის ალიაბათისა და კაკის ირგვლივ. კაკის რაიონის ინგილოები თავდაპირველად წარმოშობით ყოფილან სოფელ კაკიდან და შემდეგ დაუარსებიათ პატარ-პატარა სოფლები.

ზ. ედილის კაკელ ინგილოებს შემდეგნაირად ახასიათებდა: „კაკელი ინგილო ამპარტავანია, დიდგულა და თავისუფლებისმოყარე.“ (ედილი 1997:103);

სოფელი კაკი მდებარეობდა ქურმუხის ხეობაში. ამ სოფლის მოსახლეობა საშუალებას არ აძლევდა დაღესტნიდან შემოსულ მტერს მათ მიწაზე ფეხი დაედგათ. ამიტომ, ჯერ კიდევ საქართველოს მეფეები მათ პატივს სცემდნენ და ყოველგვარი გადასახადებიდანაც ათავისუფლებდნენ. ასეთი დაფასების შემდეგ, კაკელი ინგილო თავს ამაყად გრძნობდა. რაც არ უნდა გასაჭირში ყოფილიყო, დასახმარებლად არავის მიმართავდა. მათთვის წარმოუდგენელი იყო - „მათხოვარი ინგილო.“

ავტორის დახასიათებით სრულიად განსხვავდებოდნენ ალიაბათის ინგილოები, რომელთაც მტრის დაღი ღრმად დასტყობოდათ.

გადმოცემის საფუძველზე თუ შევადარებთ კაკიელ და ალიაბათელ ინგილოებს, კაკელი ინგილოები მათგან განსხვავებით შეგნებულები და გონებამახვილნი ყოფილან, ხოლო ელისელი (ალიაბათელი) ინგილოები კი სწალა-განათლებას გაურბოდნენ, მხოლოდ მცირე ნაწილს თუ სცოდნია „თათრული წერა-კითხვა.“ (ედილი 1997:104);

იშვიათი გახლდათ ინგილოს შრომისუნარიანობა, რომელთაც თათრებისა და ლეკებისაგან განსხვავებით სარჩო-საბადებელი წლიდან-წლამდე ჰყოფნიდათ. მაგრამ, მათგან განსხვავებით მეზობელი თათრები და ლეკები მუშაობის ნაცვლად გამოპრანჭულ-გამოწყობილები დაიარებოდნენ და იშვიათად რომ მათ წლის ბოლომდე თავი შეენახათ, ამიტომ იძულებულები იყვნენ სესხი ინგილოსაგან ეთხოვათ - „ჩვენ შიმშილით დავიხოცებითო, ინგილო არის ჩენი პურის ბედელი და კიდობანიო.“ (ედილი 1997:104); ამბობდნენ კიდევ

რაც შეეხება სტუმართმოყვარეობას, ინგილო რაც არ უნდა გაჭირვებული ყოფილიყო სახლში სტუმარს აუცილებლად შეიპატიჟებდა. უარის თქმა დიდ შეურაცხყოფად მიიჩნეოდა მასპინძლის მიმართ. ინგილოები ყონალობისთვის ანუ სტუმარიანობისთვის შემოდგომაზე უფრო იცლიდნენ, რადგან ნაკლები სამუშაო ჰქონდათ, ვიდრე წელიწადის სხვა დროს.

დიდი ოჯახები - ასე მოიხსენიებდა ზაქარია ედილი საინგილოში არსებულ ოჯახებს, რომელიც 40-60 წევრისაგან მაინც შედგებოდა. დიდ პატრიარქალურ

ოჯახში ცხოვრობდნენ შვილები, შვილიშვილები და ა.შ. რა თქმა უნდა ოჯახს სათავეში უხუცესი მამაკაცი ედგა. მისი სიტყვის შესრულება სავალდებულოდ მიიჩნეოდა. ოჯახის უხუცესი ანაწილებდა ოჯახში თუ ვის რა საქმე უნდა გაეკეთებინა.

თანდათან, მე-19 საუკუნეში უკვე მსგავსი პატრიარქალური ოჯახები აღარ არსებობდნენ. თუ ასეთი დიდი ოჯახი, ოჯახის უფროსის სიცოცხლეშივე დაიშლებოდა დიდი შეურაცხყოფად მიიჩნეოდა. ოჯახის დაშლის შემთხვევაში ქონებას თანაბრად იყოფდნენ, გარდა ქალებისა. ქონება არც დედ-მამას ერგებოდა. მშობლებს ერთ-ერთ ძმასთან აცხოვრებდნენ, ხოლო კარ-მიდამო, რომელშიც ძირი ოჯახი ცხოვრობდა პატარა ძმას რჩებოდა.

ჩვენ უკვე ნაწილობრივ ვისაუბრეთ ინგილოთა დროსტარებაზე და აღვნიშნეთ, რომ ავტორის თქმით, მათ არ იცოდნენ დროსტარება. გასართობს მხოლოდ ზურნაზე და აქა-იქ ფანდურზე დაკვრა წარმოადგენდა. ყველაზე დიდ ზეიმად მიიჩნევდნენ ქურმუხობას, რაც გულისხმობდა ქურმუხის წმინდა გიორგის დღესასწაულს.

ზემო აღნიშნული დღესასწაული საერთო სიწმინდედ ითვლებოდა. იქ დადიოდნენ ქრისტიანები, მუსლიმანი ინგილოები, გადადიოდნენ თათრები, სომხები. მორწმუნენი მთელი წლის განმავლობაში ასუქებდნენ შინაურ ცხოველებს, რომ შეეწირათ წმინდა გიორგისათვის. მიჰქონდათ ღვინო და საგანგებოდ ემზადებოდნენ.

შესაწირის შემდეგ დასაკლავად მიჰყავდათ სახლში პირუტყვი. საინგილოს მკვიდრთ განურჩევლად აღსარებისა სწამდათ და ყველაზე დიდი დღესასწაულად სწორედ ეს მიაჩნდათ. ამ დღეს ისინი თავს ყველაზე ბედნიერად გრძნობდნენ.

ქრისტიან ინგილოებში აღდგომის დღესასწაული გახლდათ უმნიშვნელოვანესი და მას თავისებურადაც აღნიშნავდნენ.

აღდგომა დღეს, დილაადრიან ღორის ხორციით იხსნილებდნენ პირს, ცოტას გაღეჭავდნენ, შემდეგ გადმოაგდებდნენ და იტყოდნენ: „ლეკო დაგრჩეს შენ.“ (ედილი 1997:108); თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ მეზობელი თათრების პატივისცემის ნიშნად ქრისტიანი ინგილოები სახლში ღორს არ აშენებდნენ და მხოლოდ აღდგომის წინა დღეს მოინადირებდნენ.

ოჯახი მოამზადებდა შესაწირს და გაემართებოდნენ ე.წ. საყდარში, რომელიც - „სადაც ერთ დროს მართლა პატარა საგვარეულო საყდარი ყოფილა, ახლა კი ან სულ არაფერია ამ საყდრისა, ან მცირეოდენი კედლები და საძირკველიაა დარჩენილი.“ (ედელი 1997:109);

„ქრისტიანი ინგილოები ამ ნასაყდრალის კედლებზე ანტებდნენ სანთლებს, მიჰქონდათ წითლად წითლად შეღებილი კერცხები.

განსხვავებული კი ის გახლდათ, რომ ინგილოები ერთმანეთს არ ულოცავდნენ „ქრისტე აღდგა“, მათ მილოცვის ტექსტი გახლდათ : „მოგილოცავ გახნილებას, ქურმუხის წმ. გიორგის და მარიამ დედამ მრავალ ამ გახსნილებას დაგასწროთ ბახლებით(ბავშვებით) დორთიანათ.“(ედელი 1997:109);

აღნიშნული საკითხიდან გამომდინარე აჭარის მკვიდრთა და საინგილო მკვიდრთა მიდგომა სალოცავისა და წმინდანების მიმართ ურთიერთკავშირშია.

ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე ვთვლით, რომ ერთის მხრივ აჭარაში, სადაც ქრისტიანებთან ერთად ცხოვრობდნენ აჭარელი მუსლიმები, პატივსცემდნენ და აღიდეგდნენ თამარ დედოფალს, განურჩევლად რჯულისა და მეორეს მხრივ საინგილოში, სადაც აგრეთვე ქრისტიანი და მუსლიმი ინგილოები ერთად ცხოვრობდნენ აღიდეგდნენ წმინდა გიორგის.

ჩვენ დავუბრუნდებით ისევ საინგილოს თემატიკას და ზაქარია ედილის ნაშრომიდან ყურადღებას გავამახვილებთ ცრუმორწმუნეობაზე.

ცრუმორწმუნეობა საინგილოში თითქმის გადავარდნილი იყო, მაგრამ აქა-იქ მაინც არსებობდნენ მკითხავები, რომელთაც დასახმარებლად მიმართავდნენ. აგრეთვე, დასახმარებლად მიმართავდნენ მოლებს. თუ ოჯახის რომელიმე წევრი ავად გახდებოდა მოლა ლოცვას ქაღალდზე დაუწერდა, გაახვევდნენ ნაჭერში და ავადმყოფს ყელზე ჩამოჰკიდებდნენ.

ავადმყოფის სამკურნალოდ მიიჩნევდნენ დიდი ასწლოვან ხეებსაც. ეს ხეები წმინდანებად მიაჩნდათ და თვლიდნენ, რომ ყველანაირ ავადმყოფობას მოარჩენდა.

რაც შეეხება ჯადოს და მოჯადოებას, ამ მხრივ საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოდ ფაქტი, რომელიც აღწერილია ზ.ედელის წიგნში „საინგილო“.

იმ შემთხვევაში, თუ ვაჟს ქალი მოსწონდა და არ მიჰყვებოდა ცოლად, იმ ქალის თმას მოიპარავდნენ და მოლას მიუტანდნენ შესალოცად. ამის შემდეგ ქალი თანხმდებოდა ცოლობაზე. მეორე შემთხვევა ყოფილა, რომ ჯვირსწერისას სიძეს ნაბდიდან ბეწვს გამოგლიჯადნენ და მოლას შელოცვის შემდეგ, მოჯადოებულ წყვისლ შვილი აღარ ეყოლებოდათ.

ინგილოებს, ქართული წეს-ჩვეულებებიდან ყელაზე მეტად შემოუნახავთ და ეროვნული სული იგრძნობდა ნიშნობაში და ქორწილში. ინგილოების ქორწილი სრულიად გავდა ქართულ მამა-პაპურ ქორწილს.

საინგილოშიც, ისევე როგორც ძველად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იცოდნენ აკვანშივე ნიშნავდნენ ქალსა და ვაჟს დედების შეთანხმებით, მაგრამ ძირითადად მაინც 8-10 წლის ასაკში, მაჭანკლის დახმარებით ხდებოდა ქალისა და ვაჟის დაბევება.

საწინდარის მიტანის შემდეგ ხდებოდა ნიშნობა, სადაც მაჭანკალს სუფრაზე განსაკუთრებული ადგილი ეკავა. პატივისცემის ნიშნად კი მას მოხარშულ დედალს მიართმევდნენ. ხშირ შემთხვევაში ქალსა და ვაჟს ერთმანეთი ნანახი არც ჰყავდათ.

ქორწილს ძირითადად შემოდგომაზე იხდიდნენ. ქურმუხობამდე ქორწილი აკრძალული იყო. ქორწილს ერთსა და იმავე დროს, ნოემბრის თვეში მართავდნენ. ამას ემატებოდა ის დოვლათი და ბარაქა, რაცას გლეხკაცი შემოდგომაზე მოიმკიდა.

თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ის წესები და ვალდებულებები რაც იმ დროს სიძეს, პატარძალს და მათ ახლობლებს გააჩნდათ, უწინ ეკლესიაში მიმდინარეობდა, თუ რა თქმა უნდა საქორწინონი ქრისტიანები იყვნენ.

აქვე საინტერესოა პატარძლის როლი ინგილოს ოჯახში. საინგილოში, ქმრის ოჯახში შესული პატარძალი ერთი წლის განმავლობაში ვალდებული იყო სადამო ხანს, ოჯახის ყველა წევრისათვის ფეხები დაეხანა და გაეწმინდა. დროის გასვლის შემდეგ კი მხოლოდ დედამთილ-მამათილისთვის. გარდა ამისა ვალდებული იყო სახლის საქმეები ხმამაყოფებლივ მას გაეკეთებინა.

მეტად დაკნინებული ყოფილა ინგილო ოჯახში პატარძალი, რომელსაც ხმის ამოღების უფლებაც კი არ ჰქონდა მთელი ცხოვრება მანძილზე დედამთილ-მამათილის მიმართ.

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა ყოფილიყო, საინგილოში ძველად მელოგინე ქალს არავინ ეხმარებოდა. მას უწევდა ისევ რეცხვა, ბავშვის მოვლა და სხვა საქმეები. ცივ ზამთარში საქმე იქამდეც მისულა, რომ მელოგინე გაციებულა და წუთისოფელსაც გამოსალმებია.

გასაკვირია მამისა და შვილის დამოკიდებულება. საინგილოში მამის ალერსი შვილის მიმართ ხუთ წალმდე არ შეიძლებოდა. მამაკაცი შვილს ხელში არავითარ შემთხვევაში არ აიყვანდა, სანამ ხუთი წელი არ შეუსრულდებოდა.

წიგნში „საინგილო“ ნახსენებია ღალატის შემთხვევა - „გონს მოვიდოდა თუ არა ქალი, გაითვალისწინებდა, რომ სრულიად შეუფერებელ კაცს მიათხოვეს მშობლებმა, გული უცრუვდებოდა თავის ოჯახზე, ქმარზე, რომელმაც ფულით იყიდა იგი და გატაცებით მირბოდა თავისავე მეზობელ ახალგაზრდა კაცთან.“ (ედილი 1997:129);

აქვე დავძენთ, რომ უწინ მუსულმან ინგილოებში აკრძალული ყოფილა მრავალცოლიანობა.

რაც შეეხება დაკრძალვის რიტუალს, წიგნში აღწერილი რიტუალებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაკრძალვისას და მიცვალებულის მოვლისას ინგილო ოჯახებში იყენებდნენ, როგორც ქრისტიანულ ასევე მუსლიმურ წესებს, რაც შემდეგში გამოიხატებოდა: გარდაცვლილ ადამიანს თავთან დაუდგამდნენ ხორბალსა და ღვინოს, აკეთებდნენ კორკოტს, მაგრამ ამასთანავე მიცვალებულს ბანდნენ და იმავე დღეს ასაფლავებდნენ, რომ სული და გვამი ერთ დღეს წარმსდგარიყო ღმერთის წინაშე.

თუ მიცვალებული ქრისტიანი იყო მას, ერთ ხელში სანთელს დააჭერინებდნენ და ბოლომდე რომ ჩაიღვენთებოდა ატანდნენ, რომ საიქიოში არ შეშლოდათ მუსლმანებში.

„კუბოთი საინგილოში მარტო ქრისტიანებს მარხავენ, მუსულმანებში კი საკაცესა ხმარობენ, რომელსაც კიბის მსგავსად აკეთებენ.“ (ედილი 1997:131);

მეორმოცე დღეს - სულპურს ეძახდნენ, ამ დღეს ჭირისუფალი შავ ტანისამოსს იხდიდა და ჭრელს და ახალს იცმევდა. სადამო ხანს ხალხი, რომ დაიშლებოდა მიცვალებულისათვის საგანგებოდ გამომცხვარ პურს ღობეზე დაკიდებდნენ და იტყოდნენ: „შენ წილ მიგიღია, წაა., შენ წილ რამ აქ აღარაა.“ (ედილი 1997:135);

ინგილოები ძირითადად ორ ენაზე საუბრობდნენ: ქართულად და თათრულად (აზერბაიჯანულად). გამონაკლისი გახლდნენ ქალები, რომლებიც ძველი ქართული დიალექტით საუბრობდნენ. ინგილოური დიალექტი ძალიან წააგავდა ქიზიყურს და რა თქმა უნდა ეს გასაკვირიც არ გახლდათ, რადგან ინგილოებს და ქიზიყელებს ხშირი მიმოსვლა ჰქონდათ ერთმანეთთან.

ჩვენ შევეცადეთ მოკლედ მიმოგვეხილა ინგილოებში დამკვიდრებული წეს-ჩვეულებები, თუმცა საინტერესოდ მიგვაჩნია აგრეთვე, გავეცნოთ წარსულში საინგილოში არსებულ სოფლების იერ-სახეს.

კერძოდ საინგილოში შეხვდებოდით სამი ტიპის სოფელს: ევროპული სოფლის ტიპს, დაღესტნის სოფლის ტიპს და მესამეს გაშლილს, გაფანტულს ბაღ-ვენახებში.

თავდაპირველად შევჩერდეთ სოფელ კაკზე, რომელზეც ზევით უკვე ვისაუბრეთ. თუმცა არ გვისაუბრია მოსახლეობაზე, რომლის ნაწილსაც ინგილოებთან ერთად თათრებიც შეადგენდნენ. ლეკებს გადაუწყვეტიათ სოფლის თავში და ბოლოში დაესახლებინათ თათრები, რათა სრულ მორჩილებაში ჰყოლოდათ ამ სოფლის მკვიდრნი. სოფელში ათას კომლამდე სახლობდა. სოფლის მოსახლეობა კი სამ ნაწილად იყოფოდა: კაკბაში, კაკინგილო და კაკმულალი.

საინგილოს მოზრდილი სოფელი იყო აგრეთვე ალიაბათი, რომელიც მუსულმან ინგილოთა ცენტრს წარმოადგენდა. ლეკები ალიაბათთან ახლოს არსებულ სოფლებს გურჯისტანს ეძახდნენ. უწინ ალიაბათს ელისენს უწოდებდნენ. მუსულმანთა მომრავლების შემდეგ ამ სოფელს ალიაბათი შეარქვეს (ალიაბათი მაჰმადიანების ქვაკლდე იყო).

საინგილოში ზაქათალა ქალაქს წარმოადგენდა, რომელიც 1830 წელს რუსმა მთავარმართებელმა პასკევიჩმა დაარსა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საინგილოში სოფელი ბელაქანი, რომელიც ბოლო ორი საუკუნის მანძილზე ლეკთა ბანაკს წარმოადგენდა. ლეკები სოფელ ბელაქანში ირაზმებოდნენ და საქართველოს ასაოხრებლად მიემართებოდნენ. ამ სოფლის მოსახლეობას წარმოადგენდნენ ლეკები და გალეკებული ქართველები.

სოფელი ელისუსი განსაკუთრებული იყო როგორც თავისი ბუნებრივი სილამაზით, (50 წყარო ჩამოედინებოდა და მთებით იყო შემოსაზღვრული), ასევე

სულთნების რეზიდენციით. უკანსკნელი სულთანი გახლდათ დანიელ-ბეგი, რომელმაც რუსებს უღალატა და დაღესტნის იმამის მხარეს გადასულა, რის გამოც რუსეთის სარდლობას სულთანი სათანადოდ დაუსჯია, გადაუწვეს სასახლე და მეჩეთი.

კიდევ მრავალ საინგილოს სოფელზე შესაძლებელია ყურადღების შეჩერება, რომლებიც განსაკუთრებული სილამაზით, წეს-ჩვეულებებით, უჩვეულო ტრადიციებითაც გამოირჩეოდნენ, მაგრამ მთავარია, რომ ისინი შეეცადნენ შეენარჩუნებინათ ეროვნული ღირებულებები.

სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ჭარ-ბელაქანის მკვიდრნი რუსეთის ცარიზმის ხელში. რუსეთის მთავრობას მიზნად დაუსახია რა ჭარ-ბელაქანის დაპყრობა და მისი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეყვანა, სისრულეშიც მოუყვანია.

რუსეთის მთავრობას გააზრებული ჰქონია, რომ ამ მხარის მკვიდრნი წარმოადგენდნენ, როგორც მუსლიმ ასევე, ქრისტიან ქართველებს. მოლოდინი იყო, რომ რუსეთის მთავრობა ჭარ-ბელაქანს სიღნაღის მაზრას შეუერთებდნენ, მაგრამ ის ცალკე ოლქად ჩამოაყალიბეს. 1860 წელს ჭარ-ბელაქანი, ზაქათალას ოკრუგის სახელწოდებით დაღესტნის ოლქს შეუერთეს. ამით კიდევ უფრო ჩამოშორდნენ საქართველოსა და ქართველებს.

მეტად რთულ ვითარებაში უწევდათ ინგილოებს ცხოვრება. ფანატიკოსი მუსლიმები მათ დევნიდნენ და კვლავ აიძულებდნენ მაჰმადიანური რჯულის მიღებას. მართალია გაცილებით ადრე ინგილოები აღმსარებლები იყვნენ ქრისტიანულ სარწმუნოებისა, მარამ მის ოფიციალურად აღიარებას ფანატიკურად განწყობილი მუსლიმების გამო ვერ ბედავდნენ.

მდგომარეობა არც რუსეთის მმართველობის პირველ ხანებში შეცვლილა. თავად რუსეთმა, სანამ დაღესტნელი და კავკასიელი ტომები სრულიად არ დაიმორჩილა, მანამ ქრისტიანობის გამყარებას ამ მხარეში ხელი არ შეუწყო, იმ მიზნით, რომ არ გაეღიზიანებინა ადგილობრივი მუსლიმები.

თუმცა, მოგვიანებით 1850 წელს მეფისნაცვალ ვორონცოვის ხელშესწყოებით, ელისუსუ სასულთნოდან რვა ქართველი გაქრისტიანებულა სიონის ტაძარში. ამის

შემდეგ იწყება ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების პროპაგანდა ჭარ-ბელაქანის აღმოსავლეთ ნაწილში. რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით ინგილო, რომელიც მიიღებდა და აღიარებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას გათავისუფლდებოდა ლეკთა საადგილმამულო დამოკიდებულებისაგან.

სპეციალურად შექმნილმა კომისიამ სულან დანიელ-ბეგის ქონება ღალატის შემდეგ, სახელმწიფო შემადგენლობაში მოაქცია. რუსეთის მთავრობამ დაუნაწილა ელისუელ ბეგებს და ჭარელ ალაღარებს მათ მფლობელობაში მოქცეული საქემლო მიწების ნაცვლად, იმავე რაოდენობის სახელმწიფოს შემადგენლობაში არსებული სულთნის მიწები, რითაც გაათავისუფლა გაქრისტიანებული ინგილო გლეხი ლეკთა საადგილმამულო დამოკიდებულებისაგან. ელისუსის სასულთნოს ოლქში სულ შედიოდა შვიდი სოფელი, აქედან ორმა ქრისტიანული სარწმუნოების მიღებაზე უარი განაცხადა, რითაც ისინი ისევ რჩებოდნენ ლეკთა საადგილმამულო დამოკიდებულების ქვეშ. გაქრისტიანებული ინგილოები ექვსი წლით თავისუფლდებოდნენ საეროზო გადასახადებიდან და შეღავათი ჰქონდათ სახელმწიფო გადასახადებშიც.

ამ გადაწყვეტილებას მშვიდად არ შეხვედრილან ზაქათალას ოლქის მცხოვრებლები, ისინი უსამართლოდ მიიჩნევდნენ ქრისტიანობის გავრცელებას ინგილოებს შორის და ამ სტატუსით გადასახადისაგან გათავისუფლებას.

მუსლიმი ინგილოები კვალვ ძალდატანებით ცდილობდნენ მაჰმადიანური სარწმუნოების დაბრუნებას და შედეგსაც მიაღწიეს. გაქრისტიანებული ინგილოებიდან 59 კომლმა კვალვ მაჰმადიანობა მიიღო. მუსლიმანებს განზრახვა ჰქონდათ, რაც შეიძლება მეტი ქრისტიანი მოექციათ თავიანთ სარწმუნოებაზე.

ის ქრისტიანი ინგილოები, რომლებიც მუსულმანური რელიგიას დაუბრუნდნენ, კვალვ დაბეგრინი იქნენ საქემქელო მიწებით.

რა თქმა უნდა, რუსეთის მთავრობას გააზრებული ჰქონდა ჭარ-ბელაქანის ისტორიული დანიშნულება. უწინ ეს კუთხე წარმოადგენდა საყრდენ ძალას აღმოსავლეთ საქართველოსას. რუსეთის მთავრობის დროს არაერთი კომისია შექმნილა ზაქათალას ოლქში, რათა ემსჯელათ ინგილო გლეხების მდგომარეობაზე.

საბოლოოდ, კი რუსეთის ცარიზმმა ოფიციალურად ცნო ჭარ-ბელაქანში ლეკი აღარების მეზატონეობა.

„მთელი XIX საუკუნის მანძილზე, მეფის მთავრობა ჭარ-ბელაქანში თავისი კოლონიური პოლიტიკისათვის სოციალური ბაზის შექმნის მიზნით, განუხრელად ცდილობდა მიეღო განსაკუთრებული ღონისძიებები იმისათვის, რომ განემტკიცებინა და დაეცვა ჭარ-ბელაქნელი ადაღერების კლასობრივი უფლებები.“ (პაპუაშვილი 2008:215);

თავი II

მუჰაჯირობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის

ქართულ პრესაში

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში რადიკალურად შეიცვალა სოციალ-პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური შეხედულებანი, მოხდა საზოგადოების კონსოლიდაცია, რამაც თავისთავად განაპირობა ერთიანი აზრის ფორმირება.

ვსაუბრობთ რა ზოგადად სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებაზე, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ ისეთ ისტორიულ ფაქტებზე, როგორებიცაა ბატონყმობის გაუქმება და ქვეყნის სამთავროებად დაყოფა, მაგრამ ერთიან ქსოვილში უმთავრესი მაინც დედა-საქართველოსთან აჭარისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების დაბრუნება გახლდათ. ამავე პერიოდს უკავშირდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის მძლავრი ეტაპი, ეროვნული თვითშეგნებისა და ზოგადად საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესი, რაც საბოლოო შტრიხებს ავლებდა ამ ერთიან პროცესში.

ქრონოლოგიურად ამავე პერიოდს ემთხვევა საქართველოს ისტორიის ისეთი მტკივნეული პროცესი, რასაც მუჰაჯირობა წარმოადგენდა. მან მოიცვა მთლიანად ქვეყანა, მაგრამ განსაკუთრებული სიმძაფრით იგი აჭარაში წარმოჩინდა.

მუჰაჯირობა საქართველოში ოსმალთა დაულალავი ბრძოლისა და შრომის შედეგია. მართალია აჭარაში ოსმალთა 300 წლიანი ბატონობა ტკივილიანი და ტრაგიკული გახლდათ, მაგრამ ყველაზე მტკივნეული თავად მუჰაჯირობის პროცესი იყო, რომელიც გულისხმობდა ქართველთა გადასახლებას ოსმალთა მიწებზე. იგი არ დაწყებულა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, გადახვეწა პირველად დაიწყო მესხეთის ტერიტორიაზე, რაც გახლდათ 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგი. რუსეთსა და ოსმალეთს შორის გაფორმებული ტრაქტატის თანახმად მუჰაჯირობის ოფიციალურ დასაწყისად 1879 წლის 3 თებერვალი დასახელდა და იგი შემდეგ საუკუნეშიც გაგრძელდა. ყველაზე დიდი გადასახლება 1921 წელს განხორციელდა. ამის მთავარი მიზეზი ოსმალეთის იმპერიის მიერ გამოგზავნილი მოლეები გახლდნენ, რომლებიც მოსახლეობაში აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდნენ.

ნუ ვიფიქრებთ, რომ საქართველოდან ემიგრაციის პროცესი მხოლოდ დაქირავებულ აგიტატორთა შედეგი იყო, მას ის გაუასძლისი სოციალური გარემოც დაემატა, რაც აიძულებდა მოსახლეობას ლუკმა-პურისთვის საშოვარზე წასვლას.

მუჰაჯირობის პროცესის შედეგად სრულიად დაცარიელდა ტაო, კლარჯეთი, არტაანი, აჭარა, ქობულეთი. გაქრა უამრავი სოფელი, განადგურდა მეურნეობა.

აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნება ის მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი გახლდათ, რომელმაც საუკუნეების მანძილზე ერთიან სხეულს მოგლეჯილი ნაწილი გაამთლიანა და ამ კუთხეში მცხოვრები მოსახლეობა ღვიძლ მშობთან დააბრუნა. მიუხედავად ძალად თავსმოხვეული სარწმუნოებისა, ამ კუთხის მკვიდრებმა შეძლეს შეენარჩუნებინათ ეროვნული სული, ენა და ამით გადაერჩინათ ქართველობა. ხშირად გაუცნობიერებლად მჭადზე დასმული ჯვარი ხომ გენეტიკური კოდი იყო, მათი ქართველობის დასტური, ამის პარალელურად მშობლიური მიწიდან აყრა და უცხო ქვეყნებში გადასახლება ერთი მუჭა ქართველებისათვის, მძიმე ისტორიულ ხვედრად იქცა. რელიგიური შეუწყნარებლობის, თუ სხვა ქვეყანაში სამოთხეში ცხოვრების სურვილით შეპყრობილთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ოსმალეთში ჰპოვეს თავშესაფარი და იქ ქართული დასახლებები შექმნეს. ოჯახებს, ნათესავებსა და ახლობლებს მოწყვეტილებმა ათწლეულების მანძილზე შეძლეს შეენარჩუნებინათ და თაობებისთვის გადაეცათ მშობლიური ენა, ადათ-წესები და ტრადიციები.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის მიერ შემოერთებული კავკასიიდან მუჰაჯირებად გასახლებული ეთნიკური ჯგუფების სულის წიაღში მოიპოვებოდა ის დაუშრეტელი წყარო, რომელიც ეხმარებოდა მათ იდენტობის შენარჩუნებაში, ეხმარებოდა დარჩენილიყო ისეთად, როგორც იყო და ეთქვა სათქმელი ისე, როგორც ამას ვერ იტყოდა ვერცერთი სხვა ეთნიკური ჯგუფი.

ფაქტია, რომ მუჰაჯირობის, როგორც მოვლენის, სულისჩამდგმელი იყო ოსმალეთი, რომელიც ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ხალხი აეყარა და გაესახლებინა რუსეთის მიერ დაკავებული მაჰმადიანებით დასახლებული ტერიტორიებიდან. ამ ფაქტს ზემო აღნიშნულ პროცესს ასე ახასიათებს შოთა მეგრელიძე: „ეს ხალხი მას სჭირდებოდა ჯარის გასაძლიერებლად, დაპყრობილ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასაქრობად, მუდმივი

ომებით, სხვადასხვა ტომთა ურთიერთდარბევებითა და ხოცვა-ჟლეტით შეთხელებული მცირე აზიის მოსახლეობის შესავსებად, რუსეთის მოსაზღვრე რაიონების საიმედო ელემენტით დასასახლებლად” (მეგრელიძე 1964:4);

ამ პროცესების საქართველოში განვითარებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ რუსეთის მმართველობის დამყარების პირველ წლებში აჭარაში მწვავე პოლიტიკური ვითარება და უმძიმესი ეკონომიკური პირობები შეიქმნა; ხალხი მიწას ვერ ამუშავებდა, რასაც მოუსავლიანობა და შიმშილი მოჰყვა, გავრცელდა სხვადასხვა დაავადება, გახშირდა სიკვდილიანობა; შფოთი და მღელვარება გამოიწვია კამერალური აღწერის ჩატარებამ, რომელიც ხალხმა ახალი გადასახადების გატარებისა და ჯარში გაწვევის ნიშნად მიიღო; რუსეთის მიერ გატარებული ღონისძიებები ეწინააღმდეგებოდა ხალხში საუკუნეების მანძილზე მყარად ფესვგადგმულ ტრადიციებს, რომელსაც თან ერთვოდა ცარიზმის მოხელეთა დამოკიდებულება მკვიდრ მოსახლეობასთან. ამით ისარგებლეს ოსმალო მოხელეებმა და ბათუმის ოლქის მოსახლეობას დაურიგეს თურქეთში დაბეჭდილი ბროშურები, რომლის მიხედვითაც „ყოველი მაჰმადიანი, რომელიც რუსის ხელმწიფისა და კანონების მფარველობაში დარჩება, სულით და ხორციით დაღუპული და წაწყმედილი იქნებაო; რაც არ უნდა მტკიცე აღმასრულებელი იყვეს ის მაჰმადის რჯულისა, ედემს მაინც ის ვერარასდროს ეღირსებაო;“ (დროება 1880: №100); ამას ემატებოდა ის გარემოებაც, რომ “თურქთა ბატონობის პერიოდში აჭარაში არ შექმნილა კულტურის არც ერთი კერა, არ არსებობდა არც ერთი საერო სკოლა და სამასი წლის მანძილზე მოსახლეობა დაბეჩავებული იყო. ასეთ პოლიტიკურ და ეკონომიურ ვითარებაში რუსეთის მმართველობის დამყარების პირველივე წლებში, „თურქეთის აგიტაცია ადვილად იკიდებდა ფეხს და დამაჯერებელი ხდებოდა გაუნათლებელი და რელიგიის მორწმუნე ხალხისათვის” (მეგრელიძე 1964: 21);

დაიწყო აჭარაში ქართველთა ეთნოწმენდა– აჭარის ოსმალეთის იმპერიისგან გათავისუფლების შემდეგ რუსეთის იმპერიამ მიზნად დაისახა რეგიონის მოსახლეობისგან გაწმენდა. სხვადასხვა პროვოკაციების, დაშინებისა და აგენტურული მუშაობის შედეგად აიძულებდნენ დაეტოვებინათ სამშობლო.

განსაკუთრებით მაჭახელის ხეობა დაზარალდა. ათიათასობით ქართველი ოსმალეთის იმპერიაში გადასახლდა. (მეგრელიძე 1964:15)

ამ დროისათვის ქართულ რეალობაში განვითარებული პრესა, რომელიც საზოგადოების ინფორმირების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა, მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა ამ პროცესების მიმდინარეობას და ცდილობდა სადი აზრის დამკვიდრებას არა მარტო ახლად შემოერთებულ რეგიონში, არამედ ზოგადად ქართულ საზოგადოებაში. ქართული პრესა სხვადასხვაგვარად საუბრობდა მუჰაჯირობაზე. ნაწილი წერდა, რომ ოსამლეთში ქართველები ბედნიერად ცხოვრობდნენ, ნაწილი კი უბედური და გაჭირვებული ცხოვრების შესახებ იუწყებოდა, რასაც ადასტურებდა იმ პირთა წერილები, რომლებმაც საკუთარი თვალით იხილეს ოსმალს გადახვეწილი ქართველების „ბედნიერი ყოფა“.

ამ რთულ ვითარებაში მნიშვნელოვანი გახლდათ მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე ჩვენი საზოგადო მოღვაწეების, მამულიშვილების აჭარაში, დედასამშობლოსთან ახლად დაბრუნებულ მხარეში, ქართული ცნობიერების კვლავ გასაძლიერებლად, მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ეკონომიკურ-კულტურული წინსვლისათვის მოღვაწეობა. ეს გახლდათ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ნაწილი, რომლის ცენტრადაც ბათუმი იქცა. ამ მნიშვნელოვან საქმეში გასათვალისწინებელი იყო აქაურ მკვიდრთა თანამომხმეებთან სამსაუკუნოვანი განშორება-გაუცხოება, სარწმუნოებრივი განსხვავება და თურქთა ბატონობით გამოწვეული შეჭირვებული ცხოვრება.

„აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ, თურქთა მმართველობა რუსთა მმართველობით შეიცვალა, მაგრამ აქაური მოსახლეობისათვის თითქმის არაფერი შეცვლილა. მათ გამუსლიმანებას უკვე აღარავინ აძალეზდა და ბრძოლებში განადგურება აღარ ემუქრებოდათ, თორემ გაჭირვება, უუფლებობა და ჩაგვრა ისევ უცვლელი დარჩა.“ (მეგრელიძე 1964:16);

აჭარიდან მუჰაჯირთა ძირითადი ტალღა 1878 წელს რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ გაედინა. ქართველ მაჰმადიანთა ოჯახები დედაბუდიანად იყრებოდნენ, ცარიელდებოდა სოფლები, ტოვებდნენ სახლებს, სარჩო-საბადებელს, წინაპართა საფლავებს... მიდიოდნენ, ვისაც რით შეეძლო: ურმებით, ნავეებით, მოძველებული

გემებით... ყველამ როდი ჩააღწია ახალ სამკვიდროს. პროცესი არ შეწყვეტილა XX საუკუნის 20-იან წლებამდე. ეს მოვლენა ბევრად უფრო მასშტაბური და მძიმე იქნებოდა, რომ არა ქართველ მამულიშვილთა ერთი ნაწილის (ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, გიორგი გურიელი, გიორგი ყაზბეგი) თავდადება, რომელთა ხელშეწყობითაც არათუ შემცირდა საქართველოდან მუსლიმი ქართველების აყრა, არამედ წინა წლებში გადასახლებულთა ერთი ნაწილი უკან დაბრუნდა კიდევ.

მუჰაჯირებად გადაიხვეწნენ არა მხოლოდ აჭარიდან, არამედ რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ შემოერთებული ართვინის ოლქიდან - მურღულისა და ბორჩხა-მარადიდის ხეობებიდან. სამწუხაროდ, ეს ხეობები მალე ისევ თურქეთის მფლობელობაში მოექცა და XVI საუკუნიდან ოსმალების მიერ ქართველთათვის წართმეულ მიწა-წყალს (ისტორიულ ტაო-კლარჯეთს) მიემატა.

„გადასახლებულნი ისეთ ადგილებში ცდილობდნენ დამკვიდრებას, რომლებიც მათ მშობლიურ სოფლებს ჰგავდნენ მთა-ბარით, ტყეებით, მინდვრებით, ღელე-ნაკადულებით, ფლორითა და ფაუნით... უფრო მეტიც, ახალ დასახლებებს, სახნავ-სათესებს, მდინარეებს ქართულ სახელებს არქმევდნენ. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ მარმარილოს ზღვის სანაპიროზე, საქარიის ვილაიეთში, დღეს მთავარ მდინარეს, საქარიაჩაის მკვიდრი მოსახლეობა ჭოროხს ეძახის. მართალია, თურქეთის მთავრობამ ქართული სახელები გადაარქვა მთავარ დასახლებულ პუნქტებს, მაგრამ დღესაც შემოინახეს ადგილობრივებმა თავიანთი ტოპონიმიკა: შავღელე, ქვიანღელე, კორდები, წითელმიწა, ცივწყალი, კალოები, ბალიანიყანა, თომასღელე, ღელე-ბოსტანი...“ (მეგრელიძე 1964:19);

თურქეთში გადასახლება წინასწარი მომზადებისა და ორგანიზების გარეშე მიმდინარეობდა. მუჰაჯირები შავი ზღვის ნავსადგურებიდან უვარგისი გემებით გადაჰყავდათ, ნაწილი სახმელეთო გზით ურმებით მიემართებოდა თურქეთისაკენ. მრავალი მათგანი გზაში იმსხვერპლა ეპიდემიამ, შიმშილმა, სიცივემ. თურქეთის ხელისუფლება, მუჰაჯირებს უვარგისი, შეუფერებელი ადგილები მიუჩინა. ბევრი უმიწოდ და უბინაოდ დარჩა. მუჰაჯირები მალე მიხვდნენ თავიანთ შეცდომას და უკან დაბრუნება მოინდომეს, მაგრამ რუსეთის მთავრობამ მათი რუსეთში შემოშვება

აკრძალა. მძიმე პირობებში ჩავარდნილი მუჰაჯირობი იძულებული იყვნენ დაქირავებულ მეომრებად (იანიჩრებად) შესულიყვნენ თურქეთის ჯარში. (მეგრელიძე 1964 :17);

როგორც აღვნიშნეთ, ამ შემზარავი მოქმედების წინააღმდეგ მხოლოდ ქართველობა გამოვიდა. ჩვენი საზოგადო მოღვაწეები თავიანთი ბასრი კალმით შეეცადნენ შებრძოლებოდნენ არსებულს, კავკასიელი პატარა ერების გადასარჩენად. შეიძლება ერთი შეხედვით ეს არ იყო საკმარისი, მაგრამ იმ პირობებში ესეც უშეღავათო და მკაცრი ბრძოლა იყო, გამირობის ტოლფასი, რადგან ორი დიდი იმპერიის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. ცხადია პრობლემის პირდაპირ, შეუფერადებლად თქმა ძალზედ რთული იყო, ამიტომაც მოკალმეები მხოლოდ თავად მუჰაჯირობის ავბედითობის, გადასახლებულთა მძიმე მდგომარეობის, ტანჯვა-წვალების აღწერით შემოიფარგლებოდნენ. მაგრამ ნაწერში, ქვეტექსტიც გასაგები იყო - მუჰაჯირობა წარმოადგენდა კავკასიის პატარა ხალხების წინააღმდეგ მიმართულ ავკაცობას. სწორედ ჩვენი ეროვნული მოღვაწეების ძლიერი პროტესტის და სათანადო საინფორმაციო მუშაობის შედეგად შენეულა მუჰაჯირობა აფხაზეთიდან და აჭარიდან, შემდეგ კი მთლიანად შეწყდა. სწორედ ილია ჭავჭავაძის და მის თანამოაზრე საზოგადო მოღვაწეთა მიერ სახელმწიფო სათათბიროში საკითხის მწვავედ დასმის შემდეგ გაუქმდა ბრძანება, რომლის ძალითაც მუჰაჯირებს სამშობლოში დაბრუნება ეკრძალებოდათ და მოუხსნეს „მოღალატის“ სტატუსიც. (მეგრელიძე 1964:16);

ამ პროცესის პარალელურად გამწვავდა პოლიტიკური მდგომარეობა. ერთი მხრივ ოსმალოები, ხოლო მეორე მხრივ რუსები ცდილობდნენ საკუთარი ინტერესები გაეგრძელებინათ, დაეკანონებინათ და მათთვის საინტერესო ტერიტორიული ერთეულები შეექმნათ. ამის პარალელურად პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ არსებული მძიმე ვითარება და ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ბეჭდავდნენ ეროვნული სულისკვეთების შინაარსის სტატიებს, რომელიც ერთ-ერთ მძლავრ საბრძოლო იარაღს წარმოადგენდა. ისინი ცდილობდნენ სააშკარაოზე გამოეტანათ არსებული ვითარება და საზოგადოებისათვის ეჩვენებინათ მისი მნიშვნელობა.

ამ პერიოდის ქართულ პუბლიცისტიკაში პირუთვნელად აისახა და გაანალიზდა არსებული პოლიტიკური და კულტურული ვითარება. სწორედ ამ საინტერესო სეგმენტის საშუალებით შევეცადეთ ჩავწვდომოდით აღნიშნულ ეპოქას. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის მიერ პერიოდული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული შეხედულებების, ნააზრევის გაცნობა და გაანალიზება. ჩვენ შევეცადეთ მთავარზე გაგვემახვილებინა ყურადღება და ამით ის მნიშვნელოვანი საკითხები წამოგვეწია, რასაც განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა იმ ეპოქის ცხოვრებაში და რაც გახლდათ წინაპირობა პოლიტიკური და ეროვნული შეხედულებების ფორმირებისა.

ამ ნააზრევის გაცნობა ცხადყოფს, რომ გასული საუკუნის საზოგადო მოღვაწეები არა მარტო პუბლიცისტებად, არამედ ქვეყნის მემატთანეებადაც გვევლინებიან. ისინი, როგორც უშუალო თვითმხილველები იმ ეპოქისა, ქრონოლოგიური სიზუსტით აღწერენ მიმდინარე პოლიტიკურ თუ კულტურულ პროცესებს. ამდენად საინტერესოა მათი თვალთ დასახული მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი, რომელსაც საზოგადოება არაერთგვაროვნად აფასებდა.

მე-19 საუკუნის 60-70- იან წლებში რუსეთ-თურქეთის ომი იმ დროის ქართულ საზოგადოებას შვებას ჰგვრიდა, რადგან მას შედეგად უნდა მოჰყოლოდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის გათავისუფლება თურქთა ბატონობისაგან. ამას გარკვეულ შეფასებებს აძლევდნენ იმ პერიოდის საზოგადო მოღვაწეებიც. ნიკო ნიკოლაძემ საკუთარი პოზიცია და შეხედულებები ნათლად დააფიქსირა თავის დამაიმედებელ პუბლიცისტურ წერილში „საქართველო“, რომელშიც პუბლიცისტი ქართულ საზოგადოებას ნათლად უხატავდა რუსეთ-თურქეთის ომის შედეგებს: „ მომავალი ომი - თუ ჩვენ ერთობ არ ვცდებით-ზანგრძლივი და მძიმედ მოსანელებელი იქნება. ჩვენ გვგონია, რომ ეს ომი, რომელი ჯერ მარტო ორ სახელწიფოებს შუა ატყდა, ნელ-ნელა და წყვილ-წყვილა ჩამოითრევს ბევრ სხვა სახელმწიფოებსაც. რადგანც, ომი აუცილებელი შეიქმნა, სასურველია, რომ ის ქე მაინც საბოლოო, გარდამწყვეტი გამოდგეს, რომ იმან სანიადაგოთ აავსოს ის საშინელი ორმო, რომელსაც ამდენი საუკუნეების განმავლობაში ქვეყანა კაცის

მკვლევით და სისხლით ავსებს. სასურველია ისიც, რომ ამ ომმა აღვირი აუხსნას ევროპაში კეთილშობილურ ლთოლვილებას, და გამარჯვება მიანიჭოს ძმობის საქმეს, იმ საქმეს, რომლისთვისაც ამოდენა სისხლი დაღვრილა.... ამ მხრით ბევრი რამ არის სასურველი, მაგრამ ჩვენ ჩვენს თავს უნდა დაუბრუნდეთ და ჩვენი ქვეყნის მომავალზე უნდა დავფიქრდეთ.“ (ნიკოლოძე 1877: № 36);

მუჰაჯირობის პროცესი აჭარის დედასამშობლოსთან შეერთების შემდეგ უფრო გამწვავდა. ქართველი მუსლიმები იძულებულები გახდნენ მათთვის სასიკეთო არჩევანი გაეკეთებინათ. ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ საქართველოში დარჩენის შემთხვევაში ისევ მოუწევდათ რჯულის შეცვლა, რაც მათ კეთილდღეობაზე ცუდად აისახებოდა. ქართველ მუსლიმთა მეორე ნაწილმა გადაწყვიტა საკუთარ სამშობლოში დარჩენა და პრობლემებთან გამკლავება, აი რა ინფორმაციას გვაწვდის გაზეთი „ივერია“: „ბათუმში ადგილობრივ მცხოვრებლებად ითვლებიან მაჰმადიანი ქართველები, ბერძნები, სომხები და რამდენიმე კკამლი ქართველი კათოლიკენი. დანარჩენები კი მოსულები არიან. აქაურ მკვიდრთა შორის მაჰმადიანი ქართველები ყველაზე დაჩაგრულად სთვლიან თავსა..... დრო მოვა და ისინიც შევლენ საზოგადო მორევში“. (ხუმარა 1886: №11);

საინტერესოა გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული წერილი, რომლის მიხედვითაც ნათლად ჩანს მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, თუ რამდენად შესტკიოდათ გული თავიანთი მოძმეების რეალური ყოფის გამო: „ოსმალთა საქართველოს შემოერთებამ დიდი სიხარული მოჰგვარა ყველას, ლამის საფლავებზე მიდიოდნენ და ჩასძახოდნენ: 300-400 წლის დაკარგული ძმები დაგვიბრუნდნენო, მაგრამ ახლა აღარავის ახსოვს იმათი გასაჭირი. ისინი გარბიან ოსმალეთში, ამ მიზეზის გამოძიებას და მოსპობას არავინ ფიქრობს“. (მესხი 1880: №196); როგორც ამ ამონარიდიდან ჩანს, ზოგიერთი თანამემამულესათვის, აჭარის შემოერთება მხოლოდ წუთიერი სიხარულის მომტანი ყოფილა, მაშინ, როდესაც პარალელურად უამრავი პრობლემა და სირთულე წამოიჭრა. ეს საკითხები მეტ-ნაკლებად აისახა ქართულ პერიოდიკაში. აგრეთვე საინტერესოა ილია ჭავჭავაძის წერილი „ოსმალთა საქართველო“, რომელშიც ილია ცდილობდა მკითხველისათვის ეჩვენებინა

პროცესის დადებითი მხარეები: „ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოდ და ქართველი, სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცდეს, ქვეყანასა.... ნუ თუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორიათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა...“ (ჭავჭავაძე 1877: №9);

ისტორიიდან კარგადაა ცნობილი, რომ კავკასიის დაპყრობის მთელს პერიოდში რუსეთმა სასტიკ ხერხებს მიმართა აქ მცხოვრები მოსახლეობის მიმართ. შავიზღვისპირეთის, ისევე როგორც მთის კავკასიის, მოსახლეობის რუსეთის იმპერიის ფარგლებიდან გასახლება იყო დასაწყისი მცირე ეთნოსების გაუგონარი განადგურებისა.

ისტორიისათვის უბრალოდ თვალის გადავლებაც საკმარისია, რათა ცხადი გახდეს, რომ მუჰაჯირობაში ქართველებს მცირეოდენი ბრალიც კი არ მიუძღვით. პირიქით, სწორედ ქართველი ხალხი, ქართული ინტელიგენცია იყო პირველი და ერთადერთი, ვინც იმდროინდელი რუსული იმპერიული მმართველობის პირობებში, წინ აღუდგა ამ ბარბაროსულ მოქმედებას, სასტიკად გააპროტესტა არა მხოლოდ აჭარის, არამედ სხვა კავკასიელი ხალხების - უბიხების, ჩერქეზების, ჩეჩნების და სხვების მშობლიური მიწიდან აყრა და სხვაგან, ძირითადად, ვითომდა, ერთმორწმუნე თურქეთში გადასახლება.

„მუჰაჯირობა“ ერთ-ერთი მძიმე პროცესია საქართველოს ისტორიაში, რომელზეც ბევრი დაიწერა მე-19 საუკუნის ქართულ პერიოდულ გამოცემებში, სამეცნიერო ლიტერატურასა და მწერლობაში. ჩვენს ნაშრომში შევეცადეთ გაგვემახვილებინა ყურადღება თითოეულ ამ მიმართულებაზე და მათი შეჯერებისა და შეპირისპირების საფუძველზე შეგვექმნა ამ ისტორიული პროცესის ერთიანი სურათი და გაგვეანალიზებინა დოკუმენტორი პროზისა და პუბლიცისტიკის როლი ქვეყნის განვითარების ერთიან პროცესში.

თავი III

სამუსლიმანო საქართველო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პუბლიცისტიკაში

პუბლიცისტიკა ჟურნალისტიკისა და ლიტერატურის ის მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელიც აქცენტებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის აქტუალურ საკითხებზე აკეთებს. მისი საფუძველია ცხოვრებისეულ მოვლენათა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფაქტების ასახვითა და გაანალიზებით გარკვეულ პოლიტიკურ იდეის განვითარება.

ერთი და იმავე ჩანაფიქრისა თუ აზრის გამოხატვა მხატვრულადაც შეიძლება და დოკუმენტურადაც. პრესისთვის ორივე მისაღებია, მაგრამ, როგორც ფორმით, ისე შინაარსით, ყოველდღიური ცხოვრების დინამიკას პუბლიცისტიკა უფრო მარჯვედ უწყობს ფეხს, ვიდრე სიტყვაკაზმული ლიტერატურა. პუბლიცისტიკა, როგორც ჟანრი, ცხოვრებისეულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს ისეთ მასალებს, რომლებიც საზოგადოებისათვის მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან მოვლენებს შეეხება.

მართალია, პუბლიცისტიკა ძირითადად ინფორმაციულ-ანალიტიკური მიზანდასახულობისაა და კონკრეტულ თემებსა და პრობლემებს ეხება, მაგრამ მკითხველისათვის სულერთი არ არის, რა ფორმით მიაწვდიან მას სათქმელს - რამდენად ესთეტიკური და მიმზიდველი იქნება იგი. ამიტომ გონებამახვილურმა შედარებამ, სხარტმა გამონათქვამმა, ლექსიკის შერჩევამ, დახვეწილი ფორმის გამოძებნამ, მოვლენის ზუსტმა და მორგებულმა სახელდებამ ჟურნალისტიკაში მწერლების ჩართვის შემდეგ უფრო დიდი ყურადღება მიიპყრო. ეს პროცესები საზღვარგარეთულ პუბლიცისტიკაშიც განვითარდა, მაგრამ არა ისეთი სწრაფი ტემპით და ისე მოკლე დროში, როგორც ჩვენთან.

XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ქართული პერიოდიკის ფურცლებზე საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე ხშირად იბეჭდებოდა საინტერესო წერილები და გამოკვლევები. ამდენად საინტერესოა გასულ საუკუნეში გამომავალი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიცისტთა იმ მემკვიდრეობის გაცნობა და გაანალიზება, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა - ილია

ჭავჭავაძემ, ნიკო ნიკოლაძემ, სერგეი მესხმა, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა დაგვიტოვეს.

მე-19 საუკუნის ცხოვრებისეული სურათის სრულყოფილად წარმოჩენისათვის, აუცილებელია შევისწავლოთ ის ლიტერატურულ-პუბლიცისტურ პროდუქცია, რომლებშიც უტყუარად აირეკლება იმ საკითხთა აქტუალურობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოცემულ ისტორიულ ეპოქაში. სწორედ, ამ თვალსაზრისით არის საინტერესო თუ რა ადგილს იჭერდა მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში ასეულობით წლების წინ ეროვნულ სარწმუნოებას ჩამოშორებული საქართველოს შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ აღმოჩენილი მაჰმადიანი ქართველების ბედი მრავალფეროვან ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. რამდენად იყო ერის მეხსიერებაში დაღეძილი თავისი ეროვნული ნაწილის ხვედრი და უშლიდა თუ არა მონათესავე ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციას განსხვავებული სარწმუნოება? რას წერდნენ ქართველი მოღვაწეები ფერეიდნის, საინგილოს, ქობულეთ-აჭარის, ლაზისტანის, სამცხე-საათაბაგოს, ტაო-კლარჯეთის წარსულისა და ამწყოს შესახებ და მათთან ურთიერთობის რა პერსპექტივებს ხედავდნენ ისინი.

გასული საუკუნეების პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული ნააზრევი ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად გაანალიზებული, ამის გარეშე კი შეუძლებელია ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიის სრულფასოვანი შესწავლა.

მე-19 საუკუნის მკვლევრების, მწერლებისა და პუბლიცისტების საერთო ეროვნული ინტერესები უკავშირდებოდა სამუსლიმანო საქართველოს, რომელშიც მნიშვნელოვანი დატვირთვა აჭარას მიეკუთვნებოდა. მათ შეისწავლეს და ცალკეული სტატიები, შრომები, კვლევები მიუძღვნეს ამ საკითხებს.

თავისთავად ქართული პუბლიცისტიკის ეს გზა ძალზე საინტერესო, წინააღმდეგობებით სავსე, ადამიანთა ყოფასა და აზროვნებაზე ორიენტირებული შემოქმედებითი პროცესი იყო, რაც რუსეთის თვითმპყრობელობასთან «სიტყვით ბრძოლით» გამოირჩეოდა და ამ «სიტყვის ძალით» ეროვნული თვითმყოფადობისა და ეროვნული თვითშეგნების შეუცვლელ ფასეულობებს ამკვიდრებდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ზოგადად განვიხილოთ მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში გამოძვარილი

ის ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ეროვნული თვითშეგნების ამალლებას საზოგადოებაში.

მე-19 საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში გარდამავალი ეპოქაა, როდესაც მკვიდრდებოდა აზროვნების ახლებური ტიპი, ჩნდებოდა განსხვავებული მოთხოვნილებები, იდეები. ამ ეპოქამ წინ წამოწია მრავალი პრობლემა, რომელსაც მანამდე საზოგადოებრივი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ეროვნულ-განმანთავისუფლებელ შტაბად ქცეული „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციები, რომლებიც დიდ ყურადღებას უთმობდნენ საზოგადოების ყოფასა და ცხოვრებას. მათ შეძლეს ქართული საზოგადოებისათვის ეროვნული თვითშეგნება ამაღლებინათ და ინტერესი გაემძაფრებინათ იმ დროს არსებულ პრობლემებზე.

ამგვარი პუბლიკაციები თანდათან მრავლდებოდა და მკითხველის ყურადღების არეალში საქართველოს სხვა კუთხეების გვერდით ექცევა „ოსმალთა საქართველო“.

„პუბლიკაციათა ძირითადი ნაწილი მოგვითხრობს ოსმალეთის შემადგენლობაში შემავალი საქართველოს მკვიდრთა წარმოშობის, რელიგიური შეხედულებების, ენის ადათ-წესებისა და სხვა გარემოებათა შესახებ.“ (ბახტაძე 2005: 17-18);

მე-19 საუკუნის პუბლიცისტიკაში სამუსლიმანო საქართველოს შესახებ უამრავი პუბლიცისტური წერილი და სტატია ქვეყნდებოდა, რომლებიც აჭარის დედასამშობლოსთან შეერთებას ეძღვნებოდა. აქედან გამომდინარე ნათლად ჩანს თუ რა განსაკუთრებული ადგილი ეკავა აჭარის თემას ქართველ მწერალ-პუბლიცისტებისათვის. ჩვენ შევეცადეთ ეს ერთიანი მუხტი შეგვესწავლა და ცალკეული ორგანოების გაანალიზების საფუძველზე წარმოგვეჩინა.

§ 1 - გაზეთი „დროება“ (1866-1885)

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პრესაში გამოვყოფდით ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ფლაგმანად ქცეულ გაზეთ „დროებას“, რომლის ფურცლებზე არაერთხელ აისახა აჭარის ყოფა-ცხოვრება, ამ კუთხის მტკივნეული თემები. გაზეთმა შეძლო ქართული საზოგადოების ინტერესი გაემძაფრებინა მათი თანამოდმეების -აჭარლების მიმართ.

1870 წლიდან მოყოლებული, გაზეთის ფურცლებზე სულ უფრო მრავლად იბეჭდება წერილები, რომლებიც ასახავენ აჭარის, ამ ძირძველი ქართული კუთხის, ისტორიას, მის მკვიდრთა ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს. სარედაქციო კოლეგია ერთი მხრივ ცდილობდა გაეზარდა ქართული საზოგადოების ინტერესი აჭარისადმი, ხოლო მეორე მხრივ ეროვნული თვითშეგნება გაეღვიძებინა მაჰმადიან მოძმეებში.

გაზეთი “დროება” ყოველთვის მიყურადებულ იყო ქვეყნის მაჯისცემას, ამიტომაც ამ მძიმე პერიოდშიც იგი მხარში ამოუდგა თანამემამულეებს. “ჩვენი ვალია, - წერდა სერგეი მესხი, - დავებმართო თანამოდმეებს, დავებმართო როგორც სლავიანები და, განსაკუთრებით რუსები, ეხმარებიან აჯანყებულ ჰერცოგოვინელებს.”(მესხი1880: №196); მართალია იმ ხანებში “დროების” მხოლოდ რამდენიმე ნომერი ჩამოდიოდა აჭარაში, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ გამარჯვების რწმენა ჩაენერგა მოსახლეობაში.

ქართულმა პრესამ, კერძოდ გაზეთმა „დროებამ“ მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ერთ-ერთ ძირითად მიზნად დაისახა მკითხველისათვის გაეცო ჩვენი ქვეყნის ისტორია და ადათები.

ამგვარი პუბლიკაციები, თანდათან მრავლდებოდა და მკითხველი საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად „ოსმალთა საქართველოსაც“ ეცნობოდა.

„ქართული ჩვეულებისა მეზრ ჰკლავენ საღვთო ცხვარს და სანთლებს უნთებენ ხატებს“ (ისარლოვი 1869: №38); ამ წერილის ავტორი, ლუკა ისარლიშვილი აღფრთოვანებული იყო იმ ფაქტით, რომ მაჰმადიანი ქართველობა მაინც დადიოდა ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევებში.

აღსანიშნავია ამ ისტორიულ მხარეში იმ პერიოდში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა. ძალზე საინტერესოა გაზეთ „დროებაში“ ქობულეთის შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციები, წერილები, რომელიც ქობულეთს, როგორც ოსმალთა სახელმწიფოს ერთ-ერთი პატარა მაზრას, მეტად რთულ მდგომარეობას ასახავდა. გამოქვეყნებულ მწვავე და კრიტიკული წერილებში ნათლად ჩანდა ქობულეთის მკვიდრთა დამოკიდებულება არსებული წყობილების მიმართ: „პოლიტიკური დამოკიდებულება ოსმალეთთან ქობულეთისა არა ჰგავს ბუნებით თათრებისა და აჭარლებისას, რომელიც აგრეთვე საქართველო ნაწილი არის. ოსმალთს მმართველობას ვერ ამოუდგია ქობულეთლებისათვის მაგარი პოლიტიკური ლაგამი, როგორც აჭარლებისთვის; ამ შემთხვევაში ქობულეთი მიაგავს ბედაურ ცხენს, რომელსაც მხედარი თავს უჭერს ძალიან გაფრთხილებით და შიშით აღვირის ნაგლეჯებითა“ (კაცია, ადამიანი 1876: №49); წერილის ამ პატარა ფრაგმენტით, გავიაზრეთ ქობულეთის, როგორც მხარის, დამოკიდებულება აჭარისა და ზოგადად იმ დროს არსებული ვითარების მიმართ.

ამავე წერილში სახელწოდებით „რა მოელის ქობულეთსა“ ავტორი, რომელიც ფსევდონიმით - „კაცია, ადამიანი“ გვეცნობა, მოგვითხრობდა იმ ფაქტებზე, რომელიც არსებულ ვითარებას თან სდევდა. ავტორი მოკლე ექსკურსს სთავაზობს მკითხველს ქობულეთში არსებულ ვითარებაზე. ეს ეხებოდა საზღვრებს, სოფლებს, ეკონომიკას და რაღა თქმა უნდა, ქართველობისათვის ყველაზე ღირებულ ისეთ ცნებებს, როგორცაა ენა და სარწმუნოება: „თუ დღემდისაც ქობულეთლებს ოსმალთა ენა (ძლიერ იმვითია ქობულეთში თათრული ენის ცოდნა) ვერ შეუთვისებიათ, იმათი ხასიათი ვერ მიუღიათ, სარწმუნოებაც, რომელიც თავის ჩვეულებრივი სახისა არ არის, ვერ დახმარებია ოსმალთს ქობულეთლების თავისთან შეთვისებაში, თუ ქობულეთლების სიმპატია და მეზობლური განწყობილება აჭარლებსა და გურულებს უფრო ეკუთვნის და სხვა“. (კაცია, ადამიანი 1876: №49);

„მეშველეთ ქობულეთსა“ - ამ სახელწოდებით გამოქვეყნდა ფელეტონი გაზეთ „დროებაში“, რომელშიც აღწერილია 1878 წლის 20 იანვარი, ის შავბედით დღე, როდესაც ოსმალთს გემებმა ხუცუბნის ცა შავი ღრუბლებით შემოსეს. - „ის მესამე დღე იყო იმ დაუვიწყარ შეტაკების შემდეგ, როცა ჩვენს ჯარის თავზე დატრიალდა

უბედურობის წისქვილის, რომელმაც დაღრნა, დაღეწა ამდენი ძვლები ჩვენი გმირებისა...-აი ახლა ჩამოინგრავა, ახლა გასკდა მიწა და დაინთქა ყოველივე!“ (წერეთელი 1879: №32); ასე მხატვრულად დაგვიხატა ავტორმა ოსმალთა გემების შემოსვლა და ყუმბარებისგან განადგურებული ეს ლამაზი მხარე.

ფელეტონიდან ვიგებთ, რომ მდინარე კინტრიში იმ ავბედით დღეს, სულ წითლად შეღებილა, შეღებილა ჩვენი თანამემამულეების სისხლით. ავტორს მიაჩნდა, რომ ქობულეთს ცოდვამ უწია – „ ცოდვა გვიწია, ცოდვა!.. ჩვენი დაკარგული ძმების ცოდვამ, ქობულეთლების ცოდვამ!“ (წერეთელი 1879: №32);

პუბლიცისტი გვამცნობს, რომ - „ოც-და-რვა ვერსი სიგანე და ოც-და-ათი ვერსი სიგრძე ქობულეთის მხარე გავერანებული იყო.“ (წერეთელი 1879:№32); სულ დაცარიელებულა ქობულეთის მდიდარი სოფლები, აქა-იქ თუ ამოდიოდა საკვამურიდან კვამლი, გადახვეწილი ხალხის ნასახლარს, „მიმშლით მოწაკწაკე ძაღლები“ იცავდნენ და ადამინებისგან განსხვავებით მზად იყვნენ პატრონისათვის ერთგულების დასამტკიცებლად სამარეშიც კი ჩაწოლილიყვნენ.

ქობულეთის შემდეგ, აღსანიშნავია მაჭახლის ხეობაში არსებული ვითარება. პუბლიკაცია დასათაურებულია შემდეგნაირად „მაჭახელა“, ავტორი კი, მხოლოდ ინიციალებით - „ თ.დ.წ.“ გვეცნობა.

თამარ დედოფალს, რომ მაჭახლის ხეობაში დიდ თაყვანს სცემდნენ, ეს ყველასთვის ცნობილია. სწორედ, ამიტომ პუბლიკაციის ავტორი შეპირებია „დროების“ მკითხველოს, რომ თამარ დედოფლის ისტორიას „თათრული“ ენიდან თარგმნიდა ქართულად, მაგრამ ამის საშუალება ადგილობრივმა ხოჯამ არ მისცა პუბლიცისტს. ხოჯა თვლიდა, რომ - „ესენი დარწმუნებული არიან, რომ არა თუ წიგნებს, ქვასაც არ დავაყენებთ თავის ადგილას, და ამიტომ ამათგან ვერ გამოვიტანე ეს წიგნი.“ (თ.დ.წ 1879: №2);

პუბლიცისტი გულისტკივილს გამოხატავდა, რომ ოსმალებმა და თათრებმა წალეკეს ქართული ძეგლები - „ ჩემი თვალითა ვნახე ენკენის თვეში სამი-ოთხი ქვა, რომლებზედაც ხატები და მეფეები მშვენიერის ხელოვნებით გამოკვეთილი და ხუცურათ ხელჩართულად ნაწერი ქვებზე...ეს ქვები ეყარა ბათუმ იქა-იქ ქურდოღლის

სასტუმროს ქვეშ, მიწაზე, და ერთი მათგანი კიდევაც დაემტვრიათ, ზედ სავსე ბოჩკები გადაეგორებინათ!“ (თ.დ.წ 1879: №2);

წერილის ავტორი გაკვირვებულა, რომ ამ მხრეში ოსმალთ ფეხი არ შეუდგამთ და ყველა ოსმალურად ლაპარაკობსო, ყველა სოფელში ჯამე და იქვე არსებული სკოლები დაუარსებიათ. „ხოჯა ზის იმ ოთახში, სადაც ყმაწვილ-ვაჟები სხედან, დიდ მაღალ კათედრაზე და იმას თავისი სწორი გამოჭრილი აქვს კედელი; იმ ნაირათ ზის აქ, რომ ნახევარ მის სახეს ხედვენ მოსწავლე-ქალები და როდესაც ლექციას კითხულობს არაბულ ენაზედ და ხსნის ოსმალურათ, მაშინ ერთბაშათ ესმით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს.“(თ.დ.წ 1879: №2);

პუბლიკაციიდან ვიგებთ, რომ იქაური მოლა-ხოჯები ოსმალეთში გაზრდილი ფანატკოსები ყოფილან, რომელებიც დიდ აგიტაციას ეწეოდნენ ხალხში.

განსაკუთრებით, საშინელი სანახავი ყოფილა ოსმალთა სასაფლაო, რომელიც ქალაქს აკრავს და აქ დაახლოებით ოცდათი ათასი ადამიანი ყოფილა დამარხული - „ოსმალები მიცვალებულებს ფიცარს დაადებენ ზემოდამ, და რადგან ეს ფიცრები დამპალან და ჩამტვრეულან, ამის გამო ბევრს ალაგას მიცვალებულები თითქმის გამოჩენილები არიან.“(დროება:1879). თუმცა ავტორი დასძენს, რომ მაშინდელი მთავრობა, გარდა შენობებისა და უძრავი ქონების დასაკუთრებისა, არაფერზე ფიქრობდა.

“ზმა მაჰმადიანი საქართველოდამ“ - ამ სახელწოდების წერილი გაუგზავნა „დროების“ რედაქტორს, ვინმე „გარდმოხვეწილის“ ფსევდონიმით ცნობილმა პუბლიცისტმა, რომელიც თვლიდა, რომ ოსმალთ საქართველოს მოსახლეობა მკითხველისათვის აუცილებლად უნდა გაეცნო, მოეთხრო მათ შესახებ.

იმ დროის ქართველი ინტელიგენცია, მწერლები დიდი სიხარულით შეხვედრიან, ბერლინის ტრაქტატის ძალით რუსეთის მმართველობაში იმ ტერიტორიების შესვლას, რომელსაც ოსმალთ დამპყრობლები ფლობდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ საუკუნეების წინ დაკარგული თანამოძმეები კვლავ დაიბრუნეს. ქართველ განათლებულ საზოგადოებას სურდა, მათთვის აეშენებინათ სკოლები, მიეღოთ განათლება, მაგრამ პუბლიცისტის გადმოცემით, ამგვარი უამრავი თქმულა, ის კი, თუ რა მდგომარეობაში იყვნენ მათი თანამოძმენი აზრად არავის მოსვლია -

„მართალია, ბევრი რამ იწერებოდა ამ მხრიდან, ბევრი რამ ითქვა აქაურს ადმინისტრაციაზე და მის მოქმედებაზე, მაგრამ თვით ხალხს, მისს გონებისთ და ზნეობითს მხარეებს, მისს განსაკუთრებით თვისებებს, მისს სულს, ხასიათს და ჩვეულებებს და რწმუნებას ან სრულად არავინ შეჰხებია, ან თუ შეეხო ვინმე, ისე გაკვრით და ისიც ისე წარმოუდგენია მკითხველისთვის, როგორც ნამდვილად არ არსი.“ (გარდმოხვეწილი 1882: №70);

პუბლიცისტი აღნიშნავდა, რომ „ჩვენი თანამომძმეები“ დროის ვითარებას და ისტორიულ ფაქტებს მეტად შეუცვლიათ, როგორც გონებით, ისევე ზნეობით. მათ, მხოლოდ ქართული ენა და გარეგონობა შეუნარჩუნებიათ.

მაჰმადიანი ქართველებისთვის გაუხსნიათ ქართული სკოლები, მაგრამ ავტორისაგან ვიგებთ, რომ ამ სკოლებში ერთი მაჰმადიანი ქართველიც კი არ სწავლობდა. ნამდვილი მიზეზები კი ამისა არ გამოუკვლევიან და მასწავლებლებს დასდეს ბრალი - „რაქნას მასწავლებელმა, როდესაც არ სურთ თქვენი სკოლა და არ მოჰყავთ ბავშვები.“(გარდმოხვეწილი 1882: №70);

ამ მხრივ არც „წერა-კითხვის გამარცვლებელ საზოგადოებაში“ ყოფილა სახარბიელოდ საქმე. თუმცა, ამ წერილის ავტორს მიაჩნდა, რომ ქართულ სკოლებში მოსწავლეების სიმცირე რა მოსატანი ყოფილა, როდესაც საუკუნეების მანძილზე, ქართველმა მაჰმადიანებმა ქართული, მშობლიური ენა შეუნარჩუნებიათ- „რა უნდა იყოს ჩვენი მკითხველი საზოგადოებისთვის იმაზე უფრო სანუკვარი თუ როგორ დაცულა მისი ღვიძლი ენა ამოდენა ხანს მის სამშობლოდამ მოგლეჯილს ხალხში.“(გარდმოხვეწილი 1882: №70);

გარდმოხვეწილი, ამ წერილს თან ურთავდა რამოდენიმე ლექსს. ის, რედაქტორს მოუწოდებდა, რომ კორესპონდენტები უკეთესი იქნებოდა, ხალხის გასაჭირზე და რეალურ ცხოვრებაზე საუბრობდნენ და მკითხველის შეცდომაში შეყვანას არ ცდილობდნენ.

გაზეთ „დროების“ და ქართველი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი საერგეი მესხიც თავის გულისტკივილს გამოხატავდა გამაჰმადიანებული ქართველების ყოფიერებაზე. პუბლიცისტის წერილების ციკლი „ოსმალთ

საქართველო“ დეტალურად და ნათლად ასახავს აჭარის მკვიდრთა მდგომარეობას, რომელიც ყველა ქართველისათვის მტკინვეული და ყურადსაღები იყო.

სერგეი მესხმა წერილში „ოსმალთა საქართველო“ მკითხველს უჩვენა აჭარის მკვიდრთა, ჭეშმარიტ ქართველთა სიმტკიცე და შეუპოვრობა, რამაც ისინი გადაარჩინა და დღემდე მოიყვანა: „საუკუნეებს გაუვლია, რაც ეს ქვეყანა ოსმალთს დაუპყრია, რაც ოსმალთა ცდილობს, რომ იქაური ქართველები გაეთათრებინა. მაგრამ, დახე ქართველი ტომის სიმტკიცეს, -რჯულის მეტი, იმათ არა შეუცვლიათრა; და ისიც მხოლოდ ძალდატანებით და სხვა-და-სხვა ოსმალური ოინებით შეაცვლევინეს“ (მესხი 1875: №76); ავტორი სიამაყით იუწყება, რომ მიუხედავად რჯულის შეცვლისა ქართველ თანამომემებს ამ რთულ ვითარებაში არც ენა, ხასიათი და ჩვეულებანი არ შეუცვლიათ. ისინი ისევ იმ ტრადიციების მატარებლები ყოფილა, რაც ძველათაგან მოსდევათ ქართველ ერს.

უკვე აღვნიშნეთ, რომ პუბლიცისტები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ აჭარის მკვიდრთა განსაკუთრებულ სიყვარულსა და პატივისცემას თამარ მეფის მიმართ. ამასვე ადასტურებდა სერგეი მესხი ერთ-ერთ წერილში: „აჭარლებმა იციან თამარ დედოფლის სახელი. ყველგან გაიგონებთ აქ, რომ ჩვენ ერთ დროს ქრისტიანები ვიყავითო.“ (მესხი 1875: №76);

ავტორი ამავე წერილში არა მარტო აჭარას, არამედ შავშეთსაც და ლაზისტანსაც შეეხო, სადაც მოსახლეობა ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, დიდმაც და პატარამც იცოდა, რომ საქართველოს ეს ულამაზესი კუთხეები ძალით მოგლიჯეს დედასამშობლოს.

„სტატიის ასეთი მძაფრი ტონი განსაკუთრებული ინტერესით განაწყობდა მკითხველს აჭარისა და საერთოდ „ოსმალთა საქართველოს“ მიმართ. სერგეი მესხის განხილული სტატიისათვის დამახასიათებელი ტენდენციებით იწყო ქართულმა მწერლობამ ოსმალთა საქართველოს საკითხის გაშუქება.“ (ბახტაძე 2005: 23);

აგრეთვე რაფიელ ერისთავმა ნათლად აღბეჭდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ოსმალთა საქართველოს ცხოვრება და მისი თანმდევი პროცესები. პუბლიცისტი თავის ფელეტონში „ცნობანი ოსმალთა საქართველოზე“ ისტორიულ და გაგონილ ფაქტებზე დაყრდნობით ქრონოლოგიური სიზუსტით აღწერს თამარის ეპოქის

საქართველოს საზღვრებს, როდესაც საქართველოს საზღვარი სამხრეთ ტრაპიზონამდე გადიოდა. ავტორი სიამაყით აღნიშნავს, რომ ამ მახრეში მცხოვრებთა უმეტესობა ქართველი იყო და სამოსიც ქართული ეცვათ. პუბლიცისტი მკითხველს ახსენებდა იქ არსებული ეკლესია-მონასტრების ნანგრევებს და ადასტურებდა, რომ ტერიტორიაზე, რომელიც იმ დროს საქართველოს აღარ ეკუთვნდა, ოდითგანვე გავრცელებული ყოფილა ქრისტიანობა: „სადაც დღეს მცხოვრებნი აღიარებენ მაჰმადის სარწმუნოებას, მაგრამ იმ ნანგრევ ეკლესიებს კი დღესაც თაყვანსა სცემენ და ზვარაკსა სწირვენ ხოლმე“. (ერისთავი 1875: №80); თუმცა არ უნდა დაავიწყდეს ქართველ ერს, რომ გამაჰმადიანებულ ქართველებს მზაკვარმა მტერმა, ოსმალებმა ძალით შეაცვლევინეს სარწმუნოება: „ოსმალთ, ყიზილბაშთ და სხვათა მძლავრთა ხალხთა არ მოუსვენეს ქართველებს, დასწვეს, დადაგეს, გადაასახლეს მთელ მთელ სოფლები - და შემცირდა საქართველო“. (ერისთავი 1875: №80);

გაზეთ „დროების“ ფურცლებმა აგრეთვე შემოგვინახა პავლე მჭედლიშვილის ფელეტონი „ქართველები ოსმალეთში“. პუბლიცისტი წერილში სამშობლოს სიყვარულში ერთმანეთს ადარებდა გამაჰმადიანებულ და გარუსებულ ქართველებს. ეს საინტერესო სიახლე გახლავთ და ხაზგასასმელია ისიც, რომ უპირატესობას პუბლიცისტი მაჰმადიან ქართველებს ანიჭებს: „ამათ ახსოვთ, რომ არიან ჩვენი მოძმენი, რომ ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ერთს ბედს ქვეშ ვიყავით, ერთად ვიცავდით საზოგადო სამშობლოსა... ახსოვთ ვახტანგ-გორგასალი, უკვადვი თამარ დედოფალი და სხვ. და სხვ. რუსეთის ქართველები ვერც ამას დავიკვირებთ; როგორც ზევით მოგახსენეთ. ჩვენ სრულებით დავიწყებული გვაქვს, რომ ესენი ერთ დროს ჩვენი ბედისა და უბედობის მონახევრენი და ჩვენთან ერთის უღლის ძმენი იყვნენ.“ (მჭედლიშვილი 1877: №135); ავტორი ფელეტონში თავის თანამემამულეებს არწმუნებდა და უხსნიდა გარემოებებს, რომლებმაც მათი თანამოძმეები იძულებული გახადა მართმადიდებლობა მაჰმადიანობაზე გაეცვალათ.

პავლე მჭედლიშვილი მკითხველს ოსტატურად დაუხატა საქართველოს ის ნაწილი, რომელიც, სამწუხაროდ, იმ დროისათვის უკვე ოსმალთა მმართველობაში იმყოფებოდა: „თითქმის მთელი ოსმალთა საქართველო მთა-კლდიანი ალაგია. მეურნეობა აქ ისეთივეა, როგორც ჩვენში: ადამის ხნის სამეურნეო იარაღებით

მუშაობენ და ისევე სიმინდი, ლომი, ლობიო და სვხა ნაწარმოები მოჰყავთ, რაც ჩვენშია.“ (მჭედლიშვილი 1877: №135); პუბლიცისტი იხსენებდა თანამემამულეებს, რომლებიც ერთმანეთს ჭირში და ლხინში გვერდში ედგნენ და წუხდა, რომ „რუსეთის ქართველებმა“ ეს უნიკალური თვისება უკუაგდეს და დაივიწყეს, ხოლო მაჰმადიანი ქართველები კი: „ესენი არიან ერთმანეთის მოყვარულნი და ჭირში და ლხინში ერთმანეთს დამხმარნი და ზურგის მიმცემნი“. (მჭედლიშვილი 1877: №135);

ყველასათვის ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გამწვავდა ბრძოლა ოსმალეთსა და რუსეთს შორის, რომლის მთავარ ასპარეზს წარმოადგენდა აჭარა. მოსახლეობისათვის რთული იყოს იმის გაფიქრება, რომ ისინი შესაძლოა ბრძოლაში დაპირისპირებოდნენ თანამემამულეებს, რომლებიც სავარაუდოდ რუსეთის მხარეს იბრძოლებდნენ: „იმათთვის მწარე იყო ის ჰაზრი, რო ერთ დღეს იძულებული უნდა ყოფილიყვნენ თოფი ესროლათ თავიანთ თანამემამულეებისთვის“. (მჭედლიშვილი 1877: №135);

მოტანილი პუბლიკაციებიდან ჩანს, რომ გაზეთ „დროების“ ფურცლებზე უამრავი გულისწუხილი აღიბეჭდა, როგორც ცნობილი საზოგადო მოღვაწეების მხრიდან, აგრეთვე იმ ხალხის მხრიდანაც, რომლებიც ცდილობდნენ სიტყვის ძალით შებრძოლებოდნენ მტერს, თავიანთი ბრძოლისუნარიანობა და შეუპოვრობა ეჩვენებინათ და ამით ერთი აგური მაინც დაედოთ ერთიანი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის და ბედის უკუღმართობით დედასამშობლოს მოწყვეტილი ხალხის ერთიან ქართულ სივრცეში დაბრუნების საქმეში.

§ 2 - გაზეთი „ივერია“ (1877-1906)

სამუსლიმანო საქართველოს პრობლემები აქტუალობას არც შემდეგ პერიოდშიც კარგავს. „დროების“ მსგავსად ამ თემაზე აქტიურად საუბრობს გაზეთი „ივერია“. ჩვეული შეუპოვრობითა და სამშობლოს სიყვარულით ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები შეებრძოდნენ არსებულ რეჟიმს, რომელიც ერთი მხრივ საქართველოს ანექსიას უქადდა და მეორე მხრივ კი მაჰმადიან ქართველებს სამშობლოს დაკარგვას.

„ივერიამ“ მიზნად დაისახა ყოველი ღონე ეხმარა აჭარა-ჭანეთის მიტაცებული მიწა-წყლის დედა-საქართველოსთან შემოსაერთებლად. ი.ჭავჭავაძის თანამოაზრეთა და თანამებრძოლთა ისტორიულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს გამოჩენილი საზოგადოებრივ-ეროვნული მზადყოფნა, აქტიური ორგანიზებულობა, საკუთარი მისიის შეგნება, მოვლენების განვითარებაში წვდომის უნარი, ოპერატიულობა. ყოველივე ამან გადამწყვეტი როლი შეასრულა, რომ სამხრეთ საქართველოს პრობლემა მაქსიმალურად ჩვენი ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ ყოფილიყო გამოყენებული." (კალანდაძე 1986:354);

ამ თვალსაზრისით საინტერესო პუბლიკაციები იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ ერთიან საზოგადოებრივ პროცესში სწორედ „ივერიამ“, როგორც საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთმა, დაიმკვიდრა განსაკუთრებული ადგილი. მასში მთელი სისრულით აისახა ქვეყნის რეალური სოციალური და პოლიტიკური სურათი.

„ივერია“ თემატურად მრავალფეროვანი ეროვნული გამოცემა იყო, რომელიც XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის უტყუარ მატთანედ უნდა ჩაითვალოს. „ივერია“ იყო ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველთა ეროვნული თვითშეგნებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეების გამტარებელი ორგანო, რომლის ფურცლებზე სრულად აისახა იმ დროის მთავარი სატკივარი - თანამომძეების გამაჰმადიანება და მათ გადასახლება, მუჰაჯირობა.

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ეპოქაში, ალბათ არსად მსოფლიოში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესები, ისე

დრამატულად არ ვითარდებოდა, როგორც საქართველოში. დრამატიზმით გამოირჩევა XIX საუკუნის მეორე ნახევარი, როცა მსოფლიოში მიმდინარე „ეროვნული“ და „სოციალური“ იდეების განვითარებისა და დაპირისპირების ქართველ მედროშეებად ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე გამოდიოდნენ.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ყოველთვის, გამოირჩეოდა მწვავე საკითხთა წარმოჩინებით, განსაკუთრებული სიმწვავეთ კი ქართველი ერის დაქუცმაცე-ბულობასა და სოციალურ ფენებს შორის არსებულ ურთიერთგაუცხოებას მიიჩნევდა ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ სატკივრად: „არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანიდაუჩინონი – ყველანიარიან, და ქართველი კი არსად არის, თავადს აზნაური სძულს, აზნაურს – თავადი, გლეხს – ორივე“ (ინგოროყვა 1953:74); პუბლიცისტი კუთხოვნობაზეც ამახვილებს ყურადღებას, ალბათ, სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავდა ქართველი ერის დანაწევრებასა და სხვა, ზემოთ ხსენებულ, მთელ რიგ-კომპლექსებს. ქვეყნის მთავარ პრობლემად ილია მუჰაჯირობას მიიჩნევდა და ცდილობდა ამ პროცესის გამომწვევი მიზეზებიც გაეანალიზებინა.

ამ ეროვნულ პრობლემასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძეს არა ერთი წერილი გამოუქვეყნებია, ერთ-ერთ წერილში „მაჰმადიანთ გაქრისტიანება“ ვკითხულობთ: „ახლად დაპყრობილ საქართველოს ნაწილში უიმისოთაც გავრცელებულია ცრუ ხმა, რომ რუსები ძალათ გაქრისტიანებას გვიპირებენო, და ახლა რომ მართლა ჩვენ იქ ქრისტიანობის ქადაგება დავიწყეთ, ხელში სახარება მივაჩქოთ და ამ “პოლემიკურ საუბრის” მსგავსი წიგნები, ისინი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ რასაც ამბობდნენ, მართალი ყოფილაო, მართლა გაქრისტიანება ნდომებიათ ჩვენიო. და რა მოქმედება ექმნება ამგვარ ხმის გავარდნას მაჰმადიან ქართველებში, ამის გამოცნობას ბევრი ჭკუა და მახვილგონიერება არ ეჭირება; ჩვენ დარწმუნებული ვართ, პირველი შედეგი ამისი ის იქნება, რომ ვინც დარჩენილან ჯერ კიდევ თავის ქვეყანაში, ისინიც ოსმალეთისაკენ გარდაიხვეწებიან.“ (ჭავჭავაძე 1880: №219);

ილია ჭავჭავაძე აქცენტს აკეთებდა არა სარწმუნოების მნიშვნელობაზე, არამედ ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, თუ რა პასუხისმგებლობა და განცდა უნდა ჰქონოდა თითოეულ ადამიანს სამშობლოს, ეროვნული თვითშეგნების მიმართ:

„სარწმუნოების საქმე სინდისის საქმეა, რა ჩვენი საქმეა – ვინ როგორ სარწმუნოებას აღიარებს, ვინ რა რჯულის არის? რა რჯულიც ჰსურს, იმ რჯულზე იყოს; მხოლოდ კარგი, პატიოსანი კაცი იყოს, მშრომელი და თავისთვის და ქვეყნისათვისაც სასარგებლო. თვითონ ჩვენი მაღალის და უზენაესის მოძღვრის იესო ქრისტეს სიტყვაა, რომ რჯული არ შეიქმს კაცს, არამედ საქმეო.“ (ჭავჭავაძე 1880: №219);

ამ მიმართებით საინტერესოა „ივერიაში“ გამოქვეყნებული პეტრე უმიკაშვილის წერილი - „ოსმალთა საქართველო“, რომელშიც მოთხრობილია ქობულეთის ადგილობრივ მკვიდრთა შესახებ, რომელთა გარკვეული ნაწილი ფარულად ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარნი ყოფილან - „აქაური მცხოვრებლები ვერასფრით ვერ განირჩევიან გურულებისაგან: სახითა და ტანით, ტანსაცმლით სახლის შენობით და მოწყობილობით, ხასიათით და ჩვეულებით, მხნეობით და შრომის მოყვარებით, ქართულის ენით (გურულის კილოთი). განსხვავება მხოლოდ სარწმუნოებაა რადგან ქობულეთლები მაჰმადიანები არიან, მაგრამ ამათშიც მრავალი საიდუმლო ქრისტიანეა, მეტადრე დედა-კაცები რომელნიც პატარა ყმაწვილებს ანათვლინებენ და ქრისტიანობის სიყვარულს გულში უნერგავენ.“ (პ.უ. 1877: №20);

აგრეთვე, ძალზე საინტერესოა ილია ჭავჭავაძის წერილი „ოსმალთა საქართველო“, რომელშიც პუბლიცისტი ნათლად აფიქსირებდა საკუთარ აზრს და თვლიდა, რომ ერის გასამთლიანებლად აუცილებელი პირობაა რელიგიური ტოლერანტობა. რომ არა შემწყნარებლობა ერთმანეთის მიმართ, ერის გამთლიანება პუბლიცისტს, ყოვლად შეუძლებლად მიაჩნია: „სარწმუნოების სხვა-და-სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს, ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარ-ცმულმა, იცის პატივი სხვისი სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არა არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელები, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და დაჩაგრულნი – აქ, ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებასა. არ გვაშინებს, მეტქი, ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს, ოსმალთს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ,

ერთმანეთი ვიძმოდ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს, და დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი.” (ჭავჭავაძე 1877: №9);

განსაკუთრებით ყურადსაღებია „ივერიაში“ გამოქვეყნებული კორესპონდენცია აჭარის ერთ-ერთი სოფლიდან, მარადიდიდან. ამ წერილში განხილულია იმდროინდელი მთავრობის განკარგულება, რომელიც ოსმალოდან გადმოსულ მოლა-ხოჯებს ეხებოდა. კორესპონდენციიდან ვგებულობთ ადგილობრივი მთავრობის განკარგულებას, რომლის მიხედვითაც მათ სურდათ, რომ საქართველოში გაიხსნილიყო სასწავლებლები, რომელშიც ქართველ მაჰმადიანებს შეეძლებოდათ შეესწავლათ ხოჯობა, მიეღოთ შესაბამისი რელიგიური განათლება, რათა ერთხელ და სამუდამოდ აელაგმათ ოსმალ მოღებისა და ხოჯების თავნებობა: „ამ სკოლის არსებობით შესაძლებელი იქმნება, ნამდვილი და რიგირანი ხოჯები გამოიზარდონ, რომელთაც ქართული ენა და საქართველოს ისტორიაც ეცოდინებათ“. (ზ.ჭ 1893: №184); ეს განკარგულება მთავრობამ გამოსცა ისეთი ქართველი მოღების არსებობის აღსაკვეთად, რომლებიც განათლებას ტრაპიზონში იღებდნენ და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ფანატიკურად განაწყობდნენ საზოგადოებას: „ოსმალოდამ მოსული ნამდვილი თათარი მოლა-ხოჯები ისე გამბედაობით ვერ ჰქადაგებენ ხალხში ქართული ენის სიძულვილს, საქართველოში დარჩენას და მთავრობის ზიზღს, როგორც ოსმალში ნასწავლი და საქართველოში დაბრუნებული მოლა და ხოჯები“. (ზ.ჭ 1893: №184);

ამ წერილიდან ნათელია, რომ, მსგავსი სასწავლებლების დაარსების მთავარ მიზანს წარმოადგენდა არა მაჰმადიანური რჯულის გავრცელება, არამედ ქართული ენის, როგორც ეროვნული იდენტობის საფუძველის შენარჩუნება, რაც ქვეყნის გადარჩენის გზაზე გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯიც გახლავთ.

გაზეთ „ივერიის“ ფურცლები ქართველი ხალხის ჭირისა და ლხინის გამზიარებელი იყო. სწორედ, ამიტომაც ისტორიული აჭარის მოსახლეობაც შვებას, ხსნის გზას „ივერიის“ არსებობაში ხედავდა. თითქმის ყველა ნომერში იბეჭდებოდა წერილები აჭარის სხვადასხვა კუთხიდან. ხშირად ავტორი ამ წერილებისა უცნობია,

მაგრამ ფაქტი ერთი გახლავთ, თითოეული მათგანი გაჯერებულია კუთხის მთავარი სატკივართა და ერთიანი საქართველოს სხეულიდან ამოგლეჯილი მხარის სიყვარულით.

ძალზე საინტერესოა მთიანი აჭარიდან, კერძოდ სოფელ ვარჯანულიდან გამოგზავნილი წერილი „დაბა და სოფელი“, რომელიც გვაწვდის ინფრომაციას აჭარის სოფლებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ავტორი წერილის დასაწყისში გამორჩეული მხატვრული ოსტატობით გვიხატავდა მთებს შორის მოქცეული სოფლების ულამაზეს ბუნებას. მიუხედავად სოფლების ცენტრალური დასახლებული პუნქტებიდან სიშორისა ავტორს მიაჩნდა, რომ მთებში ჩაკარგულ ამ სოფლებში ქართული ენა უკეთ იყო დაცული: „რამდენიც კაცი უფრო შორდება შავი ზღვის ნაპირებს და შორს მიდის, რამდენიც უფრო შორს, შეუვალს უდაბურ ტყეებში მდებარე ქართველთა მაჰმადიანთ სოფლებში შეხვალ, იმდენად უფრო სუფთად არის დაცული და შენახული ქართული ენა“. (ზ.ჭ.1892: №158); პუბლიცისტის გადმოცემით იქ რამოდენიმე ოსმალური სიტყვა იყო დამკვიდრებული, თორემ ქართული ხმაური, ლაპარაკი და სიმღერა ამ მხარისათვის, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხისათვის, დამახასიათებელი ყოფილა. ტკივილიან რეალობას მხოლოდ მოლას ხმა გააახსენებდათ: „როცა მოლა ჯამეს გადმოდგება და „ლა ილაეჰს“ დაიწყებს, მაშინ იგრძნობთ, რომ თათრებში ხართ“. (ზ.ჭ.1892: №158);

პუბლიკაციაში აღწერილია ის ძალისმიერი მეთოდები, რომლებითაც მართმადიდებელ ქართველებს აიძულებდნენ გამაჰმადიანებას. ამას რა თქმა უნდა ის რთული ვითარება მოჰყვა, რომ ადგილობრივები იძულებულები იყვნენ ან მიეღოთ მაჰმადიანობა, ანდა გადასახლებულიყვნენ მეზობელ კუთხეებში. მოსახლეობისთვის რთული იყო რჯულისა და ტრადიციების შეცვლა, ტკივილთან ერთად მათში შიშის გრძნობაც ძლიერი იყო: „მათი გათათრება ხან დღეს იყო დანიშნული და ხან ხვალ, მაგრამ საბოლოოდ-კი საქმის გარდაწყვეტა ძლიერ აშინებდათ; ასეთებს ვერც იმათი მაგალითები ახალისებდა, რომელნიც სულ ადვილად სტოვებდნენ მამა-პაპის სჯულს და ეთვისებოდნენ მუჰამედს“. (ზ.ჭ.1892: №158);

გაუსაძლისი იყო იმ ქართველების მდგომარეობა, რომლებიც უარს ამბობდნენ გამაჰმადიანებაზე. მათ საჯაროდ ჩამოახრჩობდნენ, ხოლო თუკი რომელიმე ორჭოფობდა რჯულის შეცვლას, მაშინ გადაწყვეტილების მიღებამდე ჯაჭვით აბამდნენ: „დამრჩვალს სამ დღეს ეკიდა და გამვლელ-გამომვლელი უმზერდა ჩამორჩობილს. ვინც გარდაწყვეტილს პასუხს არ აძლევდა, იმას კიდევ ჯაჭვით აბამდნენ და დღე და ღამ ამ ტყეში სტოვებდნენ“. (ზ.ჭ.1892: №158);

აჭარის მსგავსად, მეტად რთული ვითარება იყო მესხეთში. ამის შესახებ გვაცნობს „ივერიაში“ გამოქვეყნებული ფელეტონი - „მცირე შენიშვნები მესხეთის შესახებ“. ფელეტონიდან ვიგებთ, რომ მესხნი ოდითგანვე ნიჭიერები და განსაკუთრებული ჭკუა-გონებით გამოირჩეოდნენ, მაგრამ ოსმალოს ბატონობამ სრულიად წაშალა და შეცვალა მათი მდგომარეობა და ზნე-ჩვეულებები.

ოსმალოებს, სხვა რეგიონების მსგავსად მესხეთიც ყაზებად დაუყვიათ და თითოეულს, ჩვენებურად გუბერნიებს, მის მიერ დანიშნული გამგებლები მართავდნენ. გამგებლები იყვნენ ფაშები, ბეგები და სხვა ოსმალოების მიერ ნდობით აღჭურვილი პირები - „ამ გვარად მყარდება ახალი წესი, ახალი მართვა გამგეობა. ჩვენს მწერლობაშიაც შემოდის ახალი სახელწოდება იმ დროის მესხეთისა: „ოსმალო საქართველო“. სახელმწიფო ენად აღიარებლ იქმნა ოსმალური, რომელიც მძიმედ-მძიმედ შევიდა ხმარებაში და შეითვისეს არა მარტო ქართველთ, არამედ სხვა ტომის ერთაც (ებრაელებმა, სომხებმა).“ (მირიანაშვილი 1900: №133);

დამახინჯებულა ქართული ენა, განსაკუთრებით სოფლად. მრავალი ქართული სიტყვა ჩაუნაცვლებია თათრულ სიტყვებს. მესხეთი, რომელიც ძველადვე გაქრისტიანებულა, ჩამოშორებია საქართველოს საპატრიარქოს და სრულიად უპატრონოდ დარჩენილა - „ოსმალო მთავრობამ თავისუფლად მიჰყო ხელი ქრისტიანობის ამოგდებას და მაჰმადის სჯულის დამყარებას ქრისტიანეთა შორის.“ (მირიანაშვილი 1900: №133); ოსმალოებმა გაანადგურეს ყველაფერი ქრისტიანული, მოსპეს ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებები და საეპისკოპოსო კათედრები - „ეპისკოპოსნი, მღვდელნი და ბაერნი, ეს უპირველესნი წინამძღოლნი და მასწავლებელნი ხალხისანი, დაიქსაქსნენ.“ (მირიანაშვილი 1900: №133); აქედან გამომდინარე, შემცირდა ღვთისმსახურება, მაგრამ გაძლიერდა აგიტაცია

მაჰმადიანური სარწმუნოებისა, რომელსაც ორი გზით ქადაგებდნენ- ერთი, რომ ძალდატანებით და მეორე ქრთამითა და საჩუქრებით. პირველ შემთხვევაში, ოსმალოები ძალდატანებით მოითხოვდნენ, რომ მესხეთის მოსახლეობას უარეყო ქრისტიანული სარწმუნოება და მიეღო მაჰმადიანური, ვინც ამ მოთხოვნას არ შეასრულებდა, ხშირ შემთხვევაში სიკვდილით სჯიდნენ - „თვით ეპისკოპოსი ბერძენთა, რომელიც სცხორობდა ახალციხის წმ. მარინეს ეკლესიასთან, არ ასცდა ამ გვარს სასჯელს ურწმუნოთაგან.“ (მირიანაშვილი 1900: №133);

ხოლო, მეორე შემთხვევაში, ოსმალოების საჩუქრებით ცდილობდნენ ქრისტიანთა გადაბირებას, რაც გულისხმობდა, რომ მაჰმადიანობის მიღების შემთხვევაში ისინი გათავისუფლდებოდნენ ბატონყმური დამოკიდებულებისაგან და სახლემწიფო გადასახადებისაგან.

ფელეტონიდან ნათლად ჩანს, ის მძიმე ყოფა და ჩაგვრა, რომელსაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალოები ახორციელებდნენ მესხეთში. ყველაზე დასანანი და სამწუხარო კი ის გახლდათ, რომ მესხეთი იმ დროს, როგორც პოლიტიკური, ისევე რელიგიური თვალსაზრისით, დავიწყებული ჰყავდა ცენტრალურ მთავრობას და შეიძლება ითქვას, რომ სწორედ „ივერიამ“ წამოსწია ამ კუთხის პრობლემა და ქართველ მოსახლეობას გაახსენა მათგან მივიწყებული ისტორიული მესხეთი.

„აჭარის გამაჰმადიანება“- ამ სახელწოდების წერილი დაიბეჭდა „ივერიაში“, რომელიც ქართველი მაჰმადიანის, შავლედ ნაკაშიძის ნაამბობს წარმოადგენს. როგორც, ნაამბობიდან ჩანს, აჭარის „გამაჰმადიანება“ ლივანიდან, აჭარის მარჯვენა მხარეს არსებული სოფლებიდან დაწყებულა. ოსმალოებს აჭარის „გამაჰმადიანების“ გეგმა შეუმუშავებიათ, რომლის მიხედვითაც ჯერ აჭარის მარჯვნივ არსებული სოფლები უნდა გაეთათრებინად და მარცხენა მხარე კი თავად მიჰყვებოდა ამ პროცესს . გამაჰმადიანებულ და ქრისტიან ქართველებს შორის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება არ ყოფილა. კერძოდ, კი სოფელ ლივანში ვინც ქრისტიანობაზე უარს არ განაცხადებდა აღნიშნული სარწმუნოების მიმდევარნი სიკვდილით სჯიდნენ, ამიტომ ამ სოფელში თთქმის ყველა გამაჰმადიანებულა.

უამრავი პუბლიცისტური წერილი და ფელეტონი იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიაში“ სამუსლიმანო საქართველოს შესახებ, ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე რთულია ყველა მათგანზე ყურადღების გამახვილება. ჩვენ შევეცადეთ გამოგვეყო განსაკუთრებული სიმძაფრით გამორჩეული პუბლიკაციები. ამ მიდგომით მნიშვნელობა მხოლოდ გარკვეულ ნაწილს მივანიჭეთ, რომელთაგან ერთ-ერთი გახლავთ „დღიური პროვინციელისა“. ამ პუბლიკაციაში მთავარი აქცენტები ბათუმში არსებულ რეალურ სურათზე, მის განვითარებასა და აქ არსებულ სარწმუნოებრივ პრობლემებზეა გამახვილებული. საინტერესოდ არის წარმოჩენილი ბათუმის მნიშვნელობა, ადგილი და როლი ერთიან ქართულ სივრცეში.

„ბათუმი ჩვენის მწერლობისათვის კერძოდ და ქართველებისათვის საზოგადოდ ბევრის მხრივ არის საყურადღებო. იმოდენად საგულისხმიეროდ მიმაჩნია ბათუმის ვითარება და ავ-კარგიანობა, რომ აფსუსია ამ ქალაქზე „სადღიურო“ ლაპარაკი არ ჩამოვუგდო „ივერიის“ მკითხველს ქართველობას.“ (ბათუმელი 1887: №64); - წერს წერილის ავტორი, ვინმე „ბათუმელი“.

ავტორისაგან ვიგებთ, რომ ქართული ეკლესია ისეთ დღეში ყოფილა, რომ დიდმარხვისას წირვა-ლოცვაც კი არ ჩატარებულა. ავტორს მაგალითად მოჰყავს რუსეთი, სადაც რელიგიის თვალსაზრისით თავისუფლებაა, აგრეთვე სომხებს და ბერძნებს შეძლებიათ საკუთარ ენაზე წირვა-ლოცვის მოსმენა, მაგრამ ქართველებს, რომლებმაც სარწმუნოებისათვის თავი გაწირეს ამ უფლებებით ვერ სარგებლობდნენ.

აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ მიუხედავად თხოვნა-მუდარისა, მამა ქიქოძემ, ქართველ მრევლს უარი განუცხადა კვირაში ერთხელ წირვა-ლოცვის ჩატარებაზე.

ბათუმის ცხოვრება სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა. აშენდა ახალი შენობები ყაზარმები, ღარიბთა თავშესაფარი და საავადმყოფო. ამ ზღვისპირა ქალაქში ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად იზრდებოდა კულტურული დონეც, რაშიც მნიშვნელოვან როლს ქართული პუბლიცისტიკა ასრულებდა. ამის დასტურია ის ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც აჭარის რეგიონში შემოდიოდა და ვრცელდებოდა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქართული გამოცემების „ივერიის“, „ცისკრის“, „თეატრის“ და სხვა გავრცელებასთან ერთად ვრცელდებოდა უცხოური გამოცემებიც.

თუმცა, პუბლიცისტური წერილის ავტორის „ბათუმელის“ თქმით ქართულ გამოცემებს „სპარსელები“ არ იწერდნენ. კონკრეტულად მხედველობაში ჰყავს ვაჭრები ან ის დაწესებულებები, რომლებშიც ქარველი მაჰმადიანები მუშაობდნენ - „უკაცრავად კი ვარ ბათუმელ ქართველობასთან, მაგრამ „მეგობარს პირში უძრახეო“, იმის არ იყოს, ძალიან გულ-გრილად ეპყრობიან თავის სამშობლო ლიტერატურას“ (ბათუმელი 1887: №64);

სიტუაციის რეალურად აღქმის მიზნით ავტორს სომხების, ბერძნებისა და სხვა ეროვნების ხალხთა მაგალითი მოჰყავს, რომლებიც არა მხოლოდ მშობლიურ ენაზე გამოშვებულ ლიტერატურას იწერდნენ და ავრცელებდნენ, არამედ თავიანთი ხარჯებით სკოლებსაც კი ინახავდნენ. „ბათუმელის“ გულისტკივილით დასძენს, რომ იმ ჩინოვნიკებს, „რომლებიც განაგებდნენ ბათუმის ოლქს, საკუთარი სიამოვნების გარდა არა აღელვებდათ რა, თუმცა ის კი დავიწყებით, რომ ჭკუა-გონებაც გამოკვებას საჭიროებს“. (ბათუმელი 1887: №64);

გაზეთი „ივერია“ მუდამ დიდ ყურადღებას უთმობდა აჭარის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს. ერთ-ერთი ასეთი წერილი გახლავთ „სოფ.კვირიკე“, რომელიც იმაჟამად ბათუმის ოლქს ეკუთვნოდა. წერილის ავტორი, ზაქარია ჭიჭინაძეა, რომელიც თავდაპირველად აღწერს სოფლის მდებარეობას, რომელიც შავ ზღვას გადმოსცქეროდა და რომელიც თავისი ისტორიული წარსულითაც ამაყოფდა.

სოფ. კვირიკეში ცხოვრობდა 100 კომლამდე, რომელთაგანაც უმეტესნი ქართველ მაჰმადიანებს წარმოადგენდნენ. ომის შემდგომ კი დარჩენილა 30 კომლი, დანარჩენი ოსმალეთში გადახვეწილა. თუმცა, ოსმალეთში მცხოვრებმა ბემებმა კარგად იცოდნენ სოფელ კვირიკეს სილამაზე და რუსეთს მთავრობას გადმოსახლების ნებართვა სთხოვეს. გადმოსახლების შემდეგ, ბერძნებს სოფელში აუგიათ ეკლესია, რომელსაც ერთ-ერთ უხუცესი ქართველი მაჰმადიანის თხოვნით, ისევ ძველი სახელი - კვირიკეს ეკლესია უწოდებიათ.

ეკლესიის კურთხევას ხუთი მაჰმადიანი ქართველი თუ დასწრებია - „ხუთი კაცი იყო და ისინიც შუა წირვის დროს კარში გამოვიდნენ და შინ წავიდნენ. ზოგიერთებს ვკითხე ამის მიზეზი და ერთმა სთქვა, რომ ერიდებათ, ეშინინთ და ამიტომ ვერ ესწრობიან წირვასო.“ (ზ.ჭ. 1892: №149);

ეკლესიის კურთხევას, ხუთი მაჰმადიანი ქართველი თუ დასწრებია და მათაც შუა წირვის დროს ეკლესია დაუტოვებიათ. ამის მიზეზი კი გახლდათ, ის შიში და რიდი, რომელიც იქაური მოლა-ხოჯების მიმართ გააჩნდათ.

სოფელ კვირიკეში, როგორც აჭარის სხვა სოფლებში იდგა ჯამე, რომლის ხოჯასაც - ნური-ეფენდი წითელაძეს ძალიან კარგად იცნობდა ზაქარია ჭიჭინაძე. ეკლესიის კურთხევაზე ჩასულ პუბლიცისტს ეს ხოჯა ადგილზე აღარ დახვედრია, რის გამოც წერს: „შარშან ამ ხოჯას ჯამეზედ წიგნები დავუტოვე სოფ. კვირიკეში დასარიგებლად. ამას ეს წიგნების შარშან ხალხში დაურიგებია და ზოგიერთის ყმაწვილისთვის ანბანიც უკითხებია.“ (ზ.ჭ. 1892: №149);

ზაქარია ჭიჭინაძე თავის წერილში აგრეთვე საუბრობდა სოფელ ალამბარზე და აქაც აქცენტებს რელიგიის საკითხებზე ააკეთებს. ამ სოფელში არსებულ ჯამეში ხოჯა სტამბულიდან ჰყოლიათ მიწვეული, რომელიც ქართველი მაჰმადიანი იყო და სწავლა-განათლება კი სტამბულში ჰქონდა მიღებული.

ამ ხოჯას სოფელ ალამბარში ჯამეს გვერდით დაურასებია სკოლა და იქ ქართველ ყმაწვილებს ასწავლიდა თათრულ ენას, ამისთვის დასჯის მეთოდსაც მიმართავდა, თუმცა თავად ის, თათრულზე უკეთ ქართულად საუბრობდა. ხოჯა საკუთარ შვილს კი მოლად ამზადებდა. ზაქარია ჭიჭინაძეს შეუთავაზებია, რომ შვილისთვის მაინც ესწავლებინა ქართულად წერა-კითხვა, რაზეც შემდეგი პასუხი მიიღო: „ჩვენთვის, ბატონო, რა საჭიროა ქართული, ჩვენ ქვეითი ხალხი ვართ, ოსმალოს ჩვენი ბინა იქით არის, იქით უნდა წავიდეთ. ჩვენ რად გვინდა ქართულიო.“ და ბოლოს კი დაუმატებია: „დიად, ჩვენი ენა ქართული ენა არის, მეტი გზა არ არის, ან მე ვისწავლი, ან ჩემი შვილი ისწავლის.“ (ზ.ჭ.1892: №158);

ხოჯამ ქართული წიგნები დაიტოვა და მედრესედან ყმაწვილებიც გააგზავნა ზაქარია ჭიჭინაძესთან, ანბანის სასწავლებლად. პუბლიცისტი იხსენებს, რომ ანბანის კითხვის დროს მოსწავლეები სიხარულით შესცქეროდნენ ქართველ მასწავლებელს და ანთებული თვალებით ფურცლავდნენ მშობლიურ დედაენას. „ამბობდნენ: „ჩვენი თათრული ალიფა ბეი რას ვარგა, იქ არც ხატებია და არც კითხვა გვესმისო?“ (ზ.ჭ.1892: №158);

ზაქარია ჭიჭინაძე პუბლიკაციებს სოფელ აჭყვის-თავიდანაც გვაწვდის. აქაური ხოჯა, რომელსაც სოფელი დაუტოვებია, განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. სოფლის ბავშვები უამბობდნენ ზ.ჭიჭინაძეს თუ, როგორ სცემდა ხოჯა ეკლიანი ჯოხით მოსწავლეებს, ვინაც თათრულ ენას ვერ შისწავლიდა - „ერთმა სთქვა: მე თათრული ანბანი ვერ დავისწავლე მალე, ამის გამო ხჯამ პირში ეკლიანი ჯოხი დამარტყა, ტუჩებიდგან სისხლი წამომივიდაო.“ (ზ.ჭ.1892: №158);

ზაქარიას ინტერესის სფეროში მოქცეულ სოფლებში, და არა მხოლოდ იქ, ოსმალეთიდან იგზავნებოდნენ ფანატიკოსი ხოჯები, რომლებიც ქართველ მაჰმადიანებს ქართველებისა და ქართული ენის მიმართ ზიზღს უნერგავდნენ და აგიტაციას ეწეოდნენ ოსმალეთში გადახვეწასთან დაკავშირებით, არგუმენტით - „იქ არის ჩვენი ბინა და ადგილიო.“

ამ სოფლებში შემორჩენილ ეკლესიის ნანგრევებს ქართველი მაჰმადიანები სიყვარულით უფრთხილდებოდნენ - „ერთის მოხუციგან შევიტყვე, რომ ჩემს დროში ერთის ეკლესიის ჯვარი და ნივთები მიწაში დავმარხეთ, რომ ოსმალთ თათრებს არ მიეტაცნათ.“ (ზ.ჭ.1892: №158); გარშემო ღობეც შემოუვლიათ, რომ საქონელს ვერ გადაევიდნენ და არ წაეხდინა ქრისტიანული სიწმინდე.

ზ.ჭიჭინაძე პუბლიკაციაში მოიხსენიებს ქართველ მაჰმადიანს, ვინმე მგელაძეს, რომელიც ცხოვრობდა სოფელ ზენეთში. ავტორის თქმით, გამაჰმადიანებულ მგელაძეს წლების შემდეგ, ძალზედ უნანია კიდევ ქრისტიანული სარწმუნოების უარყოფა რასაც შემდეგნაირად აფიქსირებს ზაქარია: „როცა დამინახავს სადმე, მაშინვე ქობულეთის სკოლის საქმეს მკითხავს, როდის დაარსებო, რომ ეგები ბავშვებს მაინც დავასწავლო რამეო.“ (ზ.ჭ.1892: №158);

იმდროინდელ ქართულ პრესაში მრავლად შეხვდებით მსგავსი ფაქტების ამსახველ მასალებს, რომელთა ავტორები გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები გახლდნენ ილია ჭავჭავაძის იდეური მეთაურობით. განსაკუთრებული სიმძაფრით გამოირჩეოდა პუბლიკაციები აჭარის მკვიდრთა მუჰაჯირობის პროცესზე, რომელსაც ისინი ეროვნულ უბედურებად მიიჩნევდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ ამ პროცესის შესაჩერებლად. თუმცა სახელმწიფო მანქანასთან ბრძოლა რთული იყო. პროგრესული საზოგადოებრივი აზრი, ფაქტობრივად, ერთდროულად ეწინააღმდე-

გებოდა რუსეთისა და ოსმალეთის სახელმწიფო მანქანას. ერთი მხრივ რუსეთს სურდა მთელი ჩრდილო და სამხრეთ კავკასია გაესუფთავებინა „არასანდო“ და „ველური“ ადგილობრივი მოსახლეობისაგან და მათ ადგილზე სხვა „სანდო ხალხები“, ძირითადად რუსები ჩაესახლებინა, მეორე მხრივ კი ოსმალეთი ახლადჩასახლებული ერთმორწმუნეებით აპირებდა სასაზღვრო რაიონებში შეექმნა ე. წ. ბუფერული ზონები და ამით რუსეთთან მოსალოდნელი ომისთვის მომზადებულიყო.

როგორც ვხედავთ, პუბლიკაციათა სპექტრი ძალზე მრავალფეროვანია. მრავლადაა დასმული ის მტკივნეული საკითხები, რომლებიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიმძაფრით. ამ საკითხების გაშუქებისას იკვეთებოდა პრობლემათა გადაჭრის გზებიც, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად გამოქვეყნებული პუბლიკაციებისა და სტატიების სიმრავლისა, სამუსლიმანო საქართველოს საკითხიარ კარგადვდა აქტუალობას ათეული წლების მანძილზე. რაც შეეხება მათ შესწავლასა და გაანალიზებას, ამ თემას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალურობა და დღესაც არაერთხელ მოქცეულა იგი პუბლიცისტების, მკვლევრების, მწერლებისა და სხვათა ინტერესთა არეალში.

§ 3 - დავით წერეთლის პუბლიცისტიკა

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, მე-19 საუკუნე უმნიშვნელოვანესი ეტაპია ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში. ამ პერიოდიდან იწყებს ეროვნული ცნობიერება გამოფხიზლებას. ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა ფართოდ გაშალეს საქმიანობა თვითმყოფადი ეროვნული შეგნების ჩამოყალიბებისათვის. ეროვნული მოძრაობა ახალ ფაზაში შევიდა მას შემდეგ, როცა, 60-იანელთა აქტიური ძალისხმევით, ჩამოყალიბდა ქართული პრესა, რომლის მეშვეობით ლიტერატურა ახლოს მივიდა საზოგადოებასთან და უშუალო კავშირი დაამყარა მასთან. ჩვენი მწერლები განსაკუთრებულად ზრუნავდნენ იმისათვის, რომ მათი სიტყვა და გულისტკივილი მკითხველთათვის გასაგები ყოფილიყო. ამან კი განაპირობა თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანი ლიტერატურული მასალის დაგროვება, რომელზეც თვალის მიდევნება არა თუ საჭირო, აუცილებელიც არის. განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ დროის ქართული დოკუმენტურ-მხატვრული პროზა და პუბლიცისტიკა, ვინაიდან ეს ჟანრები ყველაზე უფრო მკაფიოდ ასახავდა საზოგადოებრივ ცხოვრებას.

მე-19 საუკუნის საქართველოს ცხოვრებისეული სურათის სრულყოფილად აღსადგენად, აუცილებელია არა მარტო ცნობილი მწერლებისა და პუბლიცისტების ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობის შესწავლა, არამედ ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი საზოგადო მოღვაწეების მოსაზრებების „განჩხრეკა-გაანალიზებაც“. რამდენადაც მასში უტყუარად აირეკლებოდა იმ საკითხთა აქტუალურობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოცემულ ისტორიულ ეპოქაში. საკითხის ამგვარი დასმა ნაკარნახევია ერთი მხრივ, წინამორბედი თაობის გამოცდილების სადღეისოდ გამოყენების, მეორე მხრივ კი – მათი ღვაწლის სათანადოდ დაფასების საჭიროებით. სწორედ ამ გარემოებებით არის განპირობებული პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილის წიგნის – „დავით წერეთელი“-ს აქტუალურობა. დავით წერეთელი ეკუთვნის იმ სახელოვანი მამულიშვილების რიცხვს, რომლებიც ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადასხვა პროფესიულ თუ სამსახურეობრივ საქმიანობასთან ათანხმებდნენ

სამწერლო-ჟურნალისტურ მოღვაწეობასაც და თავიანთი წვლილი შეჰქონდათ საქვეყნო საქმეში. დავით წერეთელი ნამდვილად იმსახურებდა ჩვენი თაობის მკვლევართა ჯეროვან ყურადღებას, თუმცა დღემდე არ მოგვეპოვებოდა სერიოზული ნაშრომი, რომელიც სრულფასოვნად წარმოაჩენდა მის ღვაწლს ერის წინაშე. ქართული ჟურნალისტიკის ამ ხარვეზს ავსებს პროფესორ ა. ნიკოლეიშვილის მონოგრაფია დავით წერეთლის შესახებ. ნაშრომში გამოწვლილვით არის შესწავლილი მე-19 საუკუნის საქართველოს ერთ-ერთ ურთულეს რეგიონში, მაჭახლის ხეობაში მოღვაწე ჟურნალისტისა და სახელმწიფო მოხელის დავით წერეთლის პუბლიცისტური და დოკუმენტური ხასიათის წერილები.

ავტორი მოგვითხრობს რა დავით წერეთელზე, მიიჩნევს, რომ „დავით წერეთელი ჩვენი კულტურისა და მწერლობის ისტორიის არეალში პატარა ძმის - დიდი აკაკის ჩრდილში დარჩა და დაიკარგაო“. (ნიკოლეიშვილი 2011:5); ამასთანავე დასძენს, რომ „არადა ქართული მწერლობის ამ უპრეტენზიო წარმომადგენლის შემოქმედება ასეთ სრულ უგულვებელყოფას ნამდვილად არ იმსახურებსო“. (ნიკოლეიშვილი 2011:5); სწორედ ამან განაპირობა მონოგრაფიული ნარკვევის შექმნა, რომელშიც ვეცნობით დავით წერეთლის იგივე „სხვიტორელის“ ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო ფაქტებს.

თავდაპირველად ავტორმა პუბლიცისტის ბიოგრაფიის მონახაზი შემოგვთავაზა. დავით წერეთელი, რომელიც თავისი დროის ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილ მოღვაწე გახლდათ, მე-19 საუკუნის ქართულ პრესაში „სხვიტორელის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა მხატვრულ და პუბლიცისტურ ტექსტებს, რომელშიც ამოიკითხავდით ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტის შეხედულებებს. დავით წერეთლის პუბლიცისტურ-ჟურნალისტური საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას საზოგადოდ, ქართული ყოფითი სინამდვილის ამსახველი კორესპონდენციების გამოქვეყნება წარმოადგენდა. განსაკუთრებულ ინტერესს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კი მაჭახლის ხეობის მიმართ ავლენდა. ამიტომაც მონოგრაფიაში ავტორი საგანგებოდ მიმოიხილავს დავით წერეთლის „ოსმალის საქართველოს“ ციკლის წერილებს. მკვლევარი გვაცნობს დავით წერეთლის 1878-1881 წლებში გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილ პუბლიკაციებს,

რომლებიც პირად შთაბეჭდილებათა საფუძველზეა დაწერილი. „დ. წერეთელი უშუალოდ მონაწილეობდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, რომლის შედეგადაც დედასამშობლოს დაუბრუნდა ოსმალეთის მიერ მიტაცებული ქართული რეგიონები.“(ნიკოლეიშვილი 2011:5); ამიტომ საგულისხმოა მისი ნაწერების გაცნობა.

დ. წერეთელი მოხსენებით ბარათში, რომელიც 1878 წლის 6 ოქტომბრით თარიღდება მაჭახლელთა უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაზე საუბრობდა. იგი გულისტკივილით აღწერს გაჭირვებას ახლადშემოერთებულ რეგიონში მცხოვრები ხალხისას, რომელიც საარსებო სახსრების მოსაპოვებლად იძულებულია მშობლიური კერა მიატოვოს. ავტორი აღნიშნავდა, რომ ადგილობრივთა ყოფა, რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ კიდევ უფრო გაუარესდა.

მკვლევარი ასევე ამახვილებს ყურადღებას „სხვიტორელის“ მიერ რეგიონში დაფიქსირებულ სხვადასხვა ფაქტორზე, რომელიც უფრო და უფრო აუტანელს ხდიდა აჭარელთა ყოფას. ავტორის თქმით, დავით წერეთელი განსაკუთრებულ პრობლემად სარწმუნოებრივ ფაქტორსაც ასახელებს და გულისტკივილით აღნიშნავს, რომ თურქეთის მიერ მაჭახლის ხეობაში შემოგზავნილი სასულიერო პირები, არწმუნებდნენ მოსახლეობას, რომ რუსეთის შემადგენლობაში მოქცევით არა მარტო ეკონომიკურად გაუჭირდებოდათ, არამედ რელიგიურადაც გადაგვარდებოდნენ. აქედან გამომდინარე, გამაჰმადიანებული ქართველების ნაწილი იმდენად იყო თავგზააზნეული, რომ ვერც კი გააცნობიერა რეგიონის დედასამშობლოსთან შემოერთების უდიდესი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა.

ა. ნიკოლეიშვილი დასძენს, რომ „-დ. წერეთლის სამსახუროებრივი მიმოწერიდან ნათლად ჩანს, რომ მაჭახლის ხეობაში მისი საქმიანობის უმთავრესი მიზანი ამ რეგიონში არა მარტო მშვიდობისა და წესრიგის დამყარება იყო, არამედ ადგილობრივ მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებაცა და რუსეთის ხელისუფლებისადმი მათი კეთილგანწყობის დამკვიდრებაც“. (ნიკოლეიშვილი 2011:5);

ა. ნიკოლეიშვილი ასევე აღნიშნავს, რომ დავით წერეთელი დიდი გულისტკივილით ესაუბრებოდა „დროების“ მკითხველს მაჭახლის ხეობაში არსებულ ვითარებაზე, იგი ამ ხეობის სოფლებში მცხოვრები მუსლიმანი

ქართველების ბედით იყო დაინტერესებული და განიცდიდა, რომ მრავალი საუკუნის მანძილზე ძირძველ ქართულ მიწაზე ქრისტიან კაცს ფეხი არ ჰქონდა დადგმული. (ნიკოლეიშვილი 2011:5);

ავთანდილ ნიკოლეიშვილი ყურადღებას ამახვილებს ადგილობრივთა რელიგიურ მრწამსზე. იგი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის იმპერია უმკაცრეს დამპყრობლურ-რელიგიურ პოლიტიკას ატარებდა მაჭახლის ხეობაში, გამაჰმადიანების შემდეგაც კი ამ ხეობის მოსახლეობას განსაკუთრებული მოკრძალება და პატივისცემა ჰქონდა ქრისტიანული რწმენისადმი. „დ. წერეთლის წერილებში არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ მისი დროის მახელთა ცნობიერებაში ქრისტიანული სარწმუნეობა და მათი „გურჯობა“ ხშირ შემთხვევაში სინონიმურ ცნებებსაც კი წარმოადგენდა“ (ნიკოლეიშვილი 2011:5);

ავტორი გვთავაზობს დ. წერეთლის მუჰაჯირობასთან დაკავშირებული საინტერესო პუბლიკაციების მიმოხილვას და აღნიშნავს, რომ პუბლიცისტის აზრით, ოსმალეთში მაჰამდიან ქართველთა გადასახლება რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით იყო განპირობებული. უპირველეს მიზეზად მას მიაჩნდა „ოსმალოს მოღები და აგენტები“, რომლებიც რელიგიურ ფანატიზმს აღვივებდნენ ხალხში, რათა მათ შორის ჰყოლოდათ საიმედო დასაყრდენი ძალა მიზნის მისაღწევად.“ ისინის მოსახლეობას ადვილად არწმუნებდნენ იმაში, რომ ადამიანი, რაგინდ „კეთილი მუსულმანიც არ უნდა ყოფილიყო“, თუ იმ ქვეყანაში დაიმარხებოდა, რომელიც „გიაურს ეკუთვნოდა, მაშინ ის არ ცხონდებოდა, როგორც გიაური“. პუბლიცისტის თქმით, ეს ამბავი კი „ძლიერ აღონებდა უმეცარ ხალხს.“ (ნიკოლეიშვილი 2011:5);

დ. წერეთელს მუჰაჯირობის მეორე მიზეზად მიაჩნდა ადგილობრივი ბეგებისა და ალების მიერ ხალხის შევიწროება. მესამე მიზეზად კი – 1878 წელს ბათუმში თავისუფალი სავაჭრო ზონის, შემოღება. და ბოლოს, მუჰაჯირობის მეოთხე მიზეზი მისი აზრით, რელიგიური ნიადაგი იყო, „უმაღლეს ხარისხამდე მიღწეული სიმძულვარე ქრისტიანისა“. (ნიკოლეიშვილი 2011:5);

ავთანდილ ნიკოლეიშვილი ყურადღებას ამახვილებს, აგრეთვე, პუბლიცისტის წერილებზე, რომლებიც მოგვითხრობენ „ოსმალოს საქართველოში“ მცხოვრებ იმ

თანამემამულეებზე, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ თამარ მეფის მიმართ, და თვლიდნენ, რომ თამარს განსაკუთრებით უყვარდა მაჭახლის ხეობა.

მონოგრაფიიდან ვიგებთ, რომ „ოსმალთა საქართველოსადმი“ მიძღვნილი წერილები მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული სისტემატიურად ქვეყნდებოდა ქართული პრესის ფურცლებზე, მაგრამ ამ პუბლიკაციათა ნაწილი იმ ავტორების მიერ იყო დაწერილი, რომლებიც ამ რეგიონში არსებული მდგომარეობის უშუალო თვითმხილველები არ ყოფილან. ამიტომ დავით წერეთლის, როგორც ამ ხეობაში მიმდინარე პროცესების უშუალო თვითმხილველის, სტატიები განსაკუთრებულ პუბლიცისტურ ღირებულებას ატარებენ.

ამრიგად ბატონმა ავთანდილ ნიკოლეშვილმა კიდევ ერთი საშური საქმე გააკეთა. მან მკითხველს პირველმა წარუდგინა მონოგრაფიული ნაშრომი „თერგდალელუთა“ დიდი თაობის ერთ-ერთ მოკრძალებული და უსამართლოდ მივიწყებული წარმომადგენლის, დავით წერეთლის შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ, რითაც არა მხოლოდ ამ პიროვნების ადგილი განსაზღვრა ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში, არამედ იმ პერიოდის მრავალ მნიშვნელოვან საკითხსაც მოფინა ნათელი და კიდევ ერთხელ გვიჩვენა თუ რამდენად ფართო იყო ინტერესთა სფერო და მიმდინარე პროცესების რამდენად მრავალმხრივი ანალიზი კეთდებოდა ქართული პრესის ფურცლებზე.

§ 4 - საინგილო მე-19 საუნუკუნის მეორე ნახევრის პუბლიცისტიკაში

ჩვენ უკვე გავაკეთეთ ისტორიული ექსკურსი საინგილოს შესახებ და ვთქვით, რომ ჰერეთის გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა მისი დასუსტება და გავერანება. მაჰმადიანთა შემოსევებისას ჰერეთს ხშირად მარტო უწევდა თავის დაცვა - „ეს იწვევდა საინგილოს სასიცოცხლო ძალების დაშრეტას, თანდათანობით ასიმლაციას სხვა ხალხებთან, მათ ადათ-წესებთან, ჩვევებთან...“ (ომარაშვილი 1993: 4); აჭარის რეგიონის მსგავსად ჰერეთმაც, ძალადობის მიუხედავად, შეძლო შეენარჩუნებინა მშობლიური ქართული ენა.

ასრათ ომარაშვილი წიგნში „წერილები საინგილოზე“ მიიჩნევს, რომ მტერთა ზრძოლისას საინგილომ ადგილობრივ მკვიდრთა შორის დაკარგა ის პოტენციური მწერლები, რომლებიც შეძლებდნენ და დაგვიტოვებდნენ მათიანეს საინგილოსას. თუმცა, საქართველოს სხვა კუთხის პუბლიცისტებმა, მწერლებმა და მკვლევრებმა შეძლეს გაეცნოთ საზოგადოებისათვის ისტორიული ჰერეთის (საინგილოს) წარსული.

საინგილოს შესახებ არსებულ დოკუმენტურ პროზაზე ჩვენ უკვე გავამახვილეთ ყურადღება, ამჟერად კი შევჩერდებით იმ პუბლიცისტურ წერილებზე, რომლებიც იბეჭდებოდა მე-19 საუნუკუნის ქართულ პერიოდიკაში.

ამ მხრივ, როგორც აჭარის საკითხთან მიმართებაში, მოწინავე ადგილს იკავებდნენ „დროება“ და „ივერია“. საინგილოში მიმდინარე მოვლენებმა და ისტორიულმა ფაქტებმა განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა ამ გამოცემებში.

§ 5 - საინგილო გაზეთ „დროებაში“

თავდაპირველად გამოვეყოფდით გაზეთ „დროებას“, რომელიც დასაწყისშივე განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა საინგილოს წარსულსა და თანამედროვეობას.

საინტერესოა დროების კორესპონდენცია „ქიზიყელები ინგილოებში“ (ინგილო 1867: №24); რომლის ავტორი, ვინმე „ინგილო“ დეტალურად და ნათლად აღწერდა ინგილოებისა და ქიზიყელების ურთიერთდამოკიდებულებას.

პუბლიკაციას ერთგვარ შესავალს უკეთებს ავტორი, როდესაც ერების ურთიერთობაზე ამახვილებს ყურადღებას და მაგალითად მოჰყავს ინგლისელი და ფრანგი ერების კეთილდამოკიდებული ურთიერთობა, რომლებიც ურთიერთობის დათბობამდე „სასიკვდილოდ მტრობდნენ“ (ინგილო 1867: №24); ერთმანეთს მიმოსვლითა და ურთიერთობის გაუმჯობესებით კი მათ შორის სავაჭრო ურთიერთობაც კი ჩამოყალიბებულა. ამის პარალელურად ავტორი ინგილოებისა და ქიზიყელების ურთიერთობაზე ცდილობს გვესაუბროს, რომელიც კეთილმეზობლური უნდა ყოფილიყო, მაგრამ სამწუხაროდ სრულიად საპირისპირო მიმართულებით წარმართულა. „მაშასადამე ქიზიყელების ინგილოებში სიარულმაც, როგორც ზემოდამა სჩანს, სარგებლობა უნდა მოუტანოს ორივეს, ინგილოებსაც და ქიზიყელებსაც; მაგრამ ჩვენ და სამწუხაროდ, ჩვენ წინააღმდეგსა ვხედავთ: ქიზიყელების საინგილოში სიარულით დიდი სამწუხარო ზარალის მეტი არაფერი გამოდის.“ (ინგილო 1867: №24); ზარალში პუბლიცისტი რელიგიურ და სოციალურ უთანხმოებას მოიაზრებდა.

ამავე პუბლიცისტური წერილიდან ვიგებთ, რომ ზაფხულის დადგომისთანავე ქიზიყელები საინგილოსკენ სამუშაოდ მიემართებოდნენ. ისინი ძირითადად მოჯამაგირედ მუშაობდნენ. გამონაკლისნი საყდრის დარაჯობით ირჩედნენ თავს, ნაწილი კი უსაქმოდ დაიარებოდა. ქართველებს, კერძოდ კი ქიზიყელებს პუბლიცისტი ზარმაცთა გუნდად მოიხსენიებდა, რომლებიც ერთი დღით ცხოვრობდნენ.

საინტერესოა ქალის როლი საინგილოში. ინგილოები ქალის მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ, რადგან შეეძლოთ მათი შემდეგ სარფიანად ფულზე გადაცვლა. ხშირ შემთხვევაში ქიზიყიდან მიდიოდნენ -

„ისეთნიც, რომელნიც გამოთხოვილან ინგილოს კაცთან. ამათ მოჰყოლიათ ყმაწვილები. ამათში ზოგი ვაჟია და ზოგი ქალი. ინგილოები დედასათვის მოყოლილ გერ-ქალს რიგიანათ უვლიან, ვაჟებს კი არა; მიზეზი ის არის, რომ მათში ქალების ცოტანი არიან და ვაჟები კი ბევრნი. გარდა ამისა ისინი ქალებს ფულზე ჰყიდიან, ვაჟებს კი აბა რას გამორჩებიან.“(ინგილო 1867: №24);

ხშირ შემთხვევაში ქიზიყელები ოჯახებით სახლდებოდნენ საინგილოში. ითვისებდნენ წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს, სწავლობდნენ მათ ენას. უპირველესი მიზეზი ქიზიყელების საინგილოში გადმოსახლებისა „ინგილოს მიწა კი, რაგინდ უმოსავლობა იყოს საქართველოში, მაინც ისე არ გაძუნწდება, რომ მთესველს იმდენი არ მისცეს, რომ იმას წლითი წლობამდე არ ჰყოფნიდეს.“(ინგილო 1867: №24);

ქიზიყელები თავიანთ სილატაკესა და სიღარიბეში ღმერთს ადანაშაულებდნენ. თუმცა აქვე დავეთანხმებით წერილის ავტორს, რომელიც მიიჩნევდა, რომ კაცი თუ ღარიბია, ისევ და ისევ თავის გაურჯელობით და სიზარმაცით არის ღარიბიო.

ინგილოები კარგად ხედავდნენ ქიზიყელების ქცევებს, რომლებიც არც ქრისტიანულ სარწმუნოებას სცემდნენ პატივს და არც ღმერთს. თავად ქიზიყელები ხსნიდნენ ასე - „ვითომც ის იყო მიზეზი, რომ იმას თავის ქვეყანაში ტყავს აძრობენ თავისი მოძმენი, უკანასკნელ მაჰმადიანდებიან და აღარ კადრულობენ ქართულს ენაზე ლაპარაკს, მაშინ ინგილო ძლიერ ჰსწუხდება.“ (ინგილო 1867: №24);

აღსანიშნავია მე-19 საუკუნეში ქიზიყელების მიერ მღვდლებზე გავრცელებული მოსაზრება. ქიზიყელების გადმოცემით, თითქოსდა მღვდლები მხოლოდ და მხოლოდ ფულზე იყვნენ დამოკიდებულნი და მოვიდოდა დრო, როცა ჭირისუფალს საკუთარ მიცვალებულს მიჰყიდიდა.

გასაკვირი არ იყო ქიზიყელების მსგავსი შეხედულებები მღვდლებზე. მათ, როგორც წერილის შინაარსიდან ვიგებთ, საკუთარი ლუკმა-პურის გარდა სხვა არაფერი ადარდებდათ. ზემოთაც მოგახსენეთ, რომ თავიანთ გასაჭირსაც ღმერთს აბრალებდნენ. აქედან გამომდინარე ქიზიყელებს არც ღმერთის სწამდათ და არც ღმერთთან შუამავლის.

ამის გამგონე ინგილოები მეტად დაშინებულან. თანდათან ეჭვი შექჰონდათ ქრისტიანულ სარწმუნოებაში, აღარც მღვდლების სჯეროდათ. აქედან გამომდინარე

შეზიზღდათ ქართველებიც და მათ „ჭუჭყიან ქართველად“ (ინგილო 1867: №24); მოიხსენიებს.

წერილის დასასრულს, ავტორი გვამცნობს ამ წერილის გამოქვეყნების მიზანს. პუბლიცისტს სურდა, რომ ინგილოებს თავიანთ მოძმე ქართველებთან საერთო ენა გამოენახათ, მაგრამ ქიზიყელები ყველანაირად ცდილობდნენ ინგილოებსა და მათ თანამოძმე ქართველებს შორის მტრული დამოკიდებულება ჩამოეგდოთ. დასასრულს კი პუბლიცისტი ამთავრებს ანდაზით - „ავი ძაღლი არც თვითონ სჭამსო და არც სხვას აჭმევსო.“ (ინგილო 1867: №24);

საინტერესო პუბლიკაცია გამოქვეყნდა აგრეთვე გაზეთ „დროების“ 1880 წლის 146-ე ნომერში, სახელწოდებით „დროების კორრესპონდენცია“. (მ.-შვილი 1880: №146);

წერილის ავტორი დასაწყისში აღწერს საინგილოს - „ეს კუთხე ჩვენის ქვეყნისა თვით ბუნებას ორად გაუყვია: ქვემო ნაწილად (ყარასავით-შავი წყალი და ზემო ნაწილად.“ (მ.-შვილი 1880: №146); ორივე ნაწილი ერთმანეთისაგან განხვავდებოდა, როგორც კლიმატური პირობებით, ასევე ადგილობრივ მკვიდრთა მეტყველებით, განათლებით, მორალით, ზნეობით.

განსხვავება ქართული ენის სისუფთავეშიც იგრძნობოდა. „ქართული ენა იმათში ისრე არ არის დამახინჯებული, როგორც ზემო-საინგილოში; აქ უფრო წმიდათ, უფრო გარკვევით ლაპარაკობენ ქართულად, მინემ ზემოში.“ (მ.-შვილი 1880: №146);

რაც შეეხებოდა ქრისტიანობას, წერილის ავტორი სამწუხაროდ გვამცნობს, რომ ქვედა ყარსავაში ერთი ქრისტიანიც კი არ მოიძებნებოდა. ხოლო ზედა საინგილოში ერთი სოფლის გარდა ყველა ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარი იყო.

ზემო საინგილოში უფრო იგრძნობოდა ქრისტიანული სული. შენარჩუნებული ჰქონდათ დიდი ეკლესიები. განათლებაც უფრო მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე ქვედა საინგილოში. ერთ-ერთ სოფელში, მაკში სკოლაც დაეარსებინათ.

„დროებაში“ ხშირად იბეჭდებოდა წერილები ზაქათალის მაზრიდან. ერთ-ერთი ასეთ წერილი გაზეთის 225-ე ნომერში გამოქვეყნდა, რომელიც მაზრაში არსებულ სწავლა-განათლებასა და იქ არსებულ სკოლებს ეხებოდა.

პუბლიცისტური წერილის „ზაქათალის მაზრიდამ“ ავტორი, ვინმე „ინგილოელი“ წერილის დასაწყისშივე გვახსენებს, რომ ზაქათალის მაზრა ოთხ ნაწილად იყო დაყოფილი : ჭარ-მუზახი, კახი, ბელაქანი და ალიაბათი. წერილიდან ვიგებთ, რომ ქიზიყის მაზრაში საგანმანათლებლო დაწესებულებები, სკოლები თითქმის საერთოდ არ არსებობდა.

სოფელ ჭარას, რომელშიც პუბლიცისტს უმოგზაურია, წარუშლელი შთაბეჭდილება დაუტოვებია ავტორზე. ბუნების სილამაზე, მოკამკამე არხი, ქოხი თხილის წნელით შემოვლებული, ამ სურთამა კეთილგანაწყობ ვინმე „ინგილოელი“ ამ სოფლის მიმართ.

თუმცა ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე, ზემოთ დასახელებული წერილში ყურადსაღებია ინფორმაცია ქიზიყის მაზრაში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებებზე.

კერძოდ, სოფელ ჭარში არსებული მაჰამიანური სკოლა, რომლის მასწავლებელიც ახალგაზრდა მოლა ყოფილა და დიდი სიმკაცრით გამოირჩეოდა - „თუ არა ვსცემე, არ ისწავლინო! ძალიან გაუკვირდა მე რომ უთხარი, ჩვენში ცემა სასტიკად აღკრძალულია- მეთქი...“ (ინგილოელი 1878: №225);

გადმოცემით, ხუთიოდე მოსწავლე თუ იქნებოდა კლასში, რომელთაგანაც ქალები უფრო ლამაზად ჩაცმულები ყოფილან, ვიდრემ ვაჟები. გასაკვირი არც ყოფილა მოსწავლეების სიმცირე, რადგან წერილიდანვე ვიგებთ, რომ სკოლა სულ რაღაც ერთი თვის დაარსებული ყოფილა. პარასკევი დღე კი ყველაზე რთული ყოფილა, რადგან სალოცავად ბავშვები მთელი დღე დაჩოქილნი ლოცულობდნენ, მხოლოდ ნამაზის დროს აძლევდა მოლა მათ ადგომის უფლებას.

ამავე წერილიდან ვიგებთ, რომ პუბლიცისტს თავად დაუპატიჟებია მოლა მოსწავლეებთან ერთად თავის სკოლაში, რომელიც ზაქათალასთან ახლოს მდებარეობდა. პუბლიცისტი აზრით „იგინი იმიტომ არ დადიან ჩვენს შკოლაში, რომ ჯერ კიდევ ეშინიათ „გარუსებისა“, ე.ი. ჩვენ გაგვაქრისტიანებნო და ყორანის კითხვას აღგვიკრძალავენო...“ (ინგილოელი 1878: №225);

გაზეთ „დროების“ 1878 წლის 236-ე ნომერში იმედგაცრუებული პუბლიცისტი აღნიშნავს, რომ არაერთხელ მოუტყუებიათ ისინი მოლა-ხოჯებს. წერილის

შინაარსიდან ვიგებთ, რომ ავტორს გული შესტკივა მოსწავლეებზე, რომელთაც სწავლა სწყრუიათ და სწავლობენ ისეთ სკოლებში, სადაც მათ ბარბაროსულად ექცევიან - „რომელიც ჩვენ ბავშვების დამამახინჯებელ ზნეობ-გონებითად და ხორციელად მიგვაჩნია.“ (ინგილოელი 1878: №236); ავტორის თქმით, მათ მოლა-ხოჯები ყოველთვის დაღვრემილნი შესცქეროდნენ. ისინი თავიანთ უსწავლელ მკვიდრთა შორის დიდი გავლენითა და ძალაუფლებით სარგებლობდნენ - „ამათი ყოველ სიტყვა - სახელითა ყორანისათა - ხალხისთვის შეურყეველი ჭეშმარიტებაა.“ (ინგილოელი 1878: №236);

წერილის ავტორს მნიშვნელოვნად მიაჩნია ქიზიყის მაზრაში კერძოდ, სოფელ ჭარაში, ისეთ სკოლების გახსნა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მშობლიურ ენაზე განათლების მიღება. აგრეთვე, პუბლიცისტი გულისხმობდა, რომ მაჰმადიანურ სკოლებშიც სწავლა ქართულ ენაზე უნდა წარმართულიყო. მაგრამ იმ პერიოდში არ მოიძებნა ადამიანი, რომელიც შეძლებდა სკოლებისათვის ქართულ ენაზე შედგენილი სახელმძღვანელოების შექმნას.

წერილის დასასრულს პუბლიცისტი შეეხო სოფელ ჭარას სოციალურ-ეკონომიკურ საკითხს. იმ პერიოდში სოფელში ვაჭრები შეძლებულ და თავზე გასულ ხალხს წარმოადგენდნენ. ისინი მოსახლეობას გამუდმებით ატყუებდნენ და ძარცვავდნენ, მუშა ირჯებოდა და ვაჭარი კი მდიდრდებოდა. გასაჭირში ჩაცვივდნენ ჭარელი გლეხები, ამას დაემატა ჯარიმების გადაუხდელობაც.

მაჰმადიან ჭარელებში აგიტაციას ეწეოდნენ მოლა-ხოჯები და გადარჩენის გზას ოსმალეთში ხედავდნენ, ამიტომაც ჭარელმა მაჰმადიანებმა დაუჯერეს იმ მოლებს, რომლებიც განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ.

საბოლოოდ კი - „ეს ალიაქოთი მითი გათავდა, რომ ზოგნი სტამბოლში შიმშილით დაიხოცნენ და ზოგნი კი მის გზაზედ.“ (ინგილოელი 1878: №236);

საინტერესო ფელეტონები გამოაქვეყნა მოსე ჯანაშვილმა სახელწოდებით „მოგზაურობა საინგილოში“, გაზეთ „დროების“ 234-ე, 235-ე, 236-ე, 237-ე ნომრებში.

ფელეტონის პირველ ნაწილში პუბლიცისტი მოგვითხრობს შემთხვევით თანამგზავრთა ნაამბობს გასული საუკუნის კახეთის შემოსევებზე.

ერთ-ერთი მოგზაური კმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ მრავალსაუკუნოვანი ტანჯვისა და შემოსევების შემდეგაც, გალექებულ ხალხს წინაპრებისადმი სიყვარული და პატივისცემა კვლავ შემორჩენოდათ. განსაკუთრებით კი პატივს მიაგებდნენ თამარ მეფეს. მათ მიაჩნდათ, რომ თამარ მეფის მსგავსი ქალი არ დაბადებულა და არც დაიბადებოდა.

სოფელ ბელაქანში ჰოფილა გალავანი. პუბლიცისტის გადმოცემით ამ სოფლის მკვიდრნი ამბობდნენ - „- უწინ აქ ყოფილ გამოჩენილი დედოფალი ფერია (თამარს უწოდებენ); იმას მტრის მოსაგერებლათ ეს გალავანი აუშენებია.“ (ჯანაშვილი 1878: №235);

მოგზაურები გზადაგზა ხვდებოდნენ ეკლესიის ნანგრევებს. „ჩვენში ამ ეკლესიას უწოდებენ ჭანდარა საყდარს. მტერს ფესვიანად ამოეგლიჯა იმ ეკლესიის კედლები, რომ ყოველი ნიშანი მისი დაკარგულიყო.“ (ჯანაშვილი 1878: №235);

მოგზაურობისას მოსე ჯანაშვილს, თანმხლებმა სამმა მგზავრმა უჩვენა საინგილოში მდებარე ნანგრევებად შემორჩენილი ეკლესია-მონასტრები.

ფელეტონის წერისას ავტორს მიზნად დაუსახავს მკითხველისათვის წარედგინა საინგილოს საინტერესო და საყურადღებო ადგილები. მეზობელი ქიზიყელები, საინგილოს სალევოსა და ურჯულოების ქვეყანას უწოდებდნენ.

წერილის დასასრულს მოსე ჯანაშვილი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმ პუბლიცისტების მიმართ, რომლებიც არც კი დაინტერესებულან საინგილოთი. მათ შორის გამოყო დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც კვლევა მიუძღვნა აჭარის რეგიონს და ავტორის თქმით „რა იქნებოდა, რომ საინგილოსკენაც ფეხი გადაედგა და იქაურობაც დაეშინჯა.“(ჯანაშვილი 1878: №237);

საინტერესო პუბლიცისტური წერილებით გამოირჩეოდა ვინმე ინგილო რომელიც გაზეთ „დროებაში“ სისტემატიურად აქვეყნებდა წერილებს. განსაკუთრებით საინტერესოა პუბლიცისტური წერილი „წარსული და მიმავალი ინგილოების ცხოვრება“, რომელიც მიუძღვნა საინგილოს.

წერილს პუბლიცისტი ორი კატეგორიის ადამიანების დახასიათებით იწყებს. პირველნი, რომელნიც, წარუმატებლობის შემთხვევაში, სასოწარკვეთილებას მიეცემიან და მეორენი, რომელთაც წინ რაც არ უნდა დიდი განსაცდელი დახვდეთ,

თავიანთი მიზნისათვის ბოლომდე იბრძოლებენ. ავტორი უპირატესობას პირველ კატეგორიას ანიჭებდა, რადგან მას ბრძოლისუნარიანობა და შეუდრეკელობა გააჩნია, თუმცა იქვე დასძენს, რომ „ჩვენდა საუბედუროთ პირველები ჩვენ გვაკლიან, მეორენი კი ღვთის მაღლით ბევრნი გვყვანან.“ (ინგილო 1867: №45);

პუბლიცისტი წუხდა იმის გამო, რომ არ არიან ადამიანები, რომლებიც იბრძოლებდნენ თავიანთი თანამემამულეების ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად აბა ერთი კაცის გამოძახილს და გარჯას რა შედეგი ექნებოდა. აქვე არგუმენტად მოჰყავდა, რომ მხოლოდ ერთი ადამიანი ვერაფერს გახდება, თუკი მრავალმა არ აუბა მხარიო. ამიტომაც იხსენებს ანდაზას - „ერთი კაცი სოფელს ვერ ააშენებს, სოფელი კი ერთ კაცს კიდევ ააშენებს და კიდევ დააქცევს.“ ავტორი უიმედოდაა და ამიტომაც წერს გულისტკივილით: „რადგან ათი ჰსწერს, ასსა სძინავს, ათასი კიდევ მაჰმადიანდება. ახ! როდის განიღვიძებენ და იგრძნობენ უნგილოები თავის მიქცევას და ქართველობის დაკარგვას.“ (ინგილო 1867: №45);

ამავე წერილიდან ვიგებთ, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახვერის დასაწყისში ქართველმა მოძმეებმა არც კი იცოდნენ ვინ იყვნენ ინგილოები და რას წარმოადგენდნენ ისინი. ამაში ბრალს პუბლიცისტი თავად ინგილოებს სდებდა, რომლებიც მიყუჩებულან და შერიგებიან არსებულს. საზოგადოების აქტიურმა წევრებმაც არ იცოდნენ ინგილოების შესახებ. ამიტომ, პუბლიცისტმა გადაწყვიტა წერილის მეშვეობით ცოტა რამ მოეთხრო მათ შესახებ ქართველი საზოგადოებისათვის, ამიტომაც თხრობა მისი გეოგრაფიული მდებარეობით დაიწყო და ახსნა, რომ ძველად ინგილოების ზაქათალის მაზრაში ცხოვრობდნენ, რომელიც მდებარეობდა მდინარე ალაზნის მარცხენა მხარეს და კახეთის შემადგენლობაში შედიოდა.

პუბლიცისტი ისტორიას კვალ და კვალ მიჰყვება და გვიამბობს, რომ ეს მხარე ჯერ ალბანელებს ეკუთვნოდათ, შემდეგ ისევ ქართველებს, მერე მონღოლები დაეპატრონენ და საბოლოოდ საინგილო ჭარელი ლეკების ხელში აღმოჩნდაო.

არცერთ დამპყრობელს არ დაუნდია ეს მხარე. თითქმის ყველგან, სადაც კი ეკლესია შეგხვდებოდათ მტრების მიერ განადგურებულ-გავერანებული იყო. თუმცა,

ზოგიერთ ეკლესიას შეუნარჩუნდა მეტ-ნაკლებად პირვანდელი სახე, გუმბათი, მაგრამ ხატებით მოხატულ კედლები გამქრალან.

ჯერ კიდევ 1820-1821 წლებში, როდესაც საქართველოს სამეფო დასუსტებულიყო, ამით უსარგებლიათ ლეკებს და „გურჯისტანი“ დაუკავებიათ. იმ დროისათვის ილისოს სასულთნოს ერისთავი ყოფილა ქართველი, რომელიც ლეკებს გაურიგებია, ერისთავობის შენარჩუნების სანაცვლოდ გამაჰმადიანებას და მთლიანად იმ მხარის გალეკებას დაპირებია. სწორედ, ამ პერიოდში დამკვიდრებულა ქართველის სანაცვლოდ სახელწოდება ინგილო, რაც კათაკმეველსა ნიშნავს.

გაზეთმა „დროება“ უამრავი გვერდი და ადგილი დაუთმო საინგილოს შესახებ ცნობებს, რომლებიც ერთი-მეორეზე საინტერესო ფაქტებით იყო გაჯერებული. მთავარი კი ის გახლდათ, რომ თავად პუბლიცისტები უშუალო მონაწილენი იყვნენ საინგილოში მიმდინარე პროცესებისა და ამბებს თვითმხილვევისა და თვითგანცდილის პოზიციიდან გადმოგვცემდნენ, ეს კი უფრო ამძაფრებდა მკითხველის შეგრძნებებს და განაცდევინებდა.

§ 6 - საინგილო გაზეთ „ივერიაში“

გაზეთ „ივერია“ გახლდათ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდული გამოცემა, რომლის მთავარ მიზანსაც წარმოადგენდა ქართველი ხალხის ინფორმირება, ხელს უწყობდა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, როგორც იყო აჭარა და საინგილო.

ამჟამად ჩვენს ინტერესის სფეროშია საინგილოს შესახებ გამოცემული ყველა ის მნიშვნელოვანი პუბლიცისტური წერილი, რომელიც ეხებოდა საინგილოში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ პროცესებს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუბლიცისტური წერილი დაიბეჭდა 1886 წლის, მე-10 ნომერში სახელწოდებით „დაბა და სოფელი“.

წერილის შინაარსიდან ვიგებთ, რომ საინგილოზე წინათ წარმოდგენაც არ ჰქონდათ მათ თანამემამულეებს. გასაკვირიც არ იყო, რადგან დროთა ვითარებამ და სულთნის ხელში მოხვედრამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინგილოები მოწყვიტა თავიანთ მოძმეებს. მათ მშობლიურ ენაზე საუბარი და რაც მთავარი იყო ქრისტიანული სარწმუნოების აღიარება ეკრძალებოდათ. ეკლესია-მონასტრები სრულიად გადადგურებული იყო, ღამე თუ ესტუმრებოდნენ „დაშინებული ქრისტიანები“ (ესომ 1886: №10); სალოცავად.

წერილიდან ვიგებთ, რომ იძულებით გამაჰმადიანებული ინგილოები გამუდმებით ლოცულობდნენ, როგორმე გაათავისუფლებულიყვნენ უღვთო მტრისაგან. მათ მიაჩნდათ, რომ რუსეთის მხედრობის დახმარებით შეძლებდნენ მტრისაგან თავის დაღწევას და თავიანთ მოძმეებთან კვლავ შეერთებას: „ისრე უკანონო იყო ლეკების ქცევა ინგილოების მიმართ, რომ მკვიდრმა ხალხმა სახელად „წუნკალები“ დაარქვა.“ ვკითხულობთ პუბლიკაციაში (ესომ 1886: №10);

რუსეთის მხედრობა ასეც მოიქცა, გაათავისუფლა ინგილოები ლეკებისაგან და გათამამებული შამილისაგან. საინგილოს მკვიდრთა ქრისტიანული სარწმუნოების წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ თავისუფლად შესულიყვნენ ეკლესიაში და ელოცათ.

პუბლიცისტური წერილიდან ვიგებთ, რომ ამის შემდეგ დამკვიდრდა საინგილოში კანონი, წესრიგი. შეიქმნა საგანმანათლებლო დაწესებულებები.

„ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სამრეკლომ“ უამრავი ინგილო მიიზიდა სასწავლებლად.

„სკოლებმა მიიზიდეს თვით შეწვერულვაშებიანებულნიც და მრავალთ ასწავლა წერა-კითხვა.“ (ესომ 1886: №10); კერძოდ, სოფელ ალიბეგოში და ყორაღანში საქართველოს ექსარქოს პავლეს ხელშეწყობით დაარსებულ სამრეკლოში, სადაც მოძღვრებას ასწავლიდნენ ვაჟებს, ინგილოების განათლებულობას ლეკები გარუსებად მიიჩნევდნენ.

საინტერესო კორესპონდენციას ვეცნობით „ივერიაში“ ზაქათალას მაზრიდან. იმ ჟამად ოლქში 15 ათას კომლამდე ქართველი (როგორც წერლიში მოიხსენიებენ, ინგილო) ცხოვრობდა. მაგრამ, კერძოდ ქალაქ ზაქათალის მკვიდრთა შორის ვერცერთ ინგილოს შეხვდებოდით. იყვნენ ქართველები, მაგრამ სხვადასხვა კუთხიდან და ისიც მცირე რაოდენობა. – „ეს ფაქტი მეტის მეტად ამწარებს და აღელვებს ქართველი კაცის მამულიშვილურს გრძნობას. მაგრამ რას იზამ, თუ-კიპოლიტიკურმა წარსულმა ასრე ინება აქაურ ქართველთა ბედის გარდაწყვეტა.“ (ვასო 1896: №56);

წერლიდან ვიგებთ, რომ ერთ დროს ქიზიყი სრულიად ქართველებით ყოფილა დასახლებული. ქართველებით, რომლებიც მუდამ მზად ყოფილან საკუთარი სისხლის ფასად დაეცვათ მშობლიური მხარე. თუმცა, დროსთან ერთად ხალხიც შეცვლილა. იმ პერიოდისათვის წარმოუდგენელიც კი იყო, რომ ქიზიყში ქართველები არ სახლობდნენ.

განსაკუთრებით ქართველების სიცოტავეს, თავად ქართველები განიცდიდნენ. ერთი ადამიანის სიკვდილიც კი მათთვის დიდ ტრაგედიად ითვლებოდა. ისედაც სათითოკაცოდ ჩამოთვლილ ქართველებს, კიდევ ერთი თანამემამულე, რომ აკლდებოდათ.

წერილში მოთხრობილია ქიზიყში მცხოვრებ ერთ-ერთ ქართველზე, ვინმე დავით გულისაშვილზე, რომლის გარდაცვალებამაც არა მარტო ქართველებს, არამედ ლეკებს, რუსებს, სომხებს და თათრებსაც კი გული დასწყვიტა.

ეს პიროვნება გახლდათ ზაქათალას სასწავლებლის მასწავლებელი, რომელსაც წლების განმავლობაში სახელი მოუხვეჭავს თავისი ადამიანობით. სწროედ, ამიტომ დაუმსახურებია საზოგადოების დიდი სიყვარული. დავით გულსაშვილს უამრავი

სასიკეთიო საქმე გაუკეთებია ზაქათალას მოსახლეობისათვის, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ეკლესიური გალობის სწავლება იყო. იგი თვითონ ასწავლიდა მოსწავლეებს და კვირა დღეს კი ეკლესიაში უსასყიდლოდ გალობდა. იგი მასწავლებელი, დამრიგებელი, მეგობარი ყოფილა არა მარტო ზაქათალას მკვიდრთათვის, არამედ საინგილოს სხვა სოფლების მაცხოვრებლებისთვისაც.

„სხვა-და-სხვა წერილები“ ამ სათაურით გამოაქვეყნა პუბლიცისტური წერილი გაზეთ „ივერიაში“ გ. ფარადაშვილმა, რომელიც მოგვითხრობს ინგილო ქალის შესახებ.

წერილის დასაწყისში პუბლიცისტი განათლების საკითხს შეეხება და გვინგვიმარტავს, რომ ნებისმიერი განათლებული ერი, რომელიც წინსვლისა და განვითარებისთვის იბრძვის, ქალისა და მამაკაცის უფლებებს ათანაბრებს.

წერილის ავტორს მაგალითად მოჰყავს დასავლეთ ევროპა, მაგრამ იქვე დასძენს, რომ არც საქართველო ჩამორჩებოდა ქალის პატივისცემითა და უფლებების დაცვით ევროპასო. მაგალითად მოჰყავს თამარ მეფის ეპოქას და იმოწმებს „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმს - „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, გინდა ხვადია“, რაც საუკეთესო მაგალითია იმისათვის, რათა წარმოვიდგინოთ ქალისა და მამაკაცის თანაბარუფლებიანობა ჯერ კიდევ თამარ მეფის ეპოქაში.

ქართველი ქალის ზოგადი დახასიათებისას ვრწმუნდებით, რომ ავტორი დიდი პატივს მიაგებდა ქართველ დედას. აფასებდა მათ ღვაწლს სამშობლოს წინაშე და თვლიდა, რომ ქართველმა დედამ მრავალი სასახელო ვაჟკაცი გაუზარდა საქართველოს. სწორედ მათ შთააგონეს შვილებს სამშობლოს სიყვარული და პატივისცემა.

საინგილოს მოცემულობაზე საუბრისას ავტორი დასძენს, რომ აქ ქალს როგორც ოჯახში, ასევე გარეთაც დიდ პატივს მიაგებდნენ. „დედა აქ იყო ჭემმარიტი აღმზრდელი ახალის თაობისა; დედები სიპატარავიდგანვე უნერგავდნენ თავიანთ შვილებს ღვთის შიშსა და მამულის სიყვარულს.“ (ფარადაშვილი 1877: №176);

ინგილო დედა იყო დამცველი ოჯახისა და სამშობლოში. უწინ ლეკების შემოსევების დროს აიძულებდნენ ინგილოებს მიეღოთ მაჰმადიანობა, მაგრამ ინგილო ქალი მუხლს არ იდრეკდა მათ წინაშე და გამალებით იცავდა ქრისტიანულ

სარწმუნოებას, რასაც პუბლიცისტი ინგილო ქალის სიმტკიცესა და შეურყეველ ხასიათს მიაწერდა.

წერილში საინტერესო ფაქტს ვეცნობით და ვიგებთ, რომ მტრებს შემოსევების დროს მღვდლები სრულიად ამოეხოცავთ. მათ მოვალეობას კი ინგილო ქალები ასრულებდნენ. ეს შემდგომ პერიოდშიც შემორჩენილა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა ყოფილიყო, მიცვალებულის ტაბლას უწინ ინგილო ქალი აკურთხებდა.

ზოგადად ქალის როლი ინგილოს ოჯახში ძალზედ რთული გახლდათ. მას ოჯახში უწევდა ყველანაირი საქმის კეთება. ამის დაფასება კი შეეძლოთ ინგილო კაცებს. თუ ქალი ლამაზი და მშრომელი იყო, ყველა მისი ხელში ჩაგდებას ცდილობდა. „თუ დაინახეს რომ რომელიმე გასათხოვარი ქალი ლამაზია და კარგი მეოჯახე, ყველა იმასა სცდილობდა, თავის რძლად წაიყვანოს და ახარბებს ფულს ქალის პატრონს.“ (ფარადაშვილი 1877: №176);

ინგილო დედა, ქალი ოჯახის საყრდენი იყო. მტრის სიმრავლესა და ბატონობას არ უმოქმედია მათ პრინციპებზე, სამშობლოსადმი ერთგულებაზე, მორალზე. ერთადერთი, რასაც მათზე გავლენა მოუხდენია, ჩაცმულობა გახლდათ. ინგილო ქალს ქართულ ტანისამოში ვეღარ შეხვდებოდით, იგი თათრულმა შეცვალა.

თუმცა იშვიათად შეხვდებოდით ქართულად მოკაზმულ ქიზიყელ ქალებს. პუბლიცისტის აზრით სასიკეთო იქნებოდა თუკი ადრიდანვე შეაყვარებდნენ ქართულ ტანისამოსს ინგილო ქალებს.

საკმაოდ ვრცელი ფელეტონი მიუძღვდა გაზეთმა „ივერიამ“ 1889 წლის 193-ე ნომერში საინგილოსა და იქ მცხოვრებ მოსახლეობას. აღნიშნული ფელეტონი საუკუთესო ეთნოგრაფიულ წერილს წარმოადგენს და უამრავ ცნობას გვაწვდის საინგილოს ყოფა-ცხოვრებაზე.

ფელეტონს ავტორი ნათლობის აღწერით იწყებს. ძველად ახალშობილს ქრისტიანი ინგილოები ნათლავდნენ. სამწუხარო იყო ის, რომ რიგ შემთხვევებში მშობლები ივიწყებდნენ ნათლობის სახელს და ბავშვს სხვა სახელით მოიხსენიებდნენ.

ბავშვს შვიდ წალმდე „სავაზირნოდ“ (ჯანაშვილი 1889: №193); (ბრძანებების შემსრულებლად) მოიხსენიებდნენ. ინგილოების ოჯახში სავაზირნოს წარმოადგე-

ნდნენ უმცროსი ვაჟები, რძლები, ხოლო „დამვაზირებელნი“ (ჯანაშვილი 1889: №193); კი დედ-მამა გახლდნენ. თუ ბავშვი დროულად არ შეასრულებდა ბრძანებას მას დედის წყევლა-კრულვა არ ასცდებოდა და ხშირ შემთხვევაში ფიზიკურადაც კი უსწორდებოდნენ მას.

ოჯახში ვაჟს- მამა ზრდიდა და ქალს-დედა. მშობლები თავიდანვე აჩვევდნენ ბავშვებს მუშაობას. მძიმე სამუშაოს კი 13 წლიდან აწყებინებდნენ. ამავე ასაკში ხდებოდა ქალისა და ვაჟის დანიშვნა, არა უგვიანეს 15 წლისა. აკვანში დანიშნულთა რიცხვი ძალზედ მცირე გახლდათ.

თავიდან მშობლები დამოუკიდებლად იღებდნენ ნიშნობის გადაწყვეტილებას. შემდეგ ეს მიდგომა შეცვლილა და ავტორის რეალობაში ქალისა და ვაჟის თანხმობის გარეშე არ ხდებოდა დანიშვნის რიტუალის შესრულება. თუმცა არსებობდა გამნაკლისი შემთხვევები, როდესაც მშობლები გადაწყვეტიელაბს მაინც დამოუკიდებლად იღებდნენ. ნიშნობა, როგორც წესი, მაჭანკლის დახმარებით ხდებოდა. ხშირ შემთხვევაში ქალის მაჭანკლობა ოჯახის სიძეს ევალებოდა.

აქვე შეგახსენებთ, რომ უწინ ვაჟის ოჯახი ქალის ოჯახს უხდიდა თანხას ქალიშვილის სანაცვლოდ. აქედან გამომდინარე, თუ ვაჟის ოჯახი შეძლებული იყო, სამაჭანკლო საქმეც სწრაფად გვარდებოდა. საქართველოს სხვა კუთხეებისგან განსხვავებით საინგილოში ქალის მზითვს ვაჟის მამა ანუ მამათილი იხდიდა, რაც საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს წარმოადგენდა. ავტორის დასკვნით გლეხისთვის მძიმე გახლდათ სარძლოს მზითვის შეგროვება.

„აქედგან ვხედვათ, რომ საინგილოში დიდს გაჭირვებაშია მარტო ვაჟის მამა; ქალის მამა, პირ-იქით, სრულიად უზრუნველ-ყოფილა: იგი არა თუ ქალისთვის მზითვისა და ქრთამის შესაძენად ჩალიშობს, არამედ ყოველივეს საქმროსგან მოელის, თავის ქალის საქორწინო ხარჯსაც-კი.“ (ჯანაშვილი 1889: №193);

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინგილო ოჯახში რძლის შემოყვანა დიდ ხარჯთან იყო დაკავშირებული და იგი მხოლოდ ვაჟის მამის მოსაგვარებელი გახლდათ.

„საინგილო“ ამ სახელწოდების პუბლიკაცია გამოაქვეყნა მოსე ჯანაშვილმა გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე. მას არა ერთი პუბლიცისტური წერილი

გამოუქვეყნებია საინგილოს შესახებ გაზეთ „დროებაში“ და ჩვენ შევეხეთ კიდევ მათ წინა პარაგრაფში.

როგორც წერილიდან ვიგებთ, საინგილო საქართველოს განაპირა მხარე ყოფილა, სადაც 15 ათასამდე ქართველი ცხოვრობდა. მათ გარშემო კი სხვადასხვა მოდგმის ხალხი სახლობდა. მათ შორის თათრები, ლეკები, ყიზილბაშები და სომხებიც კი.

პუბლიცისტი კიდევ ერთხელ გვახსენებს ინგილოთა წარსულს და გვამცნობს, რომ ოდესღაც ინგილოები თათართა და ლეკთა მორჩილებაში იმყოფებოდნენ და ამ პერიოდში თითქოს მათი განვითარება შეფერხებული იყო, თითქმის ვერ შეხდებოდით წერა-კითხვის მცოდნეს. თითქმის ორმოცი წლის შემდეგ კი პუბლიცისტი გვიამბობს მისი განვითარების გზას. მათ შეუსწავლიათ ქართულად წერა-კითხვა, სწავლობდნენ სკოლებში, გალობდნენ და რაც ყველაზე მთავარი იყო ქართული საუბარი ყველგან ისმოდა.

მრავალი სიკეთის პარალელურად პუბლიცისტი ინგილოების შრომისუნარიანობას გამოყოფს. შიმშილი იქ უცხო ყოფილა, ვინაიდან ისინი მიწაზე მუშაობდნენ და მიწაც მაღლიანი გახლდათ, მოსავალს უხვად უწყალობებდა მკვიდრთ.

პუბლიცისტის ნაამბობიდან ვიგებთ, რომ ინგილოებს სამშობლოსთან მოწყვეტის შემდეგ ქურდობა-ყაჩაღობისათვის მიუყვიათ ხელი, რაც მათთვის სახარბიელო არ ყოფილა, უფრო იძულება და ანგარიშსწორება გახლდათ: „ინგილო თუ ქურდობს ანუ, ქურდობდა იმიტომ რომ მისი მოსისხლე მტრები მოსვენებას არ აძლევდნენ.“ (ესომ 1894: №168);

ინგილოები ლეკებისგან იტაცებდნენ პირუტყვს, უწვავდნენ სახლ-კარს და ამით სამაგიეროს გადახდა სურდათ, საბოლოოდ კი ისე დააშინეს, რომ ლეკები სოფლებში შესვლასაც კი ვერ ბედავდნენ. დროთა ცვლილებასთან და მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად საინგილოში ქურდობაც შემცირებულა.

რაც შეეხება რელიგიურ აღმსარებლობას, გამაჰმადიანებული ინგილოები მტკიცედ იცავდნენ თავიანთ სარწმუნოებას და აღარ უბრუნდებოდნენ

ქრისტიანობას. მიზეზად კი ფანატიკოსი ლეკები და თათრები მოჰყავდათ, რომლებიც თითქოს აკონტროლებდნენ, რომ ქრისტიანობას არ დაბრუნებოდნენ.

„ინგილოთა გაქრისტიანება ფრიად სასარგებლო იქნებოდა, ვინაიდან მაჰმადიანი ინგილოები დღეს ქრისტიან ინგილოთ აღარ ეკარებიან, სცდილობენ დაივიწყონ თვისი მამა-პაპეული ენა, ზნე-ჩვეულებანი.“ (ესომ 1894: №168);

გამაჰმადიანებული ინგილოები ხშირ შემთხვევაში ცოლად ყიზილბაშ ქალებს ირთავდნენ, რათა საბოლოოდ ამოეძირკვათ საკუთარ თავში ქართული სული. მით უფრო, რომ ქრისტიანი ინგილოების მცირედი ნაწილიდა შემორჩენოდა ამ მხარეს, ისინი ვერ შეძლებდნენ გამაჰმადიანებული ინგილოების ქრისტიანული სარწმუნეობისაკენ შემობრუნებას.

მოსე ჯანაშვილი საინგილოში მოგზაურობისას გაცნობია სოფელ კაკის მკვიდრის, ივანე ხუციშვილის ოჯახში დაცულ სიწმინდეებს, რომელთაც საზოგადოება „ხუციანთ ოთხთავს“ ანუ „ხუციანთ ოჯახს“ უწოდებდა. (ესომ 1894: №168);

ლეკიანობის პერიოდში „ხუციანთ ოჯახი“ გახლდათ ქრისტიანთა ნავსაყუდელი. მათ საშუალება ეძლეოდათ ივანე ხუციშვილის ოჯახში სანთელი დაენთოთ და უფლისთვის დახმარება ეთხოვათ. ქრისტიანი ინგილოები „ხუციანთ ოთხთავისთვის“ მსხვერპლად წირავდნენ ან ოთხ რქიან ვერძს, ან და ოთხ რქიან ვაცს. მათი რწმენითა და შეუპოვრობით შეინარჩუნეს საინგილოში ქრისტიანმა ინგილოებმა ქართული სული - „ხუციანთ ოთხთავის“ ბრალია უმთავრესად, რომ ეს განაპირა კუთხე სრულიად არ მოსწყდა საქართველოს და დაიცვა თავისი ხალხსონობა-ქართველობა, თვისი ენა და რჯული - მისივე ბრალია, რომ ლეკთა ძალ-მომრეობამ ვერ დასჩაგრა ეს ერთი მუჭა ხალხი, და ინგილო ისევ დაშთა ქართველად.“ (ესომ 1894: №168);

გადმოცემის თანახმად ხუციშვილები გახლდნენ მღვდლის შთამომავალნი, რომელთაც ლეკიანობის პერიოდში, როგორც უმრავლესობა ინგილოს, „გარეგნულად მიუღიათ მაჰმადიანობა.“ (ესომ 1894: №168);

მიუხედავად დიდი შიშისა და ფარულად ქრისტიანული სარწმუნეობის აღმსარებლობისა, ქრისტიანი ინგილოები მალულად ლოცულობდნენ ქურმუხის წმ. გიორგის ეკლესიაში და ასრულებდნენ ყველა ქრისტიანულ წეს-ჩვეულებას.

მათ „ხუციანთ ოჯახში“ შემონახული ჰქონდათ ვახტან მეფის დროინდელი სახარება, კრებული, რომელიც შეიცავდა სამოციქულოს, ლოცვანს. ქრისტიანი ინგილოები უვლიდნენ და იცავდნენ ამ სიწმინდეებს.

დასასრულს გვსურს, კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ „დროებისა“ და „ივერიის“ როლი საინგილოს ერთიან ქართულ სივრცეში შენარჩუნების მნიშვნელოვან საქმეში. თითოეული პუბლიცისტი, მკვლევარი, უშუალოდ მოგზაურობდა ამ მხარეში, აწვდიდა ცნობებს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლებს და ცდილობდნენ მცირეოდენი წვლილი შეეტანა მაჰმადიანი და ქრისტიანი ინგილოების თანაცხოვრებაში.

ხშირ შემთხვევაში მცდელობა მცდელობადვე დარჩა, მაგრამ ქართულმა დოკუმენტურმა პროზამ და პუბლიცისტიკამ შემოგვინახა ცნობები საქართველოს ერთიან სხეულს მოწყვეტილი ამ ულამაზესი მხარის შესახებ, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ხშირად ყოფილა მტრის სამიზნე. რაც ყველაზე სამწუხაროა, ქართველთა გულგრილობით კახეთის ეს უძველესი მხარე, დღეს საქართველოს შემადგენლობაში აღარ არის. თუმცა დოკუმენტურმა პროზამ და პუბლიცისტიკამ მისი ისტორიული და კულტურული სურათი ნათლად წარმოგვიჩინა.

ზოგადი დასკვნები

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის - „მე-19 საუკუნის სამუსლიმანო საქართველო ქართულ დოკუმენტურ-მხატვრულ პროზასა და პუბლიცისტიკაში“ კვლევის მიზანს წარმოადგენს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს, კერძოდ აჭარის, სამცხე-ჯავახეთისა და საინგილოს პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური საკითხების შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე გვიჩვენოს თუ როგორ აისახა ეს პროცესები შესაბამისი პერიოდის ქართულ დოკუმენტურ პროზასა და პუბლიცისტიკაში.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დოკუმენტურ-მხატვრული პროზისა და პუბლიცისტური წერილების შესწავლამ გამოკვეთა საინტერესო ტენდენციები, კერძოდ ის, რომ ეს ჟანრები ხელს უწყობდა საქართველოში საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესს და მიმართული იყო ხალხის ინფორმირებულობისაკენ სხვადასხვა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი თემების შესახებ, მათ შორის, აჭარის, სამცხე-ჯავახეთისა და საინგილოს მკვიდრთა პოლიტიკურ-რელიგიური მისწრაფებების შესახებ. ხელი შეუწყო ქართული საზოგადოების ინფორმირებას ამ რეგიონებში არსებული ქართული ტრადიციებისა და ღირებულებების შესახებ.

სადისერტაციო ნაშრომში შევისწავლეთ და განვიხილეთ ქართველი საზოგადო მოღვაწეების, მკვლევრებისა და პუბლიცისტების მიერ აჭარისა და საინგილოს შესახებ შექმნილი ნარკვევები, მონოგრაფიები და პუბლიცისტური წერილები.

ნაშრომზე მუშაობის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენდა, მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით გადმოგვეცა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ამ კუთხეებში მიმდინარე პროცესთა ისტორიული ანალიზი, რომელიც მართალია ჩვენი კვლევის მიზანს არ წარმოადგენს, მაგრამ გვამღევეს საკითხის შესწავლისა და მართებული დასკვნების გამოტანის საშუალებას. საკითხის შესწავლისას დავრწმუნდით, რომ ბევრმა ფაქტმა თუ მოვლენამ დღეს სხვა აქცენტები შეიძინა, ბევრი მათგანი დავიწყებას მიეცა და ამდენად ჩვენი ნაშრომის აქტუალობას სწორედ ამ საკითხების წამოწევა და მათზე მსჯელობაც წარმოადგენს.

სადისერტაციო ნაშრომში განვიხილეთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდული გამოცემები, ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლების მიერ შექმნილი დოკუმენტურ მხატვრული პროზა.

ამ პერიოდის დოკუმენტურ-მხატვრულ პროზაზე საუბრისას ყურადღება შევაჩერეთ ისეთი ქართველი საზოგადო მოღვაწეების ნააზრევზე, როგორებიც იყვნენ: ზაქარია ჭიჭინაძე, თედო სახოკია, გიროგი ყაზბეგი, თენგიზ პაპუაშვილი და სხვ. ისინი ძირითადად შეეხებოდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს, პერიოდს, როდესაც აქტიურ ფაზაში შედიოდა ერთი მხრივ აჭარის, სამცხე-ჯავახეთისა და საინგილოს გამაჰმადიანების, მეორე მხრივ კი რუსეთის მიერ აღნიშნული ტერიტორიების დაპყრობა-დამორჩილება.

საკითხის შესწავლამ აჩვენა, რომ თითოეული ავტორი საკუთარ ნაშრომში მკაფიოდ და ნათლად გვიხატავდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ვითარებას. ხოლო ის ფაქტი, რომ ისინი თავად გახლდნენ ამ პროცესების უშუალო მონაწილენი და თვითმხილველნი, დამაჯერებლობასა და სიმძაფრეს მატებს თითოეულ ნაშრომს.

საკვლევი თემიდან გამომდინარე დავასკვნით, რომ თითოეული ავტორი ერთგვარი აგიტატორის როლსაც ასრულებდა თამამემამულეებთან, რათა თავიანთი კალმითა და მოწოდებით შეენარჩუნებინათ ქართული სული, ენა, კულტურა, თითქმის მივიწყებული ტრადიციები. ისინი ამასთანავე დიდი გულისტივილით გვესაუბრებოდნენ ყველა იმ ფაქტისა და მოვლენის შესახებ, რომელიც ხელს უწყობდა ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების დაქვეითებას. მაგალითისთვის შეიძლება აღვნიშნოთ, რომ განსაკუთრებული სიმძაფრით ზაქარია ჭიჭინაძემ აღგვიწერა მუჰაჯირობა, როგორც ეროვნულობის წინააღმდეგ მიმართული ყველაზე მტკივნეული პროცესი, თუმცა ამ საკითხისთვის გვერდი არც თედო სახოკიასა და დიმიტრი ბაქრაძეს აუვლია, რომლებმაც ამის პარალელურად აჭარაში მიმდინარე არაერთ მტკივნეულ საკითხზეც გაამახვილეს ყურადღება.

აღნიშნული დოკუმენტურ-მხატვრული პროზის კვლევისას გარდა მშრალი დოკუმენტური ფაქტებისა შევეხეთ ემოციური და პირადი განცდების მატარებელი არაერთი ფაქტისა და მოვლენის ასახვას, რითაც დავასკვნით, რომ თავად

ავტორებზე მტკივნეულად მოქმედებს პოლიტიკური და სოციალური ვითარება, რაც ემოციური დატვირთვით აისაკა კიდევ მათ ნაშრომებში. მათი მთავარი საზრუნავი არა მხოლოდ არსებული ფაქტებისა და მოვლენების ასახვა გახლდათ, არამედ უმთავრესი ამ რეგიონებში ადგილობრივ მცხოვრებთა მორალური და ფსიქოლოგიური დახმარება, მათთვის მტკივნეული საკითხების გადაჭრაში თანადგომა იყო.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას შევისწავლეთ და განვიხილეთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდული გამოცემები. განსაკუთრებული ყურადღება კი „დროებასა“ და „ივერიაზე“ გავაკეთეთ, ვინაიდან ამ პერიოდულმა გამოცემებმა შეიძლება ითქვას მწვავე ბრძოლა გააჩაღეს მუჰაჯირობისა და სხვა მტკივნეული პოლიტიკური პროცესების წინააღმდეგ და ფართო პროპაგანდა გააჩაღეს წერაკითხვის გავრცელებისა და ზოგადად ქართული წიგნის პოპულარიზაციისათვის. ისინი სამართლიანად გვევლინებოდნენ იმ დროს არსებული ჟურნალ-გაზეთების წინამძღოლებად და შეგვიძლია დანამდვილებით აღვნიშნოთ, რომ ამ გამოცემებმა სითამამე და სიმტკიცე შესძინეს ნიჰილიზმით მოცულ ქარველ ერს.

„დროებისა“ და „ივერიის“ რომლებითაც „ ბედისაგან მივიწყებული მოძმეები“ იბრუნებდნენ დაკარგულ რწმენას და იმედიანად შეჰყურებდნენ საკუთარ მომავალს ერთიანი ქართული სხეულის შემადგენლობაში. პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი მნიშვნელოვანი პუბლიკაციები, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ სხვადასხვა ჟურნალისტურ ჟანრს (კორესპოდენცია, ნარკვევი, რეპორტაჟი, წერილი, მიმოხილვა, რეცენზია, ინტერვიუ), გვიდასტურებს იმ პერიოდის ქართული პერიოდიკის ჟანრობრივ და თემატურ მრავალფეროვნებას, ხოლო თითოეული პუბლიციტსი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ფსევდონიმით გვაცნობს ფაქტებსა და მოვლენებს, გვევლინება მემატიაუნდაც, რომლებმაც დიდი საგანძური დაგვიტოვეს პუბლიცისტური წერილების სახით.

გაზეთი „დროება“ იყო ერთ-ერთი მოწინავე პერიოდული გამოცემა, რომელშიც განსაკუთრებული სიმბაფრით ქვეყნდებოდა სხვადასხვა ცნობილი საზოგადო მოღვაწის კორესპონდენცია აჭარიდან და საინგილოდან.

გაზეთი „ივერია“ კი გახლდათ გამოცემა, რომელიც ყოველთვის მზად იყო ქართველი თანამემამულეებისათვის, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად გაელვივებინა ეროვნული თვითშეგნების გრძნობა, კვლავ ჩაენერგა მათში ქართული მებრძოლი სული და ებრძოლა ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის.

ორივე გამოცემის პუბლიცისტი-ავტორები მოვლენებს ცხელ კვალზე მიჰყვებოდნენ და ცდილობდნენ მათი ხმა, სატკივარი მთლიანად საქარველოსთვის ეცნობებინათ.

სადისერტაციო ნაშრომზე „მე-19 საუკუნის სამუსლიმანო საქართველო ქართულ დოკუმენტურ-მხატვრულ პროზასა და პუბლიცისტიკაში“ მუშაობისას, დავრწმუნდით, რომ ამ პერიოდში ბევრი საყურადღებო მასალა ქვეყნდებოდა აჭარის წარსულიდან, განსაკუთრებულად ამხვილებდნენ ყურადღებას მუჰაჯირობის პროცესზე, ამხელდნენ მის გამომწვევ მიზეზებს და მთავრობას მოუწოდებდნენ მიეღოთ გადამჭრელი ზომები ამ პროცესების შესაჩერებლად. ამ რეგიონის მკვიდრთ უწევდათ, როგორც ოსმალოების მხრიდან ფსიქოლოგიური, მორალური, რელიგიური ღირებულებების იძულებით უგულვებელყოფა, აგრეთვე რუსების მხრიდან ძალდატანებითი დამორჩილების ატანა. ქართველი ჟურნალისტებისა და საზოგადო მოღვაწეების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ შემცირდა მუჰაჯირთა რაოდენობა და გადასახლების წინააღმდეგ მიმართულმა აგიტაციამ შედეგიც გამოიღო.

კვლევაში განსაკუთრებული აქცენტი საინგილოს რეგიონზე გავაკეთეთ გავეცანით იქ არსებულ ვითარებას და დავრწმუნდით, რომ ქართველი ერი, რომელიც სიძლერიტა და დაუმორჩილებლობით გამოირჩეოდა ყოველთვის იმ პერიოდში არსებულმა გაუსაძლისმა პოლიტიკურმა და სოციალურმა ფაქტორებმა მოდრიკა და დაუკარგა ის ფასეულობები, რომლითაც თავის დროზე ეროვნულ და მორალურ-ეთიკურ ღირებულებებს ინარჩუნებდნენ.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ მიუხედავად რელიგიური ექსპანსიისა განსაკუთრებულ დატვირთვას ინარჩუნებს ქალის კულტი, რომელიც მოყოლებული თამარის ეპოქიდან, მიუხედავად რთული ვითარებისა განსაკუთრებულად დაფასებული და ხელშეუხებელი გახლდათ. თითუეული მკვლევრის, პუბლიცისტის

მიერ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის რეალობის ასახვა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ქართველი ერი თანადგომით, ურთიერთპატივისცემით მაინც ინარჩუნებდა ქართულ სულს.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევისას გამოვყავით მამულიშვილები, რომლებიც საკუთარი ინტერესების უგულვებელყოფით ცდილობდნენ რუს და ოსმალო დამპყრობლებს შეწინააღმდეგებოდნენ, რათა მათ არ დაეკნინებინათ ქართველი ერი, როგორც რელიგიური, ასევე მორალური თვალსაზრისით. მათ დიდი ზეწოლისა და დამცირების მიუხედავად შეინარჩუნეს სარწმუნოება, ღირსება და რაც მთავარია მშობლიური ენა,.

ჩვენ შევეცადეთ ქრონოლოგიურად მივყოლოდით მე-19 საუკუნის მეორე ნახევარს. შევეცადეთ შეგვესწავლა და გამოგვეკვლია მოვლენები, ფაქტები, რომლებიც საქართველოს ზემო განხილული რეგიონებს: აჭარასა და საინგილოს დღემდე დაღად ამჩნევია. საკვლევ თემაზე მუშაობის პროცესმა გვიჩვენა, რომ „მე-19 საუკუნის სამუსლიმანო საქართველო ქართულ დოკუმენტურ-მხატვრულ პროზასა და პუბლიცისტიკაში“ ფართოდ შესასწავლი და გასაანალიზებელი საკითხია. იკვეთება პრობლემები, რომელიც ფაქიზ დამოკიდებულებას მოითხოვს.

ვფიქრობთ, სადისერტაციო ნაშრომის, „მე-19 საუკუნის სამუსლიმანო საქართველო ქართულ დოკუმენტურ-მხატვრულ პროზასა და პუბლიცისტიკაში“, ძირითადი მიზანი გაგვერკვია, თუ როგორ აისახებოდა საქართველოში, კერძოდ კი კონკრეტულ რეგიონებში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი და კულტურული პროცესი, როგორ აისახებოდა იმ პერიოდის ქართულ გამოცემებსა და პრესაში. ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი შეიძლება კიდევ არაერთი კვლევის საგანი გახდეს, ხოლო ეს ნაშრომი ხელს შეუწყობს აღნიშნული პერიოდით დაინტერესებულ პირებს შემდგომ კვლევაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ბაქრაძე 1987:** ბაქრაძე დიმიტრი. „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“.
2. **ბახტაძე 2005:** ბახტაძე გურამი. „აჭარა მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში“. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“. ბათუმი.
3. **ედელი 1997:** ედელი ზაქარია. „საინგილო“. გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტის“. თბილისი.
4. **ინგოროყვა 1953:** ინგოროყვა პავლე. „ილია ჭავჭავაძე, ზოგიერთი რამ, წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე“. თბილისი.
5. **კალანდაძე 1986:** კალანდაძე ალექსანდრე. „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“. გამომცემლობა „განათლება“. თბილისი.
6. **ნიკოლეიშვილი 2011:** ნიკოლეიშვილი ავთანდილი. „ დავით წერეთელი (სხვიტორელი)“. გამომცემლობა „უნივერსალი“. ქუთაისი.
7. **ომარაშვილი: 1993:** ომარაშვილი ა, „წერილები საინგილოზე“. გამომცემლობა „განათლება“. თბილისი.
8. **პაპუაშვილი 1972:** პაპუაშვილი თ, „ჭარ-ბელაქანი ისტორიული ნარკვევი“. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“. თბილისი.
9. **პაპუაშვილი 2008:** პაპუაშვილი თ, „საინგილოს ისტორიის ნარკვევები“. გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი.
10. **სახოკია 1985:** სახოკია თ, „ მოგზაურობანი“. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“. ბათუმი.
11. **ყაზბეგი 1995:** ყაზბეგი გიორგი. „სამი თვე თურქეთის საქართველოში“. გამომცემლობა „ აჭარა“. ბათუმი.
12. **ჩოხარაძე 2011:** ჩოხარაძე მალხაზ. „შავშეთის სოფლები“. კრებული „შავშეთი“. თავი II. თბილისი.
13. **წულაძე 1915:** წულაძე აპოლონ. „ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს“. გამომცემლობა „ბართლ.კილაძის სტამბა“. თფ.
14. **ჭიჭინაძე 1912:** ჭიჭინაძე ზაქარია. „ ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში-მუჰაჯირი ემიგრაცია“. გამომცემლობა „ი.ა. მანსვეტაშვილი“. თბილისი.
15. **ჯანაშვილი 2000:** ჯანაშვილი დიმიტრი. „ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთისა“. გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტი“ თბილისი.

პერიოდული გამოცემები:

16. **ბათუმელი 1887:** „დღიური პროვინციელისა“. გაზეთი „ივერია“ #64.
17. **ბურჭულაძე 1914:** გაზეთი „სახალხო გაზეთი“ #1169.
18. **გარდმოხვეწილი 1882:** „ხმა მაჰმადიან საქართველოდამ“. გაზეთი „დროება“ #70.

19. **„დროება“ 1880:** „მაჰმადიან ქართველთა ბედი“. გაზეთი „დროება“ #100.(ტფილისი, 12 მაისი).
20. **ერისთავი 1875:** ფელეტონი „ცნობანი ოსმალთა საქართველოზე“. გაზეთი „დროება“ #80
21. **ჭავჭავაძე 1880:** „მაჰმადიანთ გაქრისტიანება“. გაზეთი „დროება“ #219.
22. **ესომ 1886:** „დაბა და სოფელი“. გაზეთი „ივერია“ #10
23. **ესომ 1894:** „საინგილო“. გაზეთი „ივერია“ #168.
24. **ვასო 1896:** „კორესპონდენცია“. გაზეთი „ივერია“ #56.
25. **ინგილო 1867:** „ქიზიყელები ინგილოებში“. გაზეთი „დროება“ #24.
26. **ზ.ჭ. 1892:** „დაბა და სოფელი“. გაზეთი „ივერია“ #158.
27. **ზ.ჭ. 1893:** „მარადიდი“. გაზეთი „ივერია“ #184.
28. **ზ.ჭ. 1892:** „სოფ. კვირიკე“. გაზეთი „ივერია“ #149
29. **ინგილო 1867:** „წარსული და მიმავალი ინგილოების ცხოვრება“. გაზეთი „დროება“ #45.
30. **თ.დ.წ. 1879:** „მაჭახელა“. გაზეთი „დროება“ #2.
31. **„ივერია“1894:** გაზეთი „ივერია“, N219, თბილისი, 1894
32. **ინგილოელი 1878:** „ზაქათალის მაზრიდამ“. გაზეთი „დროება“ #225.
33. **ინგილოელი 1878:** „ზაქათალის მაზრიდამ“. გაზეთი „დროება“ #236..
34. **ისარლოვი 1869:** გაზეთი „დროება“ #38
35. **კაცია,ადამიანი 1876:** „რა მოელის ქობულეთსა?“. გაზეთი „დროება“ #49.
36. **მესხი 1875:** „ოსმალთა საქართველო“. გაზეთი „დროება“ #76.
37. **მესხი 1880:** „ახალი შენიშვნები“. გაზეთი „დროება“ #196.
38. **მირიანაშვილი 1900:** ფელეტონი „მცირე შენიშვნები მესხეთის შესახებ“. გაზეთი „ივერია“ #133.
39. **მ.- შვილი“ 1880:** „დროების“ კორესპონდენცია“. გაზეთი „დროება“ #146.
40. **მჭედლიშვილი 1877 :** ფელეტონი „ქართველები ოსმალეთში“. გაზეთი „დროება“ #135.
41. **ნიკოლაძე 1877:** „საქართველო“. გაზეთი „დროება“ #36.
42. **პ.უ. 1877:** „ოსმალთა საქართველო“. გაზეთი „ივერია“ #20.
43. **წერეთელი 1879:** ფელეტონი „ მიეშველეთ ქობულეთლებს“. გაზეთი „დროება“ #32.
44. **ჭავჭავაძე 1877:** „ოსმალთა საქართველო“. გაზეთი „ივერია“ #9.
45. **ხუმარა 1886:** „დაბა და სოფელი“. გაზეთი „ივერია“ #11.
46. **ჯანაშვილი 1878:** „მოგზაურობა საინგილოში“. გაზეთი „დროება“ #235.
47. **ჯანაშვილი 1878:** „მოგზაურობა საინგილოში“. გაზეთი „დროება“ #237.
48. **ჯანაშვილი 1889:** „საინგილო“. გაზეთი „ივერია“ #193.

ელექტრონული დოკუმენტი ინტერნეტიდან:

49. **ოქროპირიძე 2013:** ოქროპირიძე, უჩა. ქალაქი ბათუმი: საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში [ონ-ლაინ სტატია] (გამომც litklubi, 2013, განთავსებულია 12 თებერვლიდან, 2013); მის: <http://www.litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=12068>.
50. **ფუტკარაძე 2008:** ფუტკარაძე, ოთარ.: „გაზეთ “დროების” დაარსების 120 წლისთავის გამო“ [ონ-ლაინ სტატია] (გამომც litklubi, 2008, განთავსებულია 2008); მის: <http://www.litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=3928>
51. **კვაჭაძე 2009:**კვაჭაძე, ნანა, ქალაქი ბათუმი: ბათუმის ნავსადგურიდან ოსმალეთისკენ – მუჰაჯირობის ისტორია პრესაში [ონ-ლაინ სტატია] (გამომც oldbatumi, 2003, განთავსებულია 12 ნოემბერი, 2009); მის: <http://oldbatumi.wordpress.com/2009/11/22/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%9D%E1%83%A1/>
52. **ლუტიძე 2010:** ლუტიძე, ინგა: მუჰაჯირ ქართველთა ენობრივი და ეთნიკური იდენტობის საკითხები [ონ-ლაინ სტატია] (გამომც”კავკასიის ეთნოლოგიური კრებული”, ტ. XII, 2010, განთავსებულია იანვარი 2010); მის:<http://iberiana.wordpress.com/iberiana/ghutidze-muhajir/>
53. **ფუტკარაძე 1988:** ფუტკარაძე, ოთარ: ზაქარია ჭიჭინაძე – აჭარის დიდი გულშემატკივარი [ონ-ლაინ სტატია] (გამომც litklubi, განთავსებულია); მის:[http:// biblioteka.litklubi.ge/view-nawarmoebi.php?id=3930](http://biblioteka.litklubi.ge/view-nawarmoebi.php?id=3930)
54. **აკაკის 1899:** აკაკის თვითური კრებული, ქალაქი ქუთაისი: [ონ-ლაინ სტატია] (გამომც ლამბაშიძის სტამბა 1899, განთავსებულია ივლისი,1899); მის: [.http://dspace.gela.org.ge/bitstream/123456789/5141/4/1899%20krebuli%207.pdf](http://dspace.gela.org.ge/bitstream/123456789/5141/4/1899%20krebuli%207.pdf)
55. **ვარდამანიძე 2013:** ვარდამანიძე, ჯუმბერ, ქალაქი ბათუმი: მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში [ონ-ლაინ სტატია] (გამომც`ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განთავსებულია 2013); მის: <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/181716/1/MuhajirobaSamxretDasavletSaqartveloshi.pdf>